

ზვიად ნეფხიძე

**ეკელესიას  
ხურობა**

2014

## ავტორისაგან

ძვირფასო მკითხველო!

წიგნს „აკალუსის ხურმა“ დავარქვი. აკალუსი ჩემი ქვეყანაა, მარტოობის ქვეყანა, სადაც ყველა ფერია, უფრო მეტად, მუქი. მინდა ბოდიში მოგიხადოთ ყველას, ვისაც არ მოგეწონებათ ჩემი დეკადენტური ლექსები.

მაგრამ თუ ვინმე მარტო ხართ და ჩემს ქვეყანაში სტუმრობის სურვილი გაგიჩნდათ, მაშინ მოდით ჩემთან, რომ არ ვიყოთ მარტო და ერთად გავიდეთ კაშკაშა სინათლეში.

ყველაზე მეტად ბედნიერი თქვენთან ვიქნები.

რედაქტორი:

ტეფ. რედაქტორი:

კორექტორი:

მხატვარი:

თამაზ გარსენიშვილი

ირაკლი კორძახია, მარიამ გოგიაშვილი

ბორის ბესელია, ზვიად ნეფარიძე

მალხაზ დათუჯიშვილი

## მუსიკალური პოეზია

11.10.2010.

ვარ პოეზიის მედლოე, სულში მუსიკა იცინის,  
არ ტირის აღარც დუმილი, აღარც გველეზის სისინი,  
ამ ლექსს ტყბილ ჰანგებს მივუძღვნი, თბილს, საყვარელს და ვნებიანს,  
მკერდში რომ გული ბაგუნობს, ბრინჯაოს ბარაბნებია!  
როგორ ელოდა სილაღეს ეს გული, როგორ ელოდა!  
როგორ ელოდა ზეცისკენ ამართვას სადღეგრძელოთა!  
არ ვიცი, როგორ გავუძღვებ ციური ცეცხლის გიზგიზებს,  
გიტარა ტირის ხელებში, ყელში ფლეიტა კისკისებს,  
ჩვენც ავიჭრებით ღრუბლებში, სადაც უსაზღვრო სივრცეა,  
სადაც უფალი დაგვიწერს გალობის თეთრ ოდისეას,  
იქ, სადაც ქორწინდებიან ქართული ხმა და მორალი,  
სადაც წითლდება დაისი, ვით გოგო ნაამბორალი,  
სადაც რითმების ორკესტრი და მორაკრაკე დოლია,  
დღეს ვიბადებით მეორედ, სულ გაქრა მელანქოლია!  
თავებზე გვადგას გვირგვინი, სახეზე გვადევს აღმური,  
სულში კი უკრავს მუსიკა, ფურცლებზე ცეკვა „კალმური“;  
დღეს ვარსკვლავებთან ვიცეკვებთ და გადავიფრენთ მთვარეზე,  
რომ სახეებზე ვამეფოთ ღიმილი მოასპარეზე,  
დუმილო, დარდო, ტირილო, წადით და კარგად მეყოლეთ,  
რა დროს თქვენა ხართ, დოლს ვუკრავ, ვარ პოეზიის მედლოე!

## მეოცნებე ვარ

27.12.2009.

მეოცნებე ვარ; მე ავდგები, გავაღებ სარკმელს,  
თვალს გადავაღებ ღამეულ ქუჩებს,  
იმ ცეცხლს ვისუნთქებ, ჩემი გული შენსას რომ არქმევს  
და დაგიოცნი უნაზეს ტუჩებს.  
მეოცნებე ვარ; მე ავდგები, გავაღებ სარკმელს.

თეთრი მუხლები, ხელუხლები სხეული შენი,  
შენი მეტყველი დუმილი, მზერა,  
ანგელოზური სილამაზე, ქალური გენი,  
ან მომკლავს, ანდა მაცოცხლებს, მჭერა!  
თეთრი მუხლები, ხელუხლები სხეული შენი.

აკანკალებულს შევეხები თითებს თითებით,  
შემარყვეს მათი ველური ვნება,  
ერთად ვიქცევით, ცის მწვერვალზე ავიზიდებით,  
იქ, სადაც გული გულისთვის დნება.  
აკანკალებულს შევეხები თითებს თითებით.

## აგონია

14.11.2010.

გავრბივარ თვალებდასისხლული და ნისლში ვხედავ,  
პირმოკუმული ღმუჯადა გვამი,  
დალეწილია ბორკილები, ვიქეცი მხეცად,  
დალეწილია ჩემი ლაგამი.

დაბადებიდან ლაღობს გულში ცხოვრების ხიშტი,  
არ შემიძლია მე მეტი, აღარ!  
აღარაფერზე ვაგებ პასუხს... გესმით?! გავვიყდი!  
შუბლზე მატყვია კატორღის დამლა!

ტვინი გავთიშო, როგორ მინდა! ღმერთო, ვიღლები,  
დამაბი ღმერთო შენი ჯაჭვებით!...  
სატანის ჯოგთა უხილავი მხედება წიხლები,  
მაჩვენეთ ჩემი კუბო, ჩავწვები!

სული ჭაობით მეჟღინთება, მე მკაწრავს სტიგმა,  
გულ-ღვიძლს მიძიძგნის ჩხავილი ყვავის,  
ვარ დაშხამული; მე დამკბინა ავმა ასპიტმა,  
თავის ქალაში სიკვდილი ყვავის!

დაბადებიდან გულში მეფობს ხიშტი ცხოვრების,  
მეტს ვეღარ ვიტან; მინდა ბრმა ტყვია,  
მიქელგაბრიელს ყრუ სიმშვიდეს ვემათხოვრები  
და ჯოჯოხეთი შუბლზე მატყვია!

მიშველეთ! მე ვგრძნობ, რომ დავწერე ბოლო გვერდები  
და მომღერალი ვიხილე გედი,  
ღმერთო, მიმიღე, მხოლოდ შენში ვბედნიერდები,  
არ შემიძლია მე აღარ მეტი!

ცაში მიჭრის რაში ფიჭრის, ლამეს დილა ცვლის,  
 ცა და სადა ჯარი ზარის, ქარი, გემი და  
 როშვა, გროში, მრუში დროში, ხიბლი, ფერი ბლის,  
 ზღვა, სხვა რისხვა, მუჭი შუჭი არის ჩემი და!  
 შობა, შუჭი და ქარბუჭი, სუსხს და ყინვას ვკლავ,  
 მე ვარ ნისლის და მომავლის ალიონის ძე,  
 დაბადება მოვინებთ, ია ყრია კვლავ,  
 ვუძღვნი მტერს ალს, მაგრამ ვერსაღს ვერსად ვხედავ მე!  
 აქ რა? აგრა! მაგრამ მაპალს ახალს რა ცვლის? *please!*  
 ბილიკებზე ყრია ია, ბასტილია შორს!  
 არ მსურს ციხე, არც გისოსი, არც კოშკები ძვლის,  
 მე წაყვები ოცნებაში მოლივლივე ქორს!  
 დათვრა ნატვრა, დავაბიჯებ მე სხივებში მზის,  
 აღარ შრება ტბები, ვთბები, დნება ნება და  
 მოდი ჩემთან, მომეხვიე, მომეხვიე, *kiss,*  
 რომ თავიდან დაიბადოს, რაც კი მებადა!  
 სიომ ცელქმა მომცა დელგმა, თქეში ტყეში, წვიმს,  
 ისე ბრძენი ვიყო, სიოს ვუთხრა ნეტა, რომ:  
 „ცელქო, *welcome,* აღარ გეტყვი დუმილს, აეს და ძვირს,  
 მომეხვიე, *please, kiss,* მოდი, სიოვ ნეტარო!“

**ტაძარში**

30.03.2009.

ტაძარში მგალობელ გოგოთა  
 ფრთოსანი გუნდები მეხვია,  
 მითხარით, სად არის გოლგოთა,  
 ან გულში მესროლეთ მე ტყვია!  
 ჩემს გვირგინს ამშვენებს ეკლები,  
 ჩემს ფეხთქვეშ კანკალებს უდაბნო,  
 მიწიდან ლურჯ ღრუბლებს ვეკვრები,  
 სიკვდილი არ მიშვებს უდაფნო.  
 აუხსნელ სიყვარულს ველოდი,  
 იყავი ჰაერი, მე – ლოდი,  
 მეხვია გოგოთა გუნდები.  
 მე შენი სურნელი მიმდურებს,  
 მოგაპყრობ ულონო კიდურებს,  
 ხუნდები დამადე, ხუნდები!

ხარ ჩემი მხსნელი და მესია,  
გრძნობა რომ დამალო, წესია,  
იმიტომ მექცევი შენ ასე.  
ეს გრძნობა არასდროს დამალო,  
ცაში წამიყვანე ფრთამალო,  
თქვი რამე შენს წმინდა ენაზე!

## ცეცხლოფობია

03.08.2010.

ცეცხლის წრეში ვიხილე ერთხელ როკვა ალების,  
(შულამეს ერწყმოდა პეიზაჟი კლდეებით)  
ბუტბუტებდნენ გარშემო თმაგაშლილი ქალები,  
ირგვლივ კვამლში და ხელში კერპით და სარკევით.  
მე ვიყავი ექსტაზში, თითქოს ძილში ვიყავი,  
თითქოს სხვაში ჩავსახლდი და მეორედ მოვედი,  
შუბლზე მზე მეცემოდა – შუქი გაურიყავი,  
თუმცა იღვა წყვდიადი, შავი სიუცხოვეთი.  
ვუყურებდი მაგების ადრე გახრწნილ სიფათებს,  
ჩამოძონძილ დედაბრებს და დაღრეჯილ ფეტიშებს,  
(ახლაც ის მოგონება მზაფრავს და შიშს მიბადებს  
– იმ დღემილში სატანის ხარხარს არ გავეთიშე!)  
ვერ ვმართავდი უჯრედებს, პირს ვალებდი მულარით,  
მსურდა ხმა ამომელო... მაგრამ შიშის ფსკერია!  
ვერ ვიბრძოდი, (ელაგა კერპებისთვის ნუგბარი)  
არასოდეს, მსგავს სცენას არსად არ მიცქერია!  
მაგრამ ერთი მათგანი, ხელში თავის ქალათი,  
მაჩეჩებდა საშინელ პეიზაჟებს ბალებად,  
ის ამბობდა: „გიყვარდეს შეშლილს თეთრი ხალათი,  
სულს სიტკბოთი გივსებდეს სულთა გამოძახება!“  
დაკარგული ვიყავი, ვით უსაჭო ხომალდი,  
როგორც ჩვილი, დედისგან მიგდებული ნაგავზე,  
იგი მიმეორებდა სულის ამოხლომამდის:  
„გაეხვიე ჩემს კვამლში და ოქროთი აგავსებ“.  
ირეკლავდა კოცონი ჩემი სულის კუნჭულებს,  
უნდა მეთქვა – „ჰო“-მეთქი, მაგრამ გაქრა ყოველი,  
ახლაც ვხედავ იმ კოცონს, ჩემში ბრმად მოჩურჩულეს  
და კვლავ მისი ენების მწვავე ხალს მოველი.

ლამის ტყეში სიჩუმე... აღწევს მხოლოდ ქალაში  
ბელურების ბორბოტი, ამაზრზენი ყივყივი,  
იყო თეთრი მელაგების მონატრება ხალასი,  
მაგრამ დავეხეტები უღრანებში გიჟივით.  
მე აქ მთვარე ვიგრძენი... დაბადება მნათობის,  
(თოვლის ფერი სიავემ შავი ფუნჯით შეღება)  
ჩემს გარშემო როკავდნენ! მე ვიგრძენი ათობით  
კულიანთა ჯგუფების დემონური შეხება!  
ხრიანებდა წყვდიადი, როგორც ცივი ჩანჩქერი,  
(მინდა, ყრუ აჩრდილების ველურ ქვითინს მოვება)  
ჩემს საფლავზე დავდივარ, ნეშტს მიწაში ჩავცქერი,  
ჩაკვდა ცოდვილ სხეულში სულის მოოქროვება!...  
მარტოობა ტირიდა, როგორც მარტის ზეცა და...  
სინანული წარსულის – დედამიწის ცენტრია!  
მე ვეცადე აღდგომას, სული ღიმილს ეცადა  
და შევძელი, კუბოდან ტანი ამომეთრია!

ფანტაზია

13.04.2008.

როცა ლამის ცაში ავალთ და დავგვხვდება იქ ოცნება,  
სადაც ლურჯი ჩანჩქერი და ცისარტყლა იკოცნება,

წარმოვიდგენთ რასაც გვინდა, ჩვენ ზღაპარში ვცხოვრობთ ახლა,  
არ გვეტყობა ამ ცხოვრების არც სიმძიმე და არც დაღლა,

ჩანს, მზე როგორ აფრქვევს სხივებს იას და შუქს ფანტავს ია,  
ვხედავთ, როგორ ეფერება ფანტაზიას ფანტაზია,

მასთან ხარ, ვინც გიყვარს სულით და უყვარხარ... აი, ვნება,  
ვარსკვლავების კიბეები ეშვებიან აივნებად,

რა ღარიბი არის წამიც უოცნებოდ, ან უშენოდ...  
ჩვენ ხომ გვინდა, ჩვენს სიყვარულს გალავნები ავუშენოთ!

## თბილ ქვეყნებში

17.01.2011.

მჯერა, რომ ხარ ისე წმინდა, როგორც არის ბეთანია,  
მკერდში გული რომ ცახცახებს, გაფრენილი ქედანია.

გველის მხარე უღრუბლობის, გავფრინდებით იქ ოცნებით,  
თუმცა, გვჭვია მოკვდავები, მეცხრე ცაში ვიტყორცნებით.


ზამთარია, მაგრამ ცხელა, (ალბათ, გულში ბუხარია)  
რა მეწყინოს, მიყვარს, მიყვარს, გულს ამიტომ უხარია.

აღარ მინდა, რომ სარკიდან მიყურებდეს შავი სახე,  
რაც აქამდე არ მენახა, სულ ერთ წამში დავინახე.

აღარ არის არსად ღამე, ყველგან ლურჯი ცისკარია,  
ეს გულელებიც მერცხლებივით თბილ ქვეყნებში იჩქარიან!

## მე ვხედავდი

19.08.2008.





## მეც ბალიდან წავედი

28.05.2009.

წასკდა გვალვის გამო თქეში ჯოჯოხეთის ნაპირებს,  
დღეს გვალვაა სამოთხეში და ცა დუმილს აპირებს.  
აღარც ყვავილს ვეძებ ბალში, მეც ბალიდან წავედი,  
დღეს ცოცხლდება პიტიახში და ხარხარებს შავეთი.

## ირაო

29.08.2010.

მტრედებმა შეკრეს კამარა; თვალისთვის იგი პურია,  
ახლა ვარ თავის ამარა და არც სხვა რამე მწყურია.  
ბავშვურ ოცნებებს ვუნდები – წამით მტრედობა ვინატრე,  
მე ახლა მათი გუნდების ზეცაში ვარ მობინადრე.  
დაბლა იწევენ ღრუბლები, ალბათ იტირებს საღამო...  
ჩემს თვალებს ეალუბლება ბავშვობა დაუსაბამო.

## ძაძები

19.04.2011.

გემი ვარ ღუზის გარეშე, ვერც იალქნები მბამენ,  
მე ყველა ძარღვი დამისკდა, აღარ მაქვს აღარც სადავე,  
ტალღებმა ჩემი გათრევა შავ ჰორიზონტზე ინება,  
ახლა მეწყება სპაზმები, შტორმი და პირღებინება,  
ძვლებში ყინული მემსხვრევა, თვალებში წივის ფობია,  
ყველგან გავტოპე, სიკვდილში ჯერაც ვერ გამიტოპია,  
ოკეანეში დავცურავ, უგემბანო და უსაჭო,  
რომ საკუთარ თავს მარადი დუმილი არ მიგუსაჯო,  
ჩემს ტვინში მულამ დახტოდა გვემის, თვითშეჭმის მანია,  
განვბანე ყველა წყდიადი, დილა ვერ განმიბანია,  
ვერ გაეჭევი განაჩენს, ზვიად, ლექსების ტუსალო,  
მულამ ჯიუტი ხმა გესმის, შხამიანი და უსახო:  
„შენ თიხის გუნდას არ გაეზარ, ადამს, მრუშსა და ნაკაცარს,  
ხელი გაუშვი ამ ფურცლებს, თორემ შავ ძაძებს ჩაგაცვამს!“  
მივექანები უფსკრულში და ვლენწავ ვერცხლის მარწუხებს,  
მკვდარი და ბედნიერი ვარ, აღარც სიცოცხლე მაწუხებს!

წახვედი... დატოვე ნინი ბილიკზე ეკლები მწვავე,  
 მახრჩობს მონატრების ჟინი და თითქოს კოცონზე მწვავენ.  
 ვით თოვლის ფანტელი ქარში – ბავშვური ტირილი მგოსნის,  
 მე მესმის წვიმების მარში და მკრთალი ოცნება მკოცნის.  
 მაგრამ მე არ ვნანობ, არა!... ხომ ვნახე ფერიის შუქი?  
 დრონი კი მეფობენ... კმარა, სიზმარში ვიყავი თუკი...  
 შენთვის ყოფილიყოს ლხინი, რაც კი მე ტკივილი ვნახე,  
 იყავ ბედნიერი ნინი, მულამ გიციინოლეს სახე.

**უტოპია**

29.06.2008.

ვიდრე თოფს არ უთოფია, არ არსებობს დებოში,  
 დღეს თეთრდება უტოპია ავ და შავ სამეფოში.  
 სნეული ვარ, თუ ფობია მე დღეს თავს არ მანებებს?..  
 ჩემი თეთრი უტოპია ველარ იტანს ზმანებებს.  
 მე მკვიდრი ვარ ალბათ, მითის, მიტანს ტიტანს დებოში;  
 ჩემი გემი ზღვებში მიდის, შავში, ულანდებოში.

**უტოპია**

20.07.2010.

ვიბადები რიჟრაჟზე, როგორც ღამის ნაყოფი,  
 მაგრამ ჩემს სიცოცხლეში საღამოთი ვეჭვდები,  
 დილით რომ განვაახლო სუნთქვა ძილში ნამყოფი  
 და უარჯყო სიზმრები, როგორც ყალბი ბეჭდები,  
 როგორც გმირი ზღაპარში, მეც ჩემს რაშზე შევჯდები,

განა დარბის, დაფრინავს, მიწას ფეხს არ აკარებს,  
 გავაქროლებ არნახულ ქვეყანაში ბედაურს,  
 ვეომები სხვა ურჩხულს, შუბით ვლეწავ სხვა კარებს,  
 თითქოს ვთვრები სიცოცხლეც, ახლა აღარ მეღაო,  
 თითქოს შენით დათრობა ზეცამ დამიბეღაო.

არ მალეღვებს, მეწოდოს შეყვარებულს სულელი,  
ცეცხლში ვიწვი მის გამო, ისე, როგორც ნახშირი,  
რა ტკბილია ის, ვისაც ყველგან, მუდამ, სულ ელი,  
ხან მშვიდი და ხან გიჟი, ხან ძვირი და ხან ხშირი,  
ყველაფერი იხსნება, არ იხსნება კავშირი.

რაა შენთვის სასახლე, ქოხში ხარ და იცინი,  
არ გაღელვებს მეფობა, აღარც მისი ტახტები,  
ველარ გხიბლავს ვერც ვერცხლი, ვერც დასტების ტკიცინი,  
ხან ეცემი მიწაზე, ხან ღრუბლებში ახტები,  
არ გსურს სხვა კავშირები, არ გსურს სხვა კონტაქტები.

შავია და ვერ ვამჩნევ, თეთრია და ციმციმებს,  
ვის და რასაც ვუკრთოდი, ახლა თვითონ კრთებიან,  
გავიხსენებ გაფრენას, დავივიწყებ სიმძიმეს,  
არ დავდივარ, დავფრინავ, აქეთ-იქით ფრთებიან,  
ახლა ჩვენი გულები ცაზე იკვეთებიან.

დაე, ვიყო სულელი, ან რა ყრია თავებში,  
მე ნიავეს ვახსოვარ, არ ვახსოვარ სიავეს,  
ან რას ვაქნევ მძიმე თავს, თუ ტალახში დავეშვი,  
მირჩვენია, ვეცეკვო თეთრ ღრუბლებში ნიავეს,  
ახლა უკვე მახინჯიც ჩემთვის იფერიავებს.

დაზამთრებულ გრძნობებსაც ჩავახედებ სარკეში,  
მინდა, შენთან რომ ვიყო, მე ავისგან დავიცავ,  
ჩემი იყოს ფერიის ხილვა უსპეტაკესი,  
ჩემი იყავ იღბალო, დილისავ, თუ ღამისავ,  
შეეწიეთ სიყვარულს, ცაო და დედამიწავ!

## ვედრება

23.07.2010.

ღმერთო! გადამაფარე შენი კალთის სიკეთე,  
გვედრები, ჩაკალი ჩემში ბნელი დიალო,  
სიავისკენ მავალი ყველა გზა ჩამიკეტე,  
ყველა დილა რადაა ასე უგანთიადო?

მე მოგაპყრობ ამ ხელებს, შენგან რჩევას მე ველი,  
მხოლოდ შენთვის ვიქნები თეთრი ღროშის მქნეველი.

დაგიფარავ ბილიკებს ჩემსკენ პალმის რტოებით,  
დავიჩოქებ შენს სახლში, შენმიერი ვიქნები,  
ეშმაკისგან ვიქნები მუდამ განმარტოებით,  
ჩემთან იმეგობრებენ შენი წმინდა წიგნები,  
მე და ჩემი ფიქრები ბნელ ლაბირინთს შევებით,  
მოხვიდლადი, ვიცოდი – რისხვით და მიტყვევით.  
მარწევინე უწმინდურს შენი რწმენის აკვანი,  
განიწმინდოს ეს სული, ყველა ბრძოლას ავიტან,  
წინაპრების დიდებას მაცემინე თაყვანი,  
მინდა, ისევ დავიწყო ეს ცხოვრება თავიდან,  
ფეხზე წამომაყენე და მომხსენი ხუნდები,  
დაცემული ხატებთან შენს ძალაში ვრწმუნდები.  
შენი სიტბო, შენი ხმა – სულის ქსელში გამება,  
მჯერა, ჩემი ვედრება არ იქნება ამაო:  
„შემიბრალებთ ცოდვილი უწმინდესო სამებავ,  
– სულიწმინდავ, ძეო ღვთის და წმინდაო მამაო!“  
მომიყვანენ მე ისევ შენთან შენი წიგნები,  
შემიწყალე უფალო, შენმიერი ვიქნები.

## შუალამის გალობა

01.04.2011.

შუალამის გალობა აატირებს იადონს,  
წუთისოფლის გასაყარს ააკივლებს ელდა,  
რომ წითელმა ჩანჩქერმა მაშინ იგანთიადოს,  
როცა უკვე ცრემლებით სულიც დამისველდა.

ყოველი დღე ცხოვრების ეკლიანი სახრეა,  
ყველა ღამე მპირდება მკაცრ კოშმარებს, ულევს,  
მე არ მჯერა წუთების, გულზე რომ მომაყრიან  
ულევ სიტყვებს, ულევ ცრემლებს, ულევ თაიგულებს.

ვერასოდეს ვიხილავ ჭირისუფალს ცხედართან,  
რადგან არ იქნებიან! ისევ დავრჩი მარტო...  
ჩემს ტკივილთან დამტოვეთ! ჩემს თავს მარტო ვხედავ და...  
საკუთარი ობლობა უნდა დავიდარდო!

ლამაზია რიყრაყზე პლანეტების აღლუმი,  
ვარსკვლავების რეგატა, ლამაზი და ურჩი,  
ღამეების რძისფერის ერთგულება ძაღლური,  
უძილობა როდესაც ჩამჩურჩულებს ყურში.  
ვინ გაიგებს ჩემს ფიქრებს, ესტუმრება ნეტა ვინ  
საფლავის ქვას, ნაზამთრალს, მოუვლელს და მტვრიანს?  
მოთქრიალებს ღაწვებზე ცრემლი დაუშრეტავი,  
ჩემს თვალებშიც ისევ ის ქარიშხლები ქრიან!  
ნაპრაღივით მეხსნება ისევ ძველი ჭრილობა,  
ვერ ვივიწყებ მის სახეს, დავიწყებულს თითქოს,  
ბალებს ისევ ატირებს სულის უყვავილობა,  
ისევ ელის ამაოდ სიყვარულის დიდგორს...  
უკან ისევ მომყვება ვარსკვლავების ჯარები,  
გზას მინათებს ზეცისკენ პოეზიის ჯილა,  
მაგრამ ისევ საშინელ სიზმრებს ვეზიარები:  
„ახლა ვილას ვუმღერო, მეყვარება ვილა?“  
ლაბირინთის სიღრმეში სულს ჩურჩული მოესმა:  
„სიბნელეში შემოდი“... ხმა სათნოა, ნაზი,  
ყინულივით დამადნო იმ ხმამ, უსათნოესმა  
და ჩვენს შორის გაავლო განშორების ხაზი!  
ვიღუპები!... ხმა მითრევს შიგნით, წყდიადს ანაზებს,  
ელირსებათ ვერასდროს ის ყვავილი ბალებს...  
ნუთუ, არის სინათლის სხივი ამ ქვეყანაზე,  
ნუთუ სული ოდესმე ხსოვნით იამაყებს?

**ორნამენტები**

სალამოა, ბინდია, ჩემს დაკრძალვას ვესწრები,  
ჭირისუფლებს ვეზვევი (ჩემს დაღუპვას ვტიროდი)  
ატირებდნენ სიჩუმეს ცრემლი და ორკესტრები,  
მიზიდავდნენ ხედები, უცხო სანაპიროთი.  
ჩემო ხალხო, ნუ ტირით, თქვენში ისევ ანთია  
ჩემი სულის ხსოვნა და ჩემი შავი კარები,  
მოკვდა მხოლოდ სხეული, სული დარდიმანდია  
და მე ახლა სიახლის ცაში გავიპარები.

კაბადონი მშვიდია, უცეცხლო და უალო,  
მიღონებენ გულს მხოლოდ ქალთა შავი ჩაღრები,  
ვარდის ლაწვებს მოშორდი, სველო ცეცხლის ვუალო,  
რადგან უკვე არასდროს აღარ დავიჩაგრები.  
ჩემს წინ ღამე დაეცა, მუხლზე თავი დამადო,  
ახლა წუთისოფელის ხარი მარილს ალოკავს,  
მე სიცოცხლე წამერთვა, უშნო, უანდამატო,  
ველარავინ მიწოდებს ახლა უუფალო კაცს.  
ვიცი, შეერთდებიან ჩემში შავი ძაფები,  
დასკდებიან გამჭრალი გაზაფხულის კვირტები,  
ძლივს სიმშვიდეს ველირსე, აღარ დავიძაბები,  
ახლა თეთრი მტრედების სუნთქვას დავაკვირდები.  
ირგვლივ ცისარტყელების, ნაზი, ხშირი თმები,  
არნახულო სასმისო, გულში ცეცხლად მენთები,  
თქვენს გარშემო ამჟამად, ვიცი, ირითმებიან  
ჩემი, თქვენთვის ნამღერი ლექსის ორნამენტები!

## თქე ში სამოთხეში

15.12.2010.

ენა მზე,  
ბაგე ცა,  
მტრედმა ფრთები დაეცა.  
დილამ ღრუბლებს აკოცა.  
სტვენდა მოეშმაკო ცა.  
რა ხილი?  
გრეხილი...  
მთვარე ცხვირაპრეხილი.  
თეთრი ოქროს ნავები,  
ისევ ტყეში გავები.  
ტყეში არის თქეში,  
თქეში არის ცრემლის,  
ცრემლი არის გრდემლის,  
გრდემლი არის მიწის,  
მიწამ სითბო იცის,  
სითბო მთავარია,  
ისევ ავარია  
– ენა მზის,  
ბაგე ცის,

ღრუბლის კოცნის კოცონის.  
ყელი ხილის გრეხილებს,  
პეიზაჟი – ხეხილებს,  
ოქროს ნავი ტყეში,  
თქეში სამოთხეში.  
ცრემლი – გრდემლი მიწის,  
იცის მიწამ, იცის.

**Bravo**

26.12.2006.

სულთ ვერდაჩაგრულო,  
ქართულ კლდეში ნარგავო,  
კოსმიური „ჩაკრულო“,  
ნერგო დაუჩაგრავო,

**Bravo** ჩემო ირაო,  
ცას აკრულო კამარავ,  
ზღვაში ჩაუძირავო  
საქართველო პატარავ,

ქართულ ჯვარზე გაკრულო,  
გმირო გაუგმირავო,  
**Bravo** ჩემო „ჩაკრულო“,  
კოსმიური ირაო!

**წვიმა იყო კლდეების**

22.04.2007.

წვიმა იყო კლდეების, თოვდა ყინვის ღაღარი,  
ქუხდა ნაძალადარი ფერი ორჭიდების.

ჟღერდა ჰანგი ჯაზური, ვინც არ მომკლა, დამინდო,  
გაიდარე ამინდო, ნახე მზის აბაჟური!

მიწას სული არ ყოფნის, მისი გემო ციურს შობს,  
ის შობს ემოციურ შოკს, როგორც კრძალვა ნაყოფის.

სუნთქვა თეთრი ჩადრია, თვალს ატყევეებს ეს მზერა,  
ცა რომ გადაესერა და მზე დაუჩაგრია.

წვიმა იყო კლდეების, სველი ცეცხლის სადარი,  
მათ იციან სად არი ქროლვა ბრმა იდეების.

თუ აკრძალვა ნაყოფის ამხელს ორსახოვნებას,  
ამ ხილს კოცნა ხომ ნებავს? მე აქ ყოფნა არ მყოფნის!

## იღვა საათი

18.03.2006.

იღვა საათი ბნელი, ქროდნენ ქარები ავად,  
ნისლმა მაჩუქა წრფელი ცრემლი, ვულკანის ლავა.  
ვერძნობდი საშინელ ტრფობას, კრთოდა თვალეებში ცეცხლი,  
მწვავდა სიბნელით თრობა და მოლოდინი მერცხლის.  
და მოდიოდა სხივი, თეთრმა დააშრო გლოვა,  
დილა განდევნის ტკივილს, გაქრა აჩრდილთა ხროვა.  
და დღე აღდგება მკვდრეთით, მოვა ბარათი მერცხლის,  
კვლავ ვგრძნობ საშინელ ტრფობას, კვლავ კრთის თვალეებში ცეცხლი.

## ზარი

30.07.2007.

მოღის აბსურდის კვირის წუთი, ბნელი და მუქი,  
აქ მოლანდება ყვირის და ფიქრს ედება შუქი.  
ლამე, წკრიალი: – „ვინ ხარ?“ ხმა უნაზესი, ტკბილი,  
კვლავ მახსენდება თიხა, ნეკნი, ბალი და ხილი.  
მგზავრი ვარ ჩემი ტივის, მათეთრებს დროის თოვა,  
აქ უდროობა კივის, სანამ ჩემი დრო მოვა.  
არ მავიწყდება ტბები, არც ლამე, ზარი: – „ვინ ხარ?“  
მე მათ სიღრმეში ვთბები და ვერ მთმობს მეფის ჯილა.  
მონა ვარ ჩემი ფიქრის, მე შეწყალებას ველი!  
ფრთაო, საითკენ მიქრის ჩვენი აისი ბნელი?  
დღემდე ცოცხლობენ ჩემში ლამე, უცნობი, ზარი,  
ჩვენი ბალისკენ გეში და სინანულის ჯარი.



თეთრი მინდვრები, ცა და სხეულში სითბო დახტის,  
ყოფნის სურვილი სადა: მე მძულს სიმადლე ტახტის!  
ჩუმი ბორცვები ღრუბლის, ბალის თაღების დალი,  
რწმენა მაკლია უფლის, იმიტომ არ ვარ ლალი!  
ლურჯი ზღვა, ქვიშა, პალმა, ჩრდილი ღრუბლების, ჭიქა,  
ვნატრობ, განგების ძალმა რომ გამაჩინოს იქა!  
მე იქ ვარ, სადაც მინდა: კმარა დახუჭვაც თვალის,  
რომ ოცნებები წმინდა ამიხდეს დღეის, ზვალის!  
თვალეებში ნესტი ქრება, მიახლოვდება თასი,  
ანგელოსების კრება და სიყვარულის ფასი.

**ეკალი, სახე ძეგლის**

ჩვენი დაუკრა ბახმა ერთხელ ჰანგები ძველი,  
გველის ნანთხევი გახმა, აღარ სისინებს ველი.  
სიომ მომძებნა ცელქმა, რომ გამიტაცოს ზევით,  
მივიწყებს ჩემი დელგმა, სხივი მოიწევს რხევით.  
ცაო, ჩემგან შორს ნუ ხარ, ის, ვინც შენ გინდა, მე ვარ,  
ნულარ იტირებ, ნულარ, არ დაგ შორდები never!  
მხოლოდ ტკივილს და გლოვას უღერა გაუხდა უხმო,  
მან ნიღბოსანთა ხროვას სიკვდილის კართან უხმო.  
მიწის მებრძვიან ძვრები, იქ ჩარბის მზერა ხარბის,  
ტირიან ჩვენი ჯვრები, ცრემლები მოგვდის ჭარბი.  
მე არც ასი წლის შემდეგ არ მინდა ყოფნა ქვევით,  
ბედი მომე და შემდეგ, თუ გსურს წიხლების ფრქვევით!  
ჩემს სატანჯველად ალბათ თუ დაიბადა ევა,  
კოშკმა, ნაგებმა ყალბად, რატომ დაიწყო მსხვრევა?  
მე მომავლისკენ ვილტვი, ის არის ჩემი განძი,  
მისკდება ყველა ფილტვი, სადღაც გამირბის ქანცი!  
მესმის მოცარტი, გრიგი, ვესმი და ვუსმენ შობენს,  
ვიცი, ხილვაა იგი, ეს სურათს ნათელს მოფენს.  
ვერ ვნახე ცეცხლო ფანდი, ვერც შენი, ვერც მზის! მე ხომ  
ჩემს სულს სხივებით ვბანდი, რატომ დამსეტყვე მეხო?  
ციდან თქრიალებს ღვარი, რა ვუპასუხო მე მას?  
სადღაა ძველი ჯვარი, სადღა ვიპოვი კდემას?  
არ მინდობს ძველი ვაშლი, ზღვები, ქარიბდა, სცილა,  
სულ ღამე, ფრთებს ვერ გავშლი, რადგან სულს ღაფავს დილა!

ბილიკი, ვარდი, ია, ეკალი, სახე ძეგლის,  
 სიცოცხლე, *my dear*, კბენას გაუძეღ ეკლის!  
 შენთან მოვყები მარხილს და თეთრ სივრცეში ვისმი,  
 მე ვგავარ ბაღში მკვდარ ხილს – ხეო ცნობადის, *kiss me!*  
 წარღვნა კი არა, მზის ხმა მეჭრება სულის კარში;  
 – ავად იჩხავლა ზიზღმა დღეს თვითმკვლელობის მარში!  
 ცხოვრება ყება იგავს: „გვირგვინი გადგას თავზე!“  
 სახე ბედნიერს მიგავს, გული – დარღით მაქვს სავეს...  
 თავს ველარ ვაღწევ ნაღველს, დაეწყველე ჩემი ბედი,  
 – მე, ამ ყველაფრის მნახველს, რა მრჩება ამის მეტი?!  
 ცა არის უხმო, მუნჯი, მაგრამ, ბევრს ამბობს ის ცა,  
 მან ჩემს სულს შავი ფუნჯი და მარტოობა მისცა...  
 საკუთარი ხმა მზარავს, მას თვალები აქვს დიდი,  
 იქ რატომ ვშლიდი კარავს, სადაც სულს ტკივილს ვგვრიდი?!  
 ვაწყდები კედლებს! ვიცი, დამწყდებული ვარ მარად,  
 – არ მავიწყდება, ვისი გალობა მექცა ზარად!  
 მიწა – ბინა, ცა – ქული, ყველგან მპოულობს ყინვა,  
 ვინ ვარ? სხივების ქურდი? თუ გაქურდული? ვინ ვარ?  
 ვგავარ მომღერალს ოდის და თავჩაწეულს თავთავს,  
 მე ისლა მრჩება, როდის აწევს სიკვდილი ავ თავს!  
 ბინად არ მყოფნის *ВСЕЬ МИР*, მჯერა, რომ სივრცეს ვსურვარ,  
 რომ პოეზიას ვესმი, რომ აღარ მტოვებს ურვა!  
 ვერ ამცდა ტანჯვა დიდი, ვერ ამცდა სევდის გუნდა,  
 მოღით, გამივსეთ მჭიდი, თავი მოვიკლა უნდა!

ია-ია

07.03.2010.

ფრთამოტეხილი მგონის გავიზიარე ბედი,  
 ჩემს სიზმრებს ისევ კოცნის ტბები, სიმღერა, გედი.  
 არ მეშველება თვითონ სიცოცხლის ბოლოს ვიცი,  
 რომ ჩვენმა ფრთებმა ზიღონ იმ სიყვარულის ფიცი.  
 ჩემსკენ მოცურავს მიწის უბედურების ნავი,  
 იცი, პოეტმა იცის, იმ ფიცის ბოლო ავი.  
 ია, ძვირფასო ია, გამომიწოდე ხელი,  
 სიზმრებს აყვი ფრთიანს და მომამორე ბნელი!..  
 შენმა ხელებმა დარგო ნერგი – სიცოცხლის სარკე...  
 ნუ მომკლავ ჩემო კარგო, ისევ ის ნერგი დარგე!  
 ძვირფასო, შენთან ერთად სიცოცხლე მინდა მარტო,

მინდა სიმდიდრე ფერთა, ჩემო ყვავილო-დარდო.  
ვემეგობრები მთვარეს და უმზეობით ვკრთები,  
რომ დავიწყების მხარემ არ დამილეწოს ფრთები.  
ალარ შორდება წმინდა შენი ღიმილი თვალებს,  
ზეცაში ავყე მინდა ანგელოზების ალერსს...  
მე გვერდით მყავხარ მუდამ, ია, ძვირფასო ია,  
მინდა ღიმილის გუნდა და ზეცის კარი ღია!...

## ფიცი

04.11.2010.

მე დავიბადე მაშინ, პოეზია რომ შევსვი,  
როცა რითმების ზღვაში ვიხილე ლექსის ფესვი.  
ის ნაყოფია მწიფე, ოკეანეა ვრცელი,  
ცადაზიდული კიბე და დავიწყების ცელი.  
ლექსს შევეწირო, ვფიცავ, იქ დავიმკვიდრო ბოლო,  
ლექსო – ცაო და მიწავ, მარად შენი ვარ მხოლოდ!  
არ შემიძლია რამე მე ლექსის წერის მეტი,  
იქ არის ჩემი ღამე და ჩემი დილის წვეთიც...  
რა ვქნა? მისთვის ვარ ფერთა (ვწერ და სულს ძლივსლა ვითქვამ)  
დე, ვიყო ლექსის მსხვერპლი, უკვე მრავალჯერ მითქვამს!

## ანდერძი

10.12.2010.

ერთი ნატვრა მაქვს დიდი; ხორციდან წავალ როცა,  
იყავ ლალი და მშვიდი ჩემი არყოფნის დროსაც.  
იყავ ისეთი ლალი, როგორც და ვინჩის ტილო,  
ისევ ყვოდეს ბალი, ევას ვაშლივით ტკბილო!  
იცინე, როგორც ქალმა, რომელიც უყვართ ახლაც,  
შენს ბაგეებზე ალმასს არ ვუსურვებდი დაღლას!  
და თუ ოდესმე ვნახე წყლიან თვალებში სევდა,  
თუ შენს უნახეს სახეს გლოვის ფიქრები სდევდა,  
თუ ჩაგიქვრება მუქი, რწმენა გიმტყუნებს უფლის,  
დაიღარება თუკი ეგ დედოფლური შუბლი,  
მე ძილში მაინც მოვალ, ველარ მოვითმენ იქაც,  
ჩემს მიმართ ქალურ გლოვას რომ ავუწიო ჭიქა,  
რომ ჩავიფიქრო ნატვრა, არახდენილი გუშინ,  
როცა ღიმილი დათვრა შენს ანგელოზურ გულში.

ქროდა ქორწილი ქართა – ჩემი ღიმილის მტერი;  
ხარი დაიბა ხართან, ხარმა იცვალა ფერი.

ხილვა მირყვდა ტკბილ ძილს, მსხვერვეა არწივთა ბუდის...  
აქ თეატრია ბილწი და ბილიკები მრუდი!

დაგდაგებს წვიმის მარში, შავი, მლაშე და მრუში,  
სტვენა ისმოდა ქარში – კოჭლში, ბრმაში და ყრუში.

ნეტავ, რა ყრია დროში, თუ მისი ფასი არი  
გადაგდებული გროში და ისევ უსტვენს ქარი?...

ისევ მიმზერენ ღამით თვალეები შავი კატის,  
მხეცთა კრუნჩხვების ჟამი ბნელ დერეფნებში გაღის!

იყო ჩხავილი ყორნის, სუნთქვის წამება ნელი...  
ერთად ვიყავით ორნი: ბნელი, მე, მე და ბნელი.

## **ულილოდ**

25.06.2009.

იყო შიში, ღამის ელდა, იყო ელვა, ცის მარში,  
მე თვალეებში დამისველდა რწმენა დილის სიზმარში.

არის ხილვა – ყინვა, მთვარე, ტბის სიღრმეში გედია,  
ჩემში მულამ ასე მწარე იმედები შედიან!

იყო ცრუ მზე, ცრუ იმედი, უიღბლობას მივები,  
ვაიმეთი, ვუიმეთი, მეწვებოდნენ ტივები.

მე წამართვეს სუნთქვის მადა, ცაზე აღარც ლილეა,  
მხოლოდ ჩემი დაცემა და ჩემი თერმოპილეა!

(მამუკა ფელიშვილს)

ავალ ცაში მე მაშინ, როცა ღმერთი მეტყვის,  
არ ვაცხოვრებ გვემაში სხეულს უხვი სეტყვის.  
მიწაში არ ჩავწვები, მინდა, ვილიღინო,  
მომაწოდეთ ყანწები! ჩამომისხით ღვინო!  
გაუღენთილი ვიქნები, წყაროსპირას ვით ხე,  
ცეცხლში შავი ფიქრები! ჩემთან ჩემი სითხე!  
რომ მოკვდები, არია დამადევნეთ ერთი:  
„ჩემი მეგობარია ღიონისე ღმერთი!“

### ვხელავ

17.05.2009.

ვნახე, თავის შვილებს ხოცავდა მედეა,  
ვნახე ოიდიპო, დევნილი, ეული,  
არ ვიცი, იმედში რა სიიმედია,  
ან რისთვის მოძრაობს ეს ჩემი სხეული,  
ავი და წყეული?  
ვნახე, შურს ანთხევდა შვილებზე მედეა.

ვნახე მოქცევამდე პავლე მოციქული,  
თუ როგორ ახვევდა ღვთის რწმენას ღამეში,  
მე ვნახე კრწანისი, ძვლებით მოჭიქული,  
ვნახე, უკვდავებას კლავდა გილგამეში.  
თვალდათხრილ ღამეში  
პავლე, უღვთობისგან მთლად გამოფიტული.

ვნახე დაკლავნილი გველივით ნილოსი,  
ქათქათა, მუქშავი, წითელი, ცისფერი,  
ვენერა, მილოსი, ზღვა მარმარილოსი,  
ზეცის დამცინავი ვნახე ლუციფერი  
აკალუსისფერი.  
ვნახე უხელებო ვენერა, მილოსი.

ვხელავ ჩემს საფლავზე აფრენილ არწივებს,  
ეჰ, ჩემი ოცნება მიწაზე დიდია!...  
მე ვერ ვგუები უცხო სიმარტივეს

და ჩემი ლექსები ზეცაში მიდიან,  
ზეცა კი მშვიდია.  
ვხედავ ჩემს საფლავზე აფრენილ არწივებს!

## ფრენა, სიშიშვლე სულის

23.05.2009.

ტრიალებს ანაშის სურნელი ყანაში,  
ვხედავ მორიელებს და მემორიალებს,  
არ არის ტიშეა, არც სიეჭიძეა  
და შხამთა დინება მახრჩობს, მეძინება.  
მოკლდება კაბა და სიშიშვლე დაბადა,  
იცლება ბოთლები, მზეს ვემგალობლები.  
ხე ნაყოფს არ ისხამს, მივყავარ ქარიშხალს  
მე იმ ქვეყანაში, სურნელი ანაშის  
კიდევ რომ ტრიალებს, ჩემს თავს მწოლიარეს  
ვაჩუქე დინება, კვლები, მეძინება.  
სიბრმავემ მახარა სიშავე – ჭაღარა,  
მიქრება ტაძარი, თავი ვერ დავძარი,  
კვლავ ჩანან ანდებად ბორცვების ლანდები,  
ხაზები, ფოთლები, მზეს ვემგალობლები:  
– საშიში არ არის ჰაშიშის კამარა!  
მეექვსე წუთია, რაც უკვე უთია  
მზემ ღამე ნაპრალებს და თავს ვერ მამბრალებს  
მე სავსე ჭიქები, გრიგალს კვლავ უმაღლესს  
და სიიღუმალეს კვლავ ვემუსიკები.  
წყვდიადი, ქვაბული; არ მინდა სხვა გული!  
ზღვა მოჩანს და ფრთები, ვაფრენ და ვმძაფრდები,  
მე დაფრენ! თასებო, ნუ მეთასებით!  
წინ ისევ თასია, მე მჭამს ფანტაზია,  
გამიშვი ფობია, კვლავ ძილი ჯობია!

## ფერისცვალება

19.08.2010.

ღმერთო, სად წავიდე? მე მინდა ბიბლია,  
დე, ვიყო რძისფერი ფურცლებით ნაცემი,  
ახლა სინანული ის წმინდა ხიბლია,  
რომელიც დამიხსნის მუხლებზე დაცემით.  
ღმერთო, სად წავიდე? მე მინდა ბიბლია.

თუკი ვარ სნეული, თუ გრძნობა სენია,  
ლოცვა თუ უშველის კაენის კაეშანს,  
სხეულს გადარეულს ისლა დარჩენია,  
ხატების წინაშე მუხლებზე დაეშვას:  
„მიხსენი უფალო, გრძნობები სენია!“

მომირჩეს იარა ამურის ისრისა,  
აღარ მსურს კერპები, აღარც ფეტიშები,  
რადგან სიყვარულმა გული გამისრისა,  
ღმერთო, აღმადგინე, წარსულს ვეთიშები  
– მომირჩეს იარა ამურის ისრისა!

## ორკესტრები

09.11.2010.

ვიარე. ვიპოვე მხოლოდ ადევნება,  
ლოდი აღმართების და ტყავი შავრენის,  
დახტიან ცრემლები მღვრიე შადრევნებად  
და მარად მტოვებენ მგელივით აღრენილის.  
მკერდში ვულკანია! ყელში – ორკესტრები,  
ირგვლივ იავნანა, ლამე კი – მდუმარი,  
ვიცი, ჩემს დაკრძალვას ცოცხლად მოვესწრები,  
ჩემი გასვენების ვიქნები სტუმარი!...  
ჭალა კი შრიალებს... იქ, მთვარის მღევარი  
მოჩანს ჯვარი, თოხი, საყდარი, კერია,  
მწვანე ვენახები, თეთრი სატევარი,  
– ამაზე ქართული აღარაფერია!  
ისევ ძველ სასმისებს შესვამენ გლეხები,  
ისევ განათლება არავის ხეობა,  
ხსოვნაში ძველ გმირებს ლოცვით შევეხები,  
რომ ვიგრძნო ქართული სისხლი და მეობა!  
სამასი, სამასი! ქართლი და ელადა,  
ისევ თერმოპილე, კრწანისი, ცხედრები,  
სუფრაზე დევგმირებს ჩაუდგამთ ხელადა,  
უფსკრულში ლოლავენ სატანის მხედრები!  
სადაც კავკასიის პიტალო მთებია,  
სადაც სატანის და ღმერთის დუელია,  
სადაც კელაპტრებიც თრთოლვით ინთებიან,  
ნურასდროს მუხლმოყრას ჩვენგან ნუ ელიან!

ლამე გამყინავი. ზამთარი. ნისლეები.  
თვალეებმა უცნობი ცრემლები დაღვარეს.  
მე ახლა ნამდვილად ჭკუიდან ვიშლები  
და სიკვდილს ვეძახი, ვნებიანს, საყვარელს.  
მიმზერს მოვერცხლილი იუდას პროფილი,  
მაზიდებს ჰაერი, ბინძური, მოშავო,  
მთვარე ამაზრზენი, როგორც ნეკროფილი!...  
სად ხარ მომავალო, სიკვდილის მროშავო?!  
სად ხარ დავიწყებავ, მე დიდხანს გელოდი,  
როდის მოხვიდოდი ფაშატზე მძინარე,  
სიზმრებში მანჯღრევდა ფუძის ანგელოზი  
და მოღრიალებდა წითელი მდინარე.  
შვება არ არსებობს! დავათრევ კალათებს,  
სავსეებს ტკივილით, სიავის წიხლებით,  
ვიცი, ჩემი სევდა მე არ მილალატებს,  
თუ ერთად ქუჩაში არ დავისისხლებით!

**ლოლის მოლოდინი**

03.01.2011.

ბნელი და ნათელი. ხან აქ ვარ, ხან იქა,  
დუმბილში ღრიალის ეფექტი ერია,  
სარკიდან მიყურებს ადამის პანიკა  
და ლანდებს დასცინის ვვას ისტერია.  
მიწა შეიშალა! დღეს ფული ტახტია,  
ტანზე დაცურავენ უზნეო თითები,  
მათრახის ლურსმნები ჩემს ზურგზე დახტიან  
და ჩემს ჩასაქოლად ლოდებს ვეზიდები.  
ყელში მეჩხირება უღმერთო ბაზარი,  
ფეხქვეშ გაფანტული იუდას ვერცხლია,  
მე მინდა საფლავში (დე, იყოს, რაც არი)  
– დღეები წარსულის სურათებს ვერ ცვლიან!  
შუბლზე გაყინული ფიჭრის ეტლებია  
და უშუბლისძარღვოდ მიმეტებს ყოველი...  
ეს დამპალი წლებიც წლებში მეთვლებიან  
და მარად საკუთარ დასასრულს მოველი!



როგორ მინდოდა, ბავშვი ვიყავი როცა,  
გავზრდილიყავი დიდი კლდეების ტოლი,  
როგორ მინდოდა, მარტოსულობის დროსაც,  
ჩემი ადგილი ღმერთში მეპოვა ბრძოლით,  
როგორ მინდოდა, ვყოფილიყავი კაცი,  
იზიარებდნენ რომლის კარგსაც და ავსაც,  
როგორ მინდოდა, გამეგო სითბოს ფასი,  
როგორ მინდოდა, არ ვქცეულიყავ ხავსად,  
როგორ მინდოდა, ცრემლი მქონოდა სარკედ,  
არ მაპატიეს მაგრამ პატარა ცოდვაც,  
მე სინანულის უძირო ნერგი დავრგე  
და სინანული როგორ აღიქვეს?! – ბოდვად!...  
მე აღარ მჭერა არაფრის, რასაც ქვია  
– მზე გაზაფხულის, სითბო, ღიმილი სახის,  
დაე, მესროლეთ შუბლში ორმოცი ტყვია,  
იქ, ყვავილები სადაც ყვავიან ბალის,  
ოღონდ, აღირსეთ ჩემი ცხედარი მიწას,  
ნუ დამამადლებთ ოღონდაც მტკაველს ხალხო...  
ჩემი არყოფნის საყვარელ სახელს ვფიცავ,  
უკვე ავუღე საყვარელ სიკვდილს ალლო!

მე-ლოდია

08.05.2010.

მდინარის ნაპირებს წვიმები ატირებს,  
ამინდი აპირებს, აავსოს ის ჭიქა,  
მშრალი რომ მეგონა... ადრე მე დემონად  
ვნახე დეზდემონა – ლოცვა და მისტიკა!  
ქრება ირონია, ყველგან მირონია,  
აქ ბაირონია, იქ – მზერა ლოდების,  
ლექსები მოდიან, რა მძიმე ლოდია,  
ჟღერდა მე-ლოდია საკუთარ გოდების!  
ნარნარებს მდინარე, მშვიდი, სხივმდინარე,  
გოგონა მძინარე – ადგილზე დავები!  
მოცინარ მდინარის ნაპირზე ვინ არის?  
ასულის მძინარის მოჩანს ნაწნავები...  
ესწრაფვის მზე მაისს, უღიმის მზე დაისს,  
მსხვერპლნი ვართ მე და ის ახალი ვერონის!

მდინარე, ტივები, ნაპირზე მივები,  
ფურცლების მძივები და „დეკამერონი!“  
ძილია, ზღვა რულის, სიტყვები ფარული,  
ფრთები სიყვარულის ღრუბლებში ეფლობა!  
რა ტკბილი ხილია, ზღვა რულის, ძილია,  
ნორჩი იდილია და... უბერებლობა.

## სუფრა კაიფური

29.05.2010.

სუფრა კაიფური, ღვინო, კაი პური,  
ბრწყინავს ფაიფური, ბრწყინავენ ყანწები,  
ამღერდნენ ბოთლები, მწვანეა სოფლები,  
მზეს ვემგალობლები, ღრუბლებში დავწვები!

გამიქრა იარა, სიტყვებმ დამიარა,  
ლექსმა მაზიარა პოეტურ მწვერვალებს,  
სად ხორცი, სად – სული, ცოცხლდება წარსული,  
ღვინოში ქართული წვეთები ელვარებს!

ნეტავი, თუ არი ხსოვნაში უარი,  
ანდა მემუარი რა ამბავს ეხება?  
რაზე წერს, რა არის, მისი ენა რის  
ოქროს ზენაარის მწვერვალი ეგება!

ცა საბნად მეხურა, მოფრინდეს ბელურა,  
ჩემსკენ საფეხურად დავუგებ ირაოს,  
გამოყვეს ნიავეს, იის სიიავეს,  
პლანეტის სიავე რომ ააყიროს!

## მაესტრო

13.06.2010.

პოეტო, რა ქენი; ზურმუხტის ბაგენი,  
უცხო კართაგენი იპოვე სულისა!  
ცურვით მოვიარე მხარე მგლოვიარე,  
მხარე მგრძნობიარე – ვიყავი ულისე.

ვიარე, ვილოცე პროეტურ კილოზე,  
ვენერა მილოსელს ხელები მივეცი,  
ფუნჯები ხატავენ ღრუბლების სადავეს,  
სულის სისადავეს – ჩვენი, ორივესი.

ვიმღეროთ არია, იქ, სადაც ქარია,  
სადაც არ არიან გულები მოშავო,  
თითებში გამება ნოტები, გამები,  
სიცოცხლე ამეფე სიკვდილის მროშავო!

ყაოდა გნიასი ვარდის და იასი,  
ტილო გოიასი – სამეფო მანეტრო,  
იმედი, თოლია, ნაპირზე მოლია,  
მწვერვალებს თოვლიანს სიზმარი დაესწრო!

კოცონი მოედო ჩვენს კალმებს პროეტო,  
უცხო კანოეთი გავცუროთ ზეცაში,  
ივსება არსებით ბრინჯაოს თასები  
და გვეათასები ღვთიურო ზედაშე!

## სამი რვიანი

(დაცემულ გმირებს)

08.08.2008.

დილით ქუჩას აღვიძებს გამყინავი ხმები,  
თვალეებს ახელს ქალაქი, იფანტება ხალხი,  
ზეცას სერავს მრავალი დიდი რკინის ჩიტი.

მე ცრემლი ვარ, თვალეებში მე აღარ ვარ, ვხმები,  
გაქრა ყველა ფერები, დარჩა მხოლოდ თალხი,  
შეიცვალა ლამის ცა, ლოცვასავით მშვიდი.

მოიფინა ქუჩები, დაჭრილებით, მკვდრებით,  
გულს გვიგმირავს მოძმეთა გამოხედვა მტრული,  
ისმის ჩუმი ტირილი, ისმის გმინვა, კვნესა.

ჩვენ გვახელებს ბურუსი, სისხლის სუნით ვთვრებით,  
დილა, მაგრამ წყვდიადი, აგონია სრული,  
– ყველა წესი იქცევა გადარჩენის წესად.

მთების იქით ხრიალებს ბრმა სვაგების ბუდე,  
ჩრდილოეთით გამოჩნდა გაყინული სახე,  
მას სურს ჩვენი ჩაძირვა, მას სურს ჩვენი შესმა.

ყველგან კვამლი ტრიალებს, ტალღოვანი, მრუდე,  
სად ხარ სულო ბოროტო, რა ომია ნახე,  
სახე იქნებ გიცვალოს უფლის ათმა წესმა!

ღამე დილით იცვლება, ავი – კარგით, ვიცი,  
საქართველო არ კარგავს ენას, მამულს, იმედს,  
ის დაკარგავს მეომრებს, არ ივიწყებს მხოლოდ.

ბრძოლის ველზე ვინც დადო ერთგულების ფიცი,  
ვინც დაღვარა სისხლი და ომს სუნთქავდა მიძიმეს,  
გაუმარჯოს! ცაშია მათი ბინა ბოლო!

## ამაყი ერი

12.08.2008.

(ამ ლექსს ვუძღვნი ჩემს საქართველოს)

„საქართველოვ, დაიჩოქე, დაბლა დადე მუხლები!“  
– ჩრდილოეთით ისმის წყევლა და შეშლილი მუქარა,  
ქართველ ხალხში დღეს იღვიძებს რისხვა ჯერ ხელუხლები,  
ამაყია ერი – ტირანს თავი არ დაუხარა!


თუმცა, ცაც კი არ გვინახავს მაშინ დაუსერავი,  
ჩვენ მივდივართ წინ, პირდაპირ, მხოლოდ წინ, წინ, წინ, ასე!  
ჩვენ დაიჩოქილს ვერასოდეს დაგვინახავს ვერავინ,  
საქართველო დაიჩოქებს მხოლოდ უფლის წინაშე!

## ჭაობი

25.09.2012.

ხალხი ქუჩაში ტაშით ხვდება მსახიობ ვარდებს,  
დადის სპექტაკლზე, ან ეკრანთან ბლავის, ერთობა,  
ბრბოსთვის კარგია მკვდარი მტერი, თუნდაც ის ყარდეს  
და გაუმადლარ კაცთა მხრებზე დგას უღმერთობა.

მაგრამ მგლის ლეკვი მგლის ლეკვია... ფეხს იდგამს იგი,  
ის სწავლობს ღრენას და მომავალს უმღერის ნანას,  
დღეს ბრძოლის ველზე დიდგორელთა დაუდგა რიგი  
ჰალსტუხიანი ბაყაყების ცხრაწლიან ხანას.



## აკალუსის ხურმა

30.11.2009.

დავიბადე, დაიბადა სული მარტო,  
ვიზრდებოდი, არ დგებოდა გული მკერდში,  
რატომ ერჩი სულს მოტირალს დარდო მარდო,  
მარტო, თვეო გაზაფხულის რატომ ერჩი  
თვალებს, უცხო სამყაროში მზირალს, მარტო.

ვიზრდებოდი, არ მინდოდა გაზრდა თითქოს,  
არ მტოვდებდა ბავშვის ფიქრთა ვრცელი ურდო,  
ახლაც სული იმ ბავშვობის ფიქრებს ითხოვს,  
არ იზრდება, უნდა თავი გაიჭურდოს  
და იანვრის ღრმა უფსკრულში დარჩა თითქოს.

დროს რა ვუყო, მის მარწუხებს არ ვეცლები,  
მე მაწუხებს რბოლა დროის, ო, ის გარბის,  
არ მტოვებენ მარტოობის სარეცლები,  
მე არ მტოვებს მარტოს მარტი – ცრემლი ჭარბი,  
იცის, ხარბი მის მარწუხებს არ ვეცლები.

მე ვერ ვტოვებ ჩემს სიცოცხლეს – ის ხილია,  
შემიფარდა აკალუსის მწარე ხურმა,  
შევიძულე ლურჯი სიზმრის იდილია,  
შემიძულა დავიწყების ძველმა პურმა  
და ვერ მტოვებს მოგონება – ის ხილია.

ახლა მე ვარ უცხო სიზმრის ძველი მკვიდრი,  
მე მწყურია – უცხო ზეცის გავხდე ქურდი,  
არას ნიშნავს ჩემთვის ოქრო ვინმე მდიდრის,  
გავიღიმებ, ხსოვნის სხივებს თუ მოვწყურდი,  
მინდა ვიყო თქვენი ხსოვნის ძველი მკვიდრი!

## ნინო

21.05.2007.

ლამემ გულში ჩამიხატა მე ხატები,  
შენ აისი გჩუქნის წმინდა სახელს – ნინოს,  
მე ძილში ვარ... ზმანებაში მეცხადები,  
მე დედოფალს ვხედავ, ასე უგვირგვინოს.

მე წყურვილი შემასწავლეს შენი ევა  
თეთრმა მთვარემ და ფიქრებმა შენი მგონის,  
შენს წინაშე ღამე ნისლში გაითევა  
და სიკვდილის იდუმალი ხილვა მკოცნის.

საშინელობა დასასრულობა განთიადი  
რად მომიკლა ერთი ღამის ნეტარებით?  
გატეხილო სამკაულო, აფრთიანდი,  
ჩვენ წყვდიადშიც მაისის მზეს ვედარებით!

სადღაც დაქრის შენმიერი სიო, ნინო  
და მე ვხვდები, გულში ეკლად რა ისობა:  
სადღაც ტირის შენმიერი ვიოლინო  
და ყვითლდება შენმიერი მაისობა!

## საიდუმლო

18.04.2010.

საღამოა. აპრილის მზე ჩადის იქით,  
მთების იქით, საღაც დარდის ბინა არის...  
ამღერდება გული ცრემლით და მუსიკით,  
მიქრის ფიქრი წვიმის სიმის, მთვარის ქარის.  
მე ვეძახი ღიმილს, სითბოს: „სად ხარ ხილო?“  
ვიცი, დამსჯის მე ცხოვრება უღიმილოდ.  
აღარ მოჩანს ჰორზონტზე არც აკვანი,  
არც ბავშვობა, არც ღიმილი მოჩანს სადმე,  
ჩემი ხორცი მიწაშია ჩასაყვანი,  
ჩემი სული ლექსებისთვის უკვე დავთმე,  
მე ვყრი ფარ-ხმალს... მოერიე მუხას მუძლო,  
დუმილშია ახლა ჩემი საიდუმლო.  
მუხლებს მიყვლევს სინანულის მე ფიალა,  
კვოცნი სურათს სულის თრთოლვით, განა ვნებით,  
მე სიკვდილის აღზევება მეტრფიალა,  
შევიმოსე მისი თეთრი გალავნებით,  
მაგრამ არ მსურს არაფერი, არ მსურს! და მე...  
ვიცი, მელის ცივი ზამთრის გრძელი ღამე.  
თუ ჩუმად ვარ, ჩუმად არ ვარ, შიგნით ვტირი,  
ახარებენ ნერგს აისი, აისს ნერგი,  
ლექსებშია ახლა ჩემი შესაწირი,  
ახლა ვწერ და დულს ჩემს მკერდში აისბერგი!..

სულს უფსკრულში ხსოვნა ვიდრე დაიგულეებს,  
ჩემს საფლავზე ველი მე თქვენს თაიგულეებს...

## მომავლის მდინარე

26.01.2011.

მდინარეა ლურჯი ნისლის, ღრმა და ჩუმი,  
ირევთან მზის ტალღები თმებში, თეთრი,  
ირევთან მზის ტალღები ბლავვი, მკვეთრი,  
თვალეებს მჭრიდა ცისარტყელის აბრეშუმი.

გზას მივიკვლევ თბილ ტალღებში არითმულად,  
შენს შავ თმებში მიმოზები გართმულან.

არავინ ჩანს... არც მეთევზე, არც ნავეები,  
ჩემს სახეზე დათარეშობს თვით თარეში,  
ჩემს სახეზე თარეშია მდინარეში,  
მე მახრჩობენ მზის წითელი ნაწნავები,  
მახრჩობს პოეტს ფიჭრი ტანჯვის, დარდის ურვის,  
უმომავლოდ მივყვებოდი ტალღებს ცურვით.

მე ვიცი, რომ წარმოსახვა თეთრი ღამის  
– დილით ცაზე გავარდნილი მეხებია,  
მე ვგრძნობ, ვიცი – ეგ თითები მეხებიან,  
ხელისგულეებს დაასველებს ცხელი ნამი...

ეს შეჩვედრა უტკბილესი გემოსია,  
მე ვტიროდი; ტაშს მიკრავდა ემოცია.

ერთი სახე არსებობდა ჩემში მარად  
და იქნება... ლექსს მივუძღვნი ათას სტროფად,  
ის იქნება, როგორც სულის კატასტროფა,  
როგორც ფიჭრი, აფრენილი ცის კამარად,  
ისე წასვლა არ მსურს, ერთხელ რომ არ ვნახო...  
მაგრამ ვიცი – მე დავრჩები უიმსახოდ.

## ნირვანაში

28.02.2011.

ბავშვობაში არ მიყვარდა ღამე უფრო,  
მეშინოდა ხელახალი კვდომის მაშინ,  
ახლა ღამის მწუხარში ვხედავ ჩემს საუფლოს,  
ვიძინებ და ვიპარები ნირვანაში,  
რომ სიზმარმა აუხსნელთან ისაუბროს.



ცხელი ხილვა: ვდგავარ მთაზე, როგორც მუხა,  
დედამიწას ამავრებდა ჩემი ფესვი,  
ლეღები თქრიალებენ დაბლა უხვად,  
მთის მწვერვალზე განდევილის სითხე შევსვი,  
შევეჩვიე მარტოობას, აღარ ვწუხვარ.

აღიონი, მზე ანათებს. მზე ეჭვია,  
მზეს ვუყურებ გაცვებით, მჟავე სევდით,  
უმზეობას სული ისე შეეჩვია...  
როცა მე და ჩემი სული დავეძებდით,  
მზე სად იყო? მზის არ მჯერა, მზე ეჭვია.

ჩემს და მიწას შორის შავი ტიხრებია,  
ჩემს ლაწვებზე ცრემლებია თითის სიმსხო,  
ჩემი წლებიც სიკვდილისკენ იხრებიან,  
მაგრამ დაბლა დულს სამყარო, რადგან ის ხომ  
სამყაროა, განა ჩემი ფიქრებია.

## ლოცვის დრო

23.05.2011.

დილა იყო გაზაფხულის; აკლდა მაშინ  
სულს სიმშვიდე, ეტყობოდა სხეულს დაღლა,  
მზე ეკიდა ლურჯ ზეცაში, სადღაც, მაღლა,  
შევდიოდი ჩემს ნაცრისფერ აკლდამაში,  
ლოცვის დროა; ზარებს ვრეკავ მნათესავით,  
ვარ ცრემლის და მარტოობის ნათესავი.  
ქარი ქროდა... ქარი ანგრევს ირგვლივ ყოველს,  
გთხოვ, გამაქრე, როგორც საპნის ბუშტი, ქარო,  
მე ვლოცულობ; ვარ უჯვრო და უსტიქარო,  
ჩემს თავს ვუძღვნი გარიყვას და სიმარტოვეს,  
ლოცვის დროა; გლოვის ზარებს რეკავს ქარი,  
ქარი არის ჩემი სულის საჩუქარი.  
მინდა, უკან რომ გავბრუნდე, გასვლა მინდა,  
ჩაკეტილი არის მაგრამ კლდეკარები,  
თეთრ ჰორიზონტს ახლა ვეღარ ვეკარები,  
სხვა ქვეყანას ვხედავ ახლა აკლდამიდან,  
ლოცვის დროა; როგორც მნათე, ვრეკავ ზარებს,  
მე ლოცვაში ვხედავ ჩემს თავს – ვით ლაზარეს.

მარტოობით ჩემი თავის მიწვევს შეჭმა,  
მე ვერ მცნობენ... მე უცხო ვარ, ვათრევ ლოდებს,  
მე ჩამქოლეთ! დაე, ყველა დამცინოდეს,  
მომაჩვენა იქნებ თავი ლოდად კენჭმა,  
ლოცვის დროა; ზარებს ვრეკავ, როგორც მნათე,  
ღმერთო, ბნელი ბილიკები გამინათე!  
მეფანტება წლები, როგორც წვიმის მარში,  
მეფანტება ქარიშხლის და ავდრის გამო  
– ფიქრის ფარა, უმწყემსო და უდედმამო,  
ოცნებები თავს იყრიან ჩემს ტაძარში,  
ლოცვის დროა, ლოცვაშია ჩემი ტროა,  
მე ვლოცულობ: ლოცვის დროა, ლოცვის დროა.

## მეთევზე და მე

24.05.2011.

ნავი. ნავში მეთევზეა. უჩანს ხელში  
ჩანჩქერებით მოქსოვილი შავი ბადე,  
მე იმ ბადის მარად მკვიდრად დავიბადე,  
იგი არის სამყაროსთან ჩემი ელჩი,  
კიდევ ნავი და მეთევზე, ზღვა მერეა,  
მერე კალმის და ლექსების გაღერეა.  
ის მოხუცი ზღვაში აგდებს დილით ბადეს,  
სად გავუქცე მე იმ ბადეს? შიგნით ვზვდები,  
თეთრი წვერი, მოხუცს რომ აქვს, ის ნაკვთები,  
მაშინ ჩემში სინანულს და ცრემლებს ბადებს:  
ის მეთევზე უფალია, მისი ნავი  
– ის საუფლო, ვერ მოხვდება სადაც ავი.

## ქალისთვის

08.06.2010.

გუშინლამ ვისიზმრე ელენე, ტროა,  
ჩემს თვალებს ეძინათ მაშინ,  
ამალამ დავტოვე ქალაქი – დროა,  
გავიღე სევდიან ზღვაში.  
ომია, სისხლისღვრა, ქალი კი არ ჩანს,  
ქალები უსხედან აკვანს,  
წირავენ გმირები სიცოცხლის მარჯანს  
– ქალისთვის; ქალს სცემენ თაყვანს.

ვერ ვნახე ითაკა, ვერ ვნახე კერა,  
არ არის ჩემს გვერდით ცოლი,  
ტკბილია ის, როგორც ნიმფების ცქერა  
და წმინდა, ვით მთებში თოვლი.  
ვიყავი ბრძოლაში, განვდევენე შიში,  
მეხვია გარ შემო მტრები,  
ქალისთვის ვიყავი მკაცრი და გიჟი  
და ისევ იმ ქალით ვთვრები.

## უიმედობა

14.03.2011.

მეწამულ ლანდებში სიკვდილი ანთია,  
ყინულზე გადადის ბორანი.  
წყვდიადი თეთრია, როგორც ლაპლანდია,  
მწყველის და დამჩხავის ყორანი.  
ცრემლებით ივსება ზურმუხტის ამფორა,  
სატანა ცეკვავდა კუბოზე;  
ისევ გიშრისფერი თასი მემამბორა,  
თავი ისევ სევდას ვუბოძე.  
შავი ლექსი არის დღეს ჩემი გადია,  
(ნეტავ, თეთრი ფიქრი ვისია?)  
ფართო ასპარეზზე ხუნდები გადიან,  
სრულდება შეწირვის მისია.  
წითელ დერეფანში უცნობი ლანდია,  
(მსურს, სარკე დავფშვნა და დავშალო!)  
ჩემს სულში იმედი დღეს აღარ ანთია,  
ჩემი იმედების თავშალო!

## ხელებში თასი მომაწოდეთ

21.12.2008.

ხელებში თასი მომაწოდეთ! ამ თასის მარში  
ლალობს ჰიმნივით; სიტყვაც ჰიმნი არის ქართული,  
მყოფი პათოსში, ჩაძირული ანდა სიზმარში,  
მე ლექსებზე ვარ გადახლართული.  
ვიცხოვრე ცოტა, მაგრამ ბევრი; თავი ვუხარე  
ტკივილის ტკივილს, მე მშველოდა სიტყვა ქართული,  
გარედან ცივი, მაგრამ შიგნით ცხელი, მდუღარე,  
სიყვარულისთვის ვარ შემართული.

მე პოეზიამ მომაწოდა ლუკმა ულევნი,  
ღვთისმშობელია ლუკმა იგი – სული ქართული,  
მულამ სისხლსავსე, ან სიტყბოთი ნამარხულევი,  
ჩვენზე ლოცვით ვარ ახლა გართული.

## **ძველ გმირებს**

21.03.2009.

აქ, ჩვენს წინაშე თქვენი ხსოვნის სავესე თასია,  
თქვენთან კვლავ სიტყვა, მიწა, ჯვარი – თქვენი პურია!  
თქვენ წასულეზად ვერ აღვიქვამთ ვერც ფანტაზია  
და მეც თქვენსავით ბრძოლა მწყურია!

ძველო გმირებო, უკვდავების წვეთები მოსვით,  
მეც თქვენთან მინდა! შემოვძახოთ ერთად ქართული!  
ერთი სული მაქვს, გნახავთ როდის და თქვენზე ლოცვით  
მე ხელები მაქვს ზეაღმართული.

## **მე უნდა გავხდე უფრო ძლიერი**

17.06.2007.

მე უნდა გავხდე უფრო ძლიერი,  
ვიდრე სტრიქონი ნებისმიერი,  
ასე ვაპირებ.  
მგონის ლხინი აქ, ჭირი იქ იყო,ს,  
მოვაკეტინებ ყველა კრიტიკოსს  
და მონადირეს,  
რომელიც ნადავლს ეძებს დავაში,  
დაბრაწულია, როგორც ლავაში,  
მზერა – ეკალი.  
ხემ რაც უნდა თქვას, მაინც კუნძია  
და არ ირღვევა მისი ფუნქცია  
„მოუდრეკავი“.  
ცარიელია იმ თასის საგა,  
ვინც კი გამხდარა სიბრაზისაგან  
თავმოწითალო.  
მაგრამ ის კამათს არ ერიდება...  
აქ მო პიტალო, ჩემი დიდება  
ჩამოგითალო!

## ორკესტრების შადრევანი

25.08.2007.

მე ვერ ვივიწყებ ვერცერთ სიზმარს, ვერცერთ იაღონს  
– ეპიტაფიას ჩემს აკლამაზე,  
ჩემმა ცხოვრებამ წამი მინდა გამიდიადოს,  
მჯერა, მასშია სხვა სილამაზე!

ანკარა ცაში მოჩანს თეთრი მტრედების გუნდი  
– ეს გაფრენილი ჩემი ფრთებია...  
გრილი სხეული მიმწვიდდება, ღრუბლებს მოვუნდი,  
მაგრამ ცრემლები მიმძაფრდებიან!

ვტოვებ სულიერ მარტოობას, ასე მგონია  
და ისევ მტანჯავს ფრენის მანია...  
რა ხმები მესმის, გალობაა, თუ სიმფონია,  
თუ ორკესტრების შადრევანია?!

## თვითმკვლელის ბალადა

12.04.2009.

მივემგზავრები ქვეყანაში, სადაც ნისლია,  
სადაც მარადი სიმწვიდეა, სადაც არავის  
არ შეუძლია ყოფნა, არა! არ შემიძლია  
რომ მსხვერპლი ვიყო სიპატარავის!

მე ჩუმად ვტირი, სინანულის ცეცხლი მენდობა,  
მე ღმერთთან მინდა საუბარი, მაკლია მე ის,  
მაგრამ არ მიშვებს მარტოობა, უიმედობა,  
იქ საკუთარი ვიხილე face!

თუკი არსებობს საიქიო ცხოვრება, მაშინ  
რატომ პირდაპირ იქ არ გავჩნდი? ჩემს სუნთქვას ვწყველი,  
ვწყველი ცხოვრებას, ვწყველი გრძნობებს, წავალ სიზმარში,  
გავხდები ცოდვის მარადი მრევლი!

ვიცხოვრო? რისთვის? რა ვიხილე სიავის გარდა?  
ნიავის ფარდა გულს ტკბილ ეკლად თუ არ ესობა,  
მივდივარ, ვტოვებ ამა ქვეყნად რაც კი მიყვარდა,  
არც იქ არ არის უარესობა!

როგორ გეძებდი! სადა ხარ შტორმო,  
განმბანე! ჩემში ახლა ცოფია,  
მას ელოდება ორმო უნორმო,  
გლოვა, სიმშვიდე და მუსიკის ფილოსოფია.

ოვაციებით ქანაობს ჭალი,  
ახლა არიაც აიდგამს ენას,  
ერთმანეთს ცვლიან მოცარტი, ბახი  
და განაგებენ დადუმებულ მსმენელთა სმენას.

თვალწინ მემსხვრევა ყველა გისოსი,  
ყინვა თვალებში ველარ მიყურებს,  
მე სხვა სამყაროს ვარ მუსიკოსი,  
ვუმღერ სუფარულს და ვარსკვლავებს ფანტასტიკურებს.

სადღაც ჰანგები დაირხა ვერდის,  
მე მიმძაფრდება ფრენის მანია,  
მხრავდა ცხოვრების ხაო ხავერდის,  
მაგრამ ეს ღამე სულს არასდროს არ უნანია.

ვუსმენ ტაშს მჭუხარს, ცხელს და მხიარულს,  
ჩუმმა სიჩუმე თავს ვერ ვუპოვე,  
ვყყურებს საფლავს მემორიალურს  
და საკუთარი დავიწყების ვარ მეკუბოვე.

### ყველა დროში ვარ

23.06.2008.

ყველა დროში ვარ, მომავალში – განსაკუთრებით.  
დამიმახსოვრა ყველა თარიღმა.  
არ მანებვირებს ბედი არც მზით, არც საჩუქრებით  
და მაინც მესმის უხსოვარი ხმა.

ვტირი მდუმარედ. წვიმა ალტობს მეწამულ დისკოს.  
ქეგლის სახეზე თქრიალებს თავსხმა.  
მე კვლევები, ვდგები, ვმეორდები ისევ და თითქოს  
მე საიდანღაც მესმის შოთას ხმა.

აღრიალებულ სტიქიონში გემი ტივტივებს,  
 ნაფოტი, სადაც ზღვა სიცოცხლეს აპრიმიტივებს და ბედს ატირებს,  
 ბნელი წუთები, სადაც ჩვენი მზერა იფლობა,  
 შიში სიკვდილის – ზვიგენის ყბის და უიღბლობა უხმობს ნაპირებს.  
 ზღვის კალაპოტი – ეს მლაშე წყლით სავსე ბიღონი  
 ლელავს, შიგნიდან კვერთხით ანჭორვეს პოსეიდონი, ილესავს კბილებს,  
 გვადებს ბორკილებს, მგ ზავრებს გვმოსავს წყფიანი თალხით,  
 შეშლილი სახით დაგვხარხარებს მრისხანე ტალღით გადალოკილებს.  
 აქ ჩვენი ბორგვა უძლურია, როგორც ამება,  
 აქ ჩვენი რწმენა უხორცო კერპს ესაბამება და ორგან ისმის,  
 – ცაში და სულში, ეს ღრიალი და ეს ვაება  
 გვაწამებს, როგორც ბოროტების შავი ღვთაება სხვა ორგანიზმის.  
 ვლოცულობთ: “ზღვაო, დააწყნარე შენი სტიქია,”  
 აისს მივეტირით, რძისფერს, როგორც მობი დიკია, როგორც თოლია!..  
 ჩვენ ველარ გვშველის ვერც ტრიუმფი, ვერც კაიუტა,  
 ეს ჩვენ მივეყვებით მკვლელ დინებას, თუ ვერცხლს იუდა გამოყოლია?  
 ვერ გვამხნევებდა განწირულებს ცაში ყურება,  
 ჩვენ ვიბრძვით, მაგრამ უკვე ვიცით – განადგურებას გვიქადის ბრძოლა.  
 სადღაც სიღრმიდან პანის შიშის გვესმის გოდება,  
 თითქოს ჰადესმა ქვესკნელების გადესპოტება ამოისროლა!..  
 მაგრამ თოლია! შორს გამოჩნდა ჩუმი კამარით,  
 გვანიშნა თავის ზღვის თვალებით, ნაკამკამარით, მოგვცა პირობა:  
 „თქვენ ხსნილები ხართ ეკიპაჟო ზღვისა და ქარის,  
 დასრულდა ტანჯვა, გვემა, ყინვა, ცივი ზამთარის უნაპირობა!”

**სადღაც ღრუბლებში**

19.02.2008.

გარდაიცვალა მაშინ ჩემი და  
 – შუქი ბავშვობის. მაშინ მწვანე ფორმა მესხა მე.  
 სისხლი მოწვეთავს ამ მარჯვენიდან,  
 ხელი მომაჭრეს! უხმოდ იტანს ნალველს ეს ღამე  
 ჯარისკაცვიით, წაათრიეს რომელიც ჯარში.  
 მე და სიბნელე ვდგავართ კუთხეში,  
 გულის სიღრმეში კვნესოდა მარში,  
 ფორმა მიხუტებს სქელი, უხეში,  
 სადღაც ღრუბლებში სიზმარივით დარჩა ბავშვობა!

და იარაღის მოლაპლაპე სიმარწუხეში  
 ამწყდევენ იმ წლებს, მე მეკუთვინის რომელიც აღარ.  
 რატომღაც მრჩება გული ნაკლული,  
 გაურკვევლობას დაუღია უძირო ხახა,  
 შემოდის დილა, გაწეწილი და შეფაკლული,  
 ხელი ეშვება მიწისაკენ, რის მოსაწყვეტად?  
 მგონი ყვავილის, შერჩენია მიწას რომელიც.  
 დაურქმევია ია მისთვის დედაბუნებას,  
 გაურკვევლობა ისევ მომელის  
 – სველი თვალებით ბავშვობა მთხოვს მე დაბრუნებას!  
 და აღარ ვიღებ, რადგან ვიცი მე:  
 ის კარგი იყო, როცა იყო, ახლა კი აღარ.  
 ქვავდება შავად მოციმციმე ხვალის სიმძიმე,  
 გაურკვევლობას დაუღია უძირო ხახა!  
 ვამბობ: „ვაჩუქოთ მოდი ჩვენს დას ძმებო, ეს ია,  
 ჩვენი წარსულის თბილ ნაპერწკალს, ბავშვობას ძმებო!“  
 ახლაც უმღერის მას ღიმილი და პოეზია!  
 მე და სიბნელე ბავშვებივით ვდგავართ კუთხეში,  
 თვალწინ მელება ალაყაფი. მწვანე სამეფო.  
 ვებრძოდი ფიჭვის შემოტევებს, მძაფრს და შხამიანს  
 და სადღაც, მწვანე და ნისლიან სიმარწუხეში  
 დიდხნას ვცდილობდი და ვცდილობდი, მე რომ გამეგო,  
 ადამიანი რისთვის ებრძვის სხვა ადამიანს.

## მე-ცეცხლი

01.08.2009.

ჩემო ცხოვრებავ, იმზირები ხილულის მიღმა,  
 ახლა ლექსია შენი გენია.  
 თავი მოიკლა ახლა ჩუმმა იმ შენმა რიხმა,  
 სულის სიღრმეში რომ შერჩენია.  
 შენ შიშველი ხარ, როგორც თავვი, შენ ხარ შიშველი  
 და ღრუბლებშია შენი ტიტული,  
 ხარ უმეგობრო, სიბრალულის ხარ გამთიშველი,  
 ხარ ცრემლებისგან გამოფიტული!  
 კაცის სხეულში დაიბადე?! – გინდა ვნება და  
 გინდა სიგიჟე, რომ ვთქვათ უხეშად.  
 საკუთარ თავში მარტოობა რომ დაგებადა,  
 მან კი – სული რომ ვერ გინუგეშა!



შენ ჭაობი ხარ! თუნდაც სხვისი და არა ცოლის,  
გსურს, გეხებოდნენ ქალის ტუჩები.  
ჯერ პატარა ხარ, მაგრამ ჭკნები, როგორც ფოთოლი,  
ნადრევ სიკვდილს ვერ ეურჩები!  
ვერ განარიდე საკუთარ თავს ძველი ობი და  
ობივით მწვანე გერქვა აღრევე,  
ვერც ქეთი, მაკა, ნინი, სოფი ამ ჭაობიდან  
ველარასოდეს ამოგათრევენ!  
ორთა თამაშმა გაიტაცა შენი სხეული,  
გსურს, რომ გრძნობებზე ითამაშო და  
გადადო ნაზ ქალს შენი ცეცხლი გადარეული  
და გამოსტყუო ბავშვი საშოდან!  
საკუთარივე გწვავს კოცონი! „მიხსენ, უფალო!“  
– კვლავ წამოსცდება შენს სულს ვედრება,  
ხეს უნაყოფოს, ალუბლის ხეს უაღუბალოს,  
მხოლოდ უდაბნო თუ შეედრება!

## სიზმარი

14.12.2010.

მაშინ ვფიქრობდი მე სიკვდილზე; დაცემულ სპირიტს  
მე ვუმზადებდი ყორნისფერ დემონს.  
უფსკრულის რაშზე გათიშული ვსწავლობდი ჭირითს  
და ვუსინჯავდი სიგიჟეს გემოს.  
მე დავიღალე ამ ჭირითით. მივეგდე ლოგინს  
და წუთიერი მეწვია ძილი,  
მსურდა სიმშვიდე უბოლოო ტანჯვით გალოკილს,  
მაგრამ ვიხილე ცოდვის ბორკილი.  
ხილვა: ვიყავი თეთრ ოთახში, სადაც წიგნები  
მაიძულებდნენ, მათთვის მეყურა:  
„წაგვიკითხე და უბედური აღარ იქნები,  
არამედ ლალი, როგორც ბელურა“:  
უცნობ წიგნებზე აფათურდნენ ჩემი ხელები  
(გულის სიღრმეში კიდევ ეჭვია),  
უცხო ცხოვრების ქადაგებას ვერ ვემკვლელები,  
გული სიავეს ვერ მიეჩვია.  
მე დავაკვირდი წიგნებს; ყოველ წიგნზე ჯვარია  
და მაახლოებს ღმერთთან, ნაწვალებს:  
„ბნელი თვალები ამიხილე დედა მარიამ,  
რათა განვუდგე ცოდვის საძვალეს!..“

ხმები მომესმა; მაგონებდნენ ისინი ორღანს,  
ეკლები ჩხვლეტდნენ ხორხში იოგებს,  
ჩაინთქა ხევის ქარაფებში ჩემი იორლა,  
არყოფნის აზრი სულს მიწიოკებს.  
ჩემმა ღრიალმა სიჩუმეში შემზარა უცებ,  
დამარცხებული ღოღავდა ბოღმა.  
მე დაოთხილი მოვაგროვებ გულის ნაკუწებს,  
რათა დამტოვოს ეშმაკთა ჭოგმა!  
შემინდე ღმერთო! ამოვაძრობ ლურსმნებს კბილებით,  
შენი ჭვარიდან, სადაც პილატე,  
მე, ჰეროდე და იუდა ვართ ჩაჩოქილები  
და შენი ლოცვის ზღვა მიწილადე!

## გადარჩენის იმედგაცრუება

25.12.2010.

მაშინ იდგა გვიანი შემოდგომის ნათელი,  
თითქოს სხვა სამყაროში ვეწეოდი თრიაქებს,  
(მუდამ ვებლაუჭები იმედს, ფეხქვეშ გათელილს,  
მაგრამ სულის სიმძიმე მუდამ მაფორიაქებს)  
გრიგალს ვგავარ, არ ვგავარ გაზაფხულის ნიავეს,  
მისი ზღვა ენერგია მუდამ ხილვებს მიავეს.  
მეღვიძება ზღვის ფსკერზე, ირგვლივ ბნელა და ცივა,  
თავი მალლა ავწიე, რომ ღრუბლები მეპოვა,  
მივხვდი, რომ გარიყული, უბედური კაცი ვარ  
– ფსკერზე მელის სიკვდილი მძაფრს და შმაგბუნებოვანს!  
ვასავსავებ უმწეოდ ხელებს, მინდა სინათლე,  
მალლა მინდა, გაყინულ სხეულს მალლა მივათრევ.  
ზღვაში დიდხანს ვიბრძოდი, ვიხრჩობოდი სიმძიმით,  
ფილტვებს უნდათ ჰაერი, სული ღრიალს აპირებს,  
მივალწიე ზედაპირს, ვნახე მთვარის ციმციმი,  
როგორც იქნა, შევხედე ზღვის და ზეცის ნაპირებს!  
გამიხარდა, გადავრჩი, ვეცეკვები ზღვის ტალღებს,  
თუმცა შტორმი ბობოქარ და ცივ ტალღებს მიყალყებს.  
მაგრამ ღმერთო... ეს რაა? აქ საიდან მოვედი?  
მახინჯია ქვეყანა! სულო, მომე პირობა:  
– დავბრუნდებით ისევ იქ, ჩვენი სიმარტოვეთი,  
რომ არასდროს ვიხილოთ ქვეყნის უცხვირპირობა!  
„მეშველება ოდესმე?!“ არა, არა, არასდროს!  
სულს უნდა, რომ ცივი ზღვის ბნელი ფსკერი მანატროს...

მკაცრი უდაბნო, პირამიდა. სამკუთხა ჩრდილი  
დაისის ფონზე დაეცემა ქვიშის დიუნებს  
და მილიონი უკვდავება – უდაბნოს ქარი  
მიერეკება ომის ღრუბლებს – მარადიულებს.

გამოძახილი, მოლანდება ათასწეულის,  
სარკოფაგების ქარავანი, სფინქსთა მუმია,  
სადაც დაყვეს და იბატონეს, დღეა ეული,  
საპარის სუნთქვა, მორიელი და სამუშია.

რალაც შორიდან გამოჩნდება კრისტალთა ზღვაში,  
ნუთუ ნანატრი ოაზისი, თუ მირაჟია?  
უკიდევანო ქვიშის გლოვა ჯვართა ზიდვაში,  
რწმენა, იმედი, სიყვარული, სილამაზეა.

**პრელუდია**

15.03.2010.

არავინ არის ვნებიანი შენზე ღმერთმანი!  
მთვრალი და თვალეზახუჭული სხეულს დავცქერი,  
კვანკალებთ ორნი და ვეხებით ბნელში ერთმანეთს,  
ბაგეს აშმაგებს პრელუდიის ცხელი ჩანჩქერი;  
არავინ არის ვნებიანი შენზე, ღმერთმანი.

ტანი ტრიალებს არითმულად, თვალი ხარბია!  
როგორც მუსიკას, ყურს დავუგდებ ღამეულ სლოკინს,  
ჩვენი ხელები ერთმანეთის ტანზე დარბიან,  
ახლა ეს ტახტი მირჩვენია მონარქის ლოგინს!  
ტანი ტრიალებს არითმულად, თვალი ხარბია.

ვინ თქვა, რომ ბრმაა სიყვარული? იგი ბრძენია!  
კვანკალებთ ორნი და ვეხებით ერთმანეთს ბნელში,  
სასთუმლის ჭრილს გადაფარავს ქალის გენია,  
არაფერი თქვა, დუმილია დღეს ჩვენი ელჩი!  
ვინ თქვა, რომ ბრმაა სიყვარული? იგი ბრძენია.

## ტირის ფლეიტა

19.03.2010.

უზენაესი სიყვარულის ლურჯი თვალები!  
ტბის ნაპირები, ნატირები ფარული ვნებით,  
ცქრიალა ქალო, შენს გულს რატომ არ ვებრალები,  
თუ შენს სიზმრებში ერთმანეთთან შენს ბაღში ვდნებით?  
უზენაესი სიყვარულის ლურჯი თვალები.

ფლეიტა ტირის ნათალ ყელში დაკარგულ ჰანგებს!  
ჩუმი ტირილი ისმის სადღაც, რძისფერ ღამეში,  
გული ღრიალებს და ცივ თვალებს მაჩვენებ განგებ,  
ნეტავ, უგულო იმ უარით სულ არ გამეშვი!...  
ფლეიტა ტირის ნათალ მკერდში დაკარგულ ჰანგებს.

აღარც რამეზე არ მსურს ფიქრი... ვიფიქრებ მხოლოდ  
ფიქრზე, რომელიც დამავიწყებს ყველა ფიქრს თავში,  
ჩემს მარტოობას არც ექნება თავი და ბოლო,  
შენ თუ წახვედი, არც სიცოცხლე არ მიღირს მაშინ...  
ჩემი არყოფნის სიმღერაზე ვიფიქრებ მხოლოდ.

ძვირფასო! თეთრო ანგელოზო! აქ ხარ მგონია!  
სადაც არ უნდა იყო – აქ ხარ! ველარც ველები,  
ვერც დრო, ვერც სივრცე, ვერც სიკვდილის ჰეგემონია  
ვერ დაგვაშორებს, შენზე ფიქრებს ვერ შეველევი!  
ძვირფასო, თეთრო ანგელოზო, აქ ხარ მგონია!...

## გულგრილობა

12.07.2010.

საღამო. ძველი ეკლესია. მთვარის თარეში.  
მიტოვებული სასაფლაოს მუნჯი ქაოსი.  
ისმის ხარხარი ქარის ველურ სიმწუხარეში  
და ყრუ ქვითინი მოუვლელი სასაფლაოსი.  
იქ ღამის როკვა უსხეულო ლანდებს გაებათ,  
არ იღლებოდნენ, არც ამბობდნენ: „კმარა დღეისთვის!“  
იყო გნიასი გარდაცვლილთა, იყო ვაება  
და წყვილში ცეკვა ვოლანდის და პოლტერგეისტის.

მათი სიმშვიდე ქაოსშია და იქ მარხია  
ჩურჩულის ღრენა და ლოხ-ნესის ფსკერის დიდება,  
მათი სამოსი მუდამ შიშის გრძელი თალხია,  
ის თმებს გვიყალყებს და არაფერს არ ერიდება.  
ვეძებდი ჩემს თავს... გახრწნილ ხორხში ბლაოდა სპაზმა,  
(ველარაფერი სულის ყინულს ველარ აოცებს)  
მე იმ საღამოს მომაწყველა ქალმა ძვირფასმა  
და ვნახე ჩემი სილუეტი სასაფლაოზე!  
ასე ცოცხლები ვეწირებით სიყალბის წამებს,  
„მსუბუქი იყოს“... როცა წაგალოთ, იტყვიან მაშინ,  
არავინ იცის, რომ რასაც ვგრძნობთ, მუდამ გვაწამებს  
და ვიძირებით გულგრილობის უძირო ზღვაში.

## ფიალები

10.09.2010.

საღამო მძიმედ დაეშვება ნაოჭზე შუბლის,  
საფლავის ქვაზე რვა ციფრს შორის მტრობას ტირივ კლავს.  
სადღაც ყავიან ყავილები თეთრი ალუბლის  
და სულის ფსკერი უბინაო გრიგალს ირეკლავს.  
განვლილ ცხოვრებას ნაოჭები ეთრია შუბლის.

მე და სინათლე სიბნელეში ვიდევით ორნი,  
(კოშმარს დაეწყო ჩემს თვალეში ხელის ფათური)  
გზაზე წაქცეულს მეწეოდა ჩხავილი ყორნის  
და დამათრევედა მოჩვენება ფსიქოპათური.  
ერთი ვიქნები; არ ვიქნებით არასდროს ორნი.

საკუთარ მოდემას განვუღვები, როგორც აფთარი,  
შევთქვლეფ ჩემს სხივებს, ვით დაისი გზაზე ნაგდები,  
მე სინათლისკენ მომაბრუნებს ვერც კელაპტარი,  
ფრენის სურვილით ქვაფენილზე მალე ჩავკვდები,  
მახსოვს: თვით მზესთან ვმეგობრობდი ერთხელ აფთარი.

მაგრამ მე მოვალ, მომიტანეთ იები გვიან!  
იქიდან აეწევ თქვენთან ერთად ხსოვნის ფიალებს,  
საფლავზე ფოსფორს თუ წარსულის კიაფი ქვია,  
– ეს ანგელოსი მზეს მუხლებზე აფორთხიალებს.  
მე დავბრუნდები და მოვითხოვ სიცოცხლეს გვიან.

მეშლილო თავო! სიგიჟეა, გერქვას პოეტი,  
 მაგრამ ცხოვრობდე რუტინული შრომით და ჯაფით,  
 მწვერვალებიდან გიყურებდეს ამაოეთი  
 და ხორხის კედლებს გიკაწრავდეს ხრიალი ხაფი.  
 მაგრამ დრო მოვა, გაშავდება ფოთლებიც მწვანე,  
 უარესისთვის მოემზადე! მიწა ჭრელია!  
 შავი ქვესკნელის როლს მოირგებს მშვიდი სავანე  
 და ფაბრიციოს შეიძულეებს კონტი კლელია.  
 ლექსი ჩადგება სამსახურში ჩაგრული ხალხის,  
 ბავშვთა ღრიალი მოუკვეთავს მუხლებს ნადირებს,  
 მხეცის სახეზე ითამაშებს ღიმილი ბაღლის  
 და სადღაც მგელი დაუჩოქებს შვლის ნუკრს ნატირებს.  
 დეკადენტები დაიდგამენ ბაჭაღლოს ჯილას,  
 ქუჩის გუბიდან ბინძურ სითხეს მონარქიც მოსვამს,  
 „ღმერთის შვილები ერთად ვიყოთ“ – წარმოთქვამს ვილაც  
 და ჯვარზე გაკრულ მაცხოვარის მოვუსმენთ ლოცვას.  
 იუდა ქრისტეს დაუდგება ერთგულ დარაჯად,  
 ჰეროდე ამორტს გააუქმებს, დალოცავს დედებს,  
 ტახტს შეიფერებს უპოვარი, ვით მაჰარაჯა  
 და მხიარული სიმღერები დაღლიან გედებს.  
 კვლავაც დადგება ინტელექტი ბაზარში დახლთან,  
 შეიკვრებიან ყვავილები ისევ კვირტებად,  
 სიღამაჰლე, რაც კი ამ ცხოვრებას ყოველთვის ახლდა,  
 ისევ მოგვწამლავს და არავის გაუკვირდება.  
 ვილაც ხარაკირს გაიკეთებს მუცლის არეში,  
 წერილი გახსნას აიძულეებს მოკუმულ ტუჩებს,  
 ააძვავებებს დედამიწას კალმის თარეში,  
 კაცთა შეცდომა ტაშს დაუკრავს ხორცის სილურჯეს,  
 პატივს მიაგებს წუთიერი დუმილით ცხედარს,  
 რომელსაც გუშინ უარყოფდა, ახლა მკვდარია  
 იმ ჭირისუფლებს, კუბოს ირგვლივ რომლებიც სხედან,  
 ზოგს უჭირს, ზოგს კი ირონიის ესმის არია.  
 დაიღრიჯება მონა ლიზა გომბეშოს სახით,  
 აფთრის მიმიკა ითარეშებს სახეზე კაცთა,  
 უღირიჟორებს ყვავთა ორკესტრს ზეცაში ბახი  
 და იზვიმებს ბოროტების უჯიშო განცდა.

დეკადენტები დაიდგამენ ბაჭალლოს ჯილას,  
ჩაგრული ხალხის სამსახურში ჩადგება ლექსი,  
ქვაზე დააკლავს ეშმაკეულ ყვირილებს ვილაც  
და ჩემს პარიზელ წინამორბედს მოვუჭრი: „merci“.

## ლანდების იმპერია

20.10.2010.

აგრილდა, რუხი გახდა ზეცა. ვიხილე ტროა.  
ვხვდები მომხდურებს, აქაველებს როგორც ჰექტორი.  
უცხო ლანდების ღამეული შეხვედრის დროა,  
ღამევ, იყავი მისტიციზმის არქიტექტორი!  
ყველა უქალო ნაგებობა დაეპყროთ ლანდებს!  
შენდობა მითხრა საიქიოს შავმა ვერსალმა,  
ყრუ დერეფნებში ვილაც ჯუჯა ჩირაღდნებს ანთებს  
და მე მახინჯი ჯოჯოხეთი არ მომესალმა.  
კანი გრძნობს მთვარის ხაოიან, წვიმისფერ ალერსს,  
სული წვალობდა, გამირბოდა; დამტოვეთ მარტო!  
ახლა ყოველი მიწიერი ჰაერს ამყრალებს,  
ახლა მხეცივით დაოთხილმა უნდა ვიდარდო!

## მეშვილე დღე

31.10.2010.

ვარ დაჩოქილი მეექვსე დღის ღამის კარებთან:  
„ღამევ, გათენდი, ნუ დამტოვებ საკუთარ თავთან!“  
მეშვიდე დილა ღმერთო, როგორ გამახარებდა!..  
ვარ მარტოსული... ჩემი გული მოკვდა, გათავდა!  
ცარიელია ეს სამყარო! ხარხარებს ეშმა:  
„დამიმეგობრდი და იხარებ! უარყავ ღმერთი!“  
მე საკუთარმა შემაცდინა კინალამ ლეშმა,  
ეშმას საჯიგზნად მივუშვირე კინალამ მკერდი!  
მე ვიყურები მიწის მიღმა, სადღაც ხმებია,  
სადაც არა ვარ, იქ ვარ სწორედ, ასე მგონია,  
დომინოს პრინციპს ჩემი ძვლებიც ეთანხმებიან  
და სახის ნაკვთებს ეუფლებოდა ღრმა აგონია.  
დავცურავ ღრუბლის ქაობებში, ვებრძვი ობობას,  
ყველა ტირანის ერთდროულად ვხდები ტირანი,  
მე – დაკარგულმა განვიცადე უღვთისმშობლობა  
და უფლის ჭაჭვში გავიხლართე, ვით ამირანი!

დროა, წავიდე... გულს მიკაწრავს სიცოცხლე, კმარა!  
მზერა ჩაშავდა, ჩემმა სულმაც იცვალა ფერი,  
დავაგემოვნე უღმერთობაც, მაგრამ შემწარა;  
ვარ მისტიური ღირიყორი შავი ოპერის!  
ექვსი დღის შრომა მალალ უფალს როგორ დაღლიდა?  
ლოცვით ვებრძოდი ჩემს დაღუპვას, როგორც იობი,  
გაოცებული ვუცქეროდი სხვა სიმალლიდან  
სამოთხის თეატრს და თეატრის ვარ მსახიობი!  
ექვს დღე-ღამეში ჩაეტია ჩემი წამება,  
ექვსი დღის შრომის საფასური და მოსვენება  
ექვს დღეში შექმნილ ჩემს შავ ცხედარს ესაბამება  
და ჩემს ყვირილში ვიკარგები, ვით მოჩვენება!  
მე მისუსხავენ შავ შიგნულს მკვდარი კვირტები,  
ექვსი დღე-ღამე მანადგურებს ცრემლი ამყად,  
ექვს დღეში შექმნილ დედამიწას ავუყვირდები:  
„მეშვიდე დღეო, სად ხარ, ჩემში რატომ არა ხარ?!“

## ფილო-თამაში

18.11.2010.

ავი ნიავი. ღამე და მე. სიოს სისინი.  
მთვარის თარეში სამარეში. სინის სინაზე.  
ახლა მჭირდება, ვიყო გიჟი! ვტირი, ვიცინი  
და: „ბრწყინავს-მეთქი, როგორც ოქრო“ – ვამბობ რკინაზე.

მრევლი ნაწყველი, ამღვრეული ყვითელი ტბები,  
შხამის ვახშამით დაშხამული ჰაშიშის შიში,  
მე მკვდარი მიწის დრამატული სცენებით ვტკბები,  
მემახსოვრება მე სხვიტორი, ჩარგალი, ჭყვიში!

უცნობის ქოში უდაბნოში, კანკალი ქალის,  
წვიმის ბარძიმი, მაჭანკალი შორეულ მერცხლის,  
„მხოლოდ ლექსები მიღვიძებენ ჩაუმქრალ ხალისს,  
ვიყო ამკრეფი დაფანტული ოცდაათ ვერცხლის!“



მიკვდება ტვინი. შიშინებენ შავი შიშები.  
– მე და სატანა ვთამაშობდით ბანქოს ქალაღებს.  
მე, უხილავი, ქვაფენილზე გავითიშები  
და ჩემს სახეზე ვერც ღიმილი ვერ იღალაღებს.  
ჩემი იმპულსი მემეფება, ბილწი და ხშირი,  
ჩემს უჯრედებში ყრუ ყორნების მყრალი მორგია,  
დავბორკე ნაცნობ პრიმატებთან ხშირი კავშირი  
და ქედმალლობა ჩემში ისევ დასაბორკია!  
ხტიან ბაგეზე სტრიქონები, მუნჯი და ბერწი,  
იგალობებენ ჩემს კუბოში, ვიცი, მატლები,  
საფლავის ქვაზე იზეიმებს ჩემი ანდერძი,  
მე – პოეზიის ცივ ჩანჩქერში მოვინათლები.  
გადმევლება ხსოვნის ტალღა ბინძურს, დასაბანს,  
შავ-თეთრ სუფრებზე იბრძოლებენ სიტყვის ყანები,  
ბორბოტი ხმები მომნათლავენ ლექსის ყსაბად  
და საბოლოოდ კვლავ სიძარტლით განვიბანები!

**მსხვერვა სარკეთა**

05.05.2011.

იქ, სადაც ვრცელი ნაპირები და გოეთეა,  
სმენას დაგვიხშობს სალ კლდეებზე მსხვერვა სარკეთა,  
თავის პირმშობს კერპების წინ დაკლავს მედეა  
და ყველა ძარღვში დაიკივლებს სასოწარკვეთა.

ისე, ვით ფხრეწა აბრეშუმის, დაბერავს ქარი,  
ახლა დაღლილი დროის რაშიც ხრამში ეფლობა,  
ახლა ერთმანეთს შეხვდებიან შავი სტიქარი,  
უფლის მონობა და სატანის უმბრძანებლობა.

სისხლის და ოფლის ჩანჩქერებით ივსება ჭიქა,  
უხმოდ იწვიან ჯურღმულებში შავი ტაძრები,  
დარაბებს მიღმა იხარხარებს ბნელი გოთიკა  
და ისევ ჩემი მარტოობით დავიკაწრები!

სახე, ნახატი წუხელ, სიზმარში,  
ოცნებით დასჯა სულის მსაჯულის,  
მოვა ჯალათი რაშის მირაჟით,  
საუნჯის განსჯა ჯერ არნახული.  
ზარი, თავზარი, მზის პეიზაჟი,  
ბაგის ორგის სახვა რისხვაში,  
ქალი-სკანდალის მიყვარს რიჟრაჟი,  
ლოდი – ლოდინი, ქალი – ჰიდრაში!  
სახე ფობიის, კენტავრი კენტი  
და მელოდიის ცა-უვერესტი,  
ვენა, ვენდეტა, ჩვენ, უბედონი,  
დელგმა, კომეტა, არმაგედონი.  
შენი ქარების ჩამომქროლია  
იანვარები, მელანქოლია.  
ქალი-მწვერვალი – ნიშანი მხეცის,  
ხრამი, ნაპრალი, ტირილი ზეცის.

**ჯოჯონხეთის პეიზაჟი.**

22.02.2006.

აქ მუდამ მშრალი, ცხელი ქარი ქრის,  
აქ თვით სიმშვიდეც არ დამშვიდდება,  
აქ ეშინია თვით შიშსაც ფიქრის,  
აქ სიმდაბლეა თვითონ დიდება.  
დარბაზი. ბნელა. აჩრდილი სფინქსის,  
გვირაბი შიშის, ფუნჯი, გოია,  
მახა შიშველი, გაცურვა სტიქსის,  
ნისლი ჰაშიშის, პარანოია!  
დრამის აკლდამა, ფერთა ნარინჯი,  
ლამე გიჟმაჟი, ლაკონიური,  
ალმა ალაგმა ელდა მახინჯის,  
კოშმარის როშვა აგონიური.  
სიცოცხლის ფასი, წინსვლა თავდაღმა,  
ვაშლი ასპიტის და დეზდემონა,  
დასჯილთა დასი დაღალა დაღმა,

დამღამ აქცია მონა დემონად.  
ცეცხლი, მითითურ კერბერის ღრენა,  
აქ სიკვდილს მოკვლას პირდება მკვლეელი,  
აქ ტირილია და კბილთაღრჭენა,  
გედის სიმღერა უკანასკნელი.  
აქ მუღამ ცხელა, მშრალი ქარია,  
მუღამ სამსალა, დუმილი ცხედრის,  
ცოდვის ავდართა ნიაღვარია,  
იდუმალება დაცემულ მხედრის.

## ღებო ში

31.03.2008.

აქ, ჩემს გარშემო ყველა შოკშია,  
ვხედავ, რომ ფეთქავს ვაკხანალია,  
ვხედავ, რა შიში, რა ღებოშია,  
ვხედავ, ავრორამ სული დალია.  
სულს შავი ცეცხლი ტვინში უხტება,  
ბნელში ლაპლაპებს ხაო მაუდის,  
ქრის მატერიის გაზურმუხტება  
და ცა ქარიშხლებს ველარ აუდის.  
აქ ლამეები იქცნენ შიშებად,  
ვხედავ, აისიც ქანცმიხდილია,  
გაკუთმს ველარ გაეთიშება  
სამყრო, მთვარე და იდილია.  
ჩაკეტილია სულის გალია,  
სინათლის ფასი თურმე გროშია,  
აქ სხვა ქარ-წვიმა, სხვა გრიგალია  
და ყინვაც კოცონს გაუთოშია.  
ყოვლის სათავე ვინმე “ანთია”,  
ბურუსს გაფანტვა არ ემეტება,  
რადგან უსახო ცაზე ანთია  
ადამის ნეკნის გათერთმეტება.  
თვითონ სიკვდილი ახლა მორგ შია,  
მაგრამ მზის ჭანყი ცას ვერ აოხებს,  
ოღესლაც სიკვდილს რაც უროშია,  
შორდება ნათელს, ცას და სამოთხეს.

ყველას, უფერულს შავს, წითელს, ან თეთრს,  
 უცხოელებს და ჩემს ქალაქელებს,  
 ტოპ-მოდელებს და მახინჯ მუტანტებს,  
 ცნობილებსა და უცხო სახელებს,  
 მეძავს, მბტუნავი, გრძელი ჯიქნებით,  
 ვისი მზეც უკვე გადაირია,  
 ამ ლექსით გეტყვით, სადაც იქნებით,  
 რომ ჩემი ფიქრი სხვანაირია.  
 წმინდანებსა და ქუჩის ყაჩაღებს,  
 მშვენიერებს და სულით მახინჯებს,  
 ვის გზებსაც სხივიც ვერ აჩახჩახებს.  
 ვინც დღეს ქუჩაში მკვდრებზე აბიჯებს,  
 ლურჯ მწვერვალებს და ციხის გისოსებს  
 (სადაც, რაც უნდა ვერცხლი ჩაყარო)  
 და რაც ცხოვრებას ასკეპტიკოსებს,  
 ვეტყვი, რომ სხვაა ჩემი სამყარო.  
 რეალისტებს და ფანტაზიორებს,  
 ლატაკს, ან მწვანე ფრანკლინებიანს,  
 ვინც ერთის ხარჯით ფანტავს მეორეს  
 და გემო ჯერ არ დაკნინებია,  
 მხიარულ ფრანტს და პირქუშ მეტყვევს,  
 ვინც ამ ცხოვრების რაშით მიქრიან,  
 მათთვის ეს ლექსი აამეტყველებს  
 რომ, რაც კი სხვაა – ჩემი ფიქრია.  
 მაგებს, ჩასვრილებს შავი ძალებით,  
 ვის ხელობასაც ქვია თამაში,  
 ვინც პანთეონზე დაიკრძალებით,  
 ან ვინც აკლდება ძილს აკლდამაში,  
 გაჩენის დღიდან რომ აღდებიან,  
 ან არ იწვიან სხვა ფოლადივით,  
 „ჩვენი სხვადასხვა ხომალდებია“  
 – მე მათაც ვეტყვი დიდი პატივით.  
 დიდ სახლში, ანდა ქუჩაში მცხოვრებთ,  
 ვინც გზაბნეულ ფარას მოჰგვანან,  
 ვისაც ცხოვრება გაამათხოვრებთ,  
 მათაც, ვინც თავი გაიბოგანა,

ყელას მივმართავ მთელი არსებით,  
კოჭლებს, ბრმებს, ყრუებს, ხეიბრებს, მუნჯებს,  
ბოდიში, თუ ვერ დაგემსგავსებით  
– ჩვენ მაინც ერთად ვიყოფთ საუნჯეს.  
და ამ საუნჯეს ცხოვრება ქვია,  
თუნდაც შემართულს გავდეს დამბაჩებს  
და რასაც ჩვენში გაუმარჯვია  
– მოდი, ველოდოთ უფლის განაჩენს.  
ეს ცხოვრებაა ჩვენი სიმდიდრე,  
ზოგის ოქროა, ზოგის რკინები,  
მასში ადგილი თუ დავიმკვიდრე,  
სოფელო, ველარ დაიკბინები!

## ჭრელი

01.08.2007.

ვილაცა სულში მზეს ეფერება,  
ვილაცა გარბის, ვილაცა მორბის,  
ვილაცას ეძებს ბედნიერება,  
ვილაცას უმზერს თვალები ორბის,  
ვილაცა კოცნის ნესტიან ქეისს,  
ვილაც ასრულებს სისხლიან რეისს,  
ვილაცისთვის კი არაფერია  
მარადისობა, *time and space*,  
ვილაცის სულში ღრმა კრატერია  
– ლავა ბინძური, ლველფი პომპეის.  
ვილაცას აფრთხობს სხვისი ნალველი,  
ვილაც იცინის, ვილაც ერთობა,  
ვინმე პატარას არ ყავს მნახველი  
და აღარ ტოვებს უიმედობა.  
ვილაცას მკვდარსაც არ აქვს შენდობა,  
ვილაც ცოცხალიც უკვე მკვდარია,  
რადგან სიცოცხლეს აღარ ენდობა;  
– რა თვალებიდან გადმომსკდარია  
ქვეყნის სიჭრელე და უბედობა?  
ვილაცას აღრენს ნულები ციფრის,  
ვილაცა ყფს და ვილაცა მღერის,  
ვილაც უფსკრულში, ან ცაში მიჭრის,  
ვილაც მსხვერპლია ღრმა გეიზერის  
და აფრთხობს წუთი ხმამაღლა ფიჭრის!

ვილაცის ტვინში ხტის და ერთობა  
 წყველა, სიგიჟე და უღმერთობა.  
 ვილაცა ლეწავს ნოეს კილობანს,  
 ვილაც აშენებს სასახლეს ძვლებით,  
 ვილაც კისრულობს ბრმების გილობას  
 და ბორგავს მიწა შავი მარცვლებით!  
 გვინდა, ვიცოდეთ, საიდან მოდის  
 ბოღვა უაზრო და ქადაგება,  
 ან ტბები სისხლის და ზიდვა ლოდის  
 რა სილამაზეს ესადაგება?  
 აქეთ ვაი და იქით ვუთა,  
 გვირგვინს აჟანგებს ტირილი ბასრი,  
 ქრის უფსკრულიდან “ალილუია”  
 და გისოსებში სულს ღაფავს აზრი!  
 მესმის უშვილოს ტკივილი ჩუმი,  
 ვილაც “ღედას” კი ტანჯავს “ღედობა”...  
 სად გაუმართავთ ზომბებს ხორუმი  
 – ქვეყნის სიავე და თავხედობა?!

## ჩემი სამოსი

02.05.2008.

თუ მივალწიე ოდესმე სამოცს,  
 ან მტრად მიგულებს წელი სამოცი,  
 ეს ცა შხამითაც რომ დაინამოს  
 და წერაც გაეხდეს ამ სალამოსი,  
 მკვდარს რომ მეხვიოს ტანზე სუდარად  
 ლექსის გულისთქმა – სხვა რაღა მინდა?  
 თუ შეისმინა ლექსმა მულარა,  
 წარღვნასაც ჩავთვლი ლამაზ ამინდად.  
 მე ხომ არ ვიცი, ვიცოცხლებ რამდენს,  
 ასს, ოთხმოცდაათს, ოთხმოცს თუ სამოცს,  
 მაგრამ, ძილს მინდა, ლექსი მპარავდეს,  
 ვიდრე მკვდარს ჭია დამიხრავს სამოსს.  
 მტრად რომ მიგულოს წელმა სამოცმა  
 და წერაც გაეხდეს ამ სალამოსი,  
 სუდარად ლექსის მინდა ჩამოცმა,  
 პოეზია ჩემი სამოსი!

(გუჯა სოფრომადეს)

გუჯას დავლოცავ, რომელსაც ახლა  
ტანით პატარას ვეძახი ტიტანს,  
ვისაც მუდამ აქვს თვალები მაღლა  
და ცარიელ ბოთლს ვერასდროს იტანს.

თუკი არსებობს გუჯა და მეც ვარ,  
ლოგიკურია სუფრის არსებაც,  
ვისურვებ, მანამ შარვლები გვეცვას,  
ვიდრე დღე ღამეს დაემსგავსება!

როდესაც დილით გადავჭრით ქუჩას  
და გადავუხვევთ ჩვენი ბარისკენ,  
გუჯა მე მეტყვის, მე ვეტყვი გუჯას:  
„ერთიც დავლიოთ?“ „მიდი, გარისკე!“

ჩვენ გვაქვს იმედი ჩვენი მეგობრის  
და არა ჭუჭას! მე ვეტყვი გუჯას:  
„ჩვენია სუფრა, ვით ზღვა მეგობრის,  
სადაც ღვინის ზღვებს ბოლო არ უჩანს!“

მე ახლა ვიცი, რატომ ვერ იტანს  
ცარიელ ბოთლებს გუჯა და რატომ  
უხტის თვალები სქელ-სქელ მიკიტანს,  
როდესაც ბარში დაგვხვდება მარტო!

**ღვინის კოცნა**

02.11.2008.

ასეთი არის სუფრის ბუნება:  
მელამუნება მისი ალერსი,  
ახლაც იქ მინდა მე დაბრუნება  
და ღვინის კოცნა უანკარესი.

ჩვენ ვსვამთ სიცოცხლეს, ჩვენ არ ვბერდებით,  
წმიდაა იგი, როგორ ტროპარი,  
თუ მოგაგონდით, მე გვედრებით  
– დალიეთ ჩემი შესანდობარი.

ზოგის სიკვდილიც იყო დიადი,  
იქაც იპოვის ზარი მნათესი,  
ზოგის ქათქათა არის წყვლიადი,  
ზოგის წყვლიადი – უქათქათესი.

ზოგს წასვლის შემდეგ ეწვია სხივი  
და არც იქ ტოვებს სითბო ლილგისი,  
ზოგის სიცოცხლე კლდე არის ცივი,  
ზოგის სიკვდილი – უყვავილესი.

მე ვინ დამიშლის, ჩემი იარის  
ტყვე ვიყო და მის ქსელში გავება?  
ზოგის სიცოცხლე სიკვდილი არის,  
ზოგის სიკვდილი – გაუკვდავება!

## ბრმები

23.02.2009.

ვიდრე იმქვეყნად წავიღებ ბარათს,  
იქ, სადაც ბრმებს არ ელით არავინ,  
ამქვეყნად მათი დავრჩები მარად  
მაგინებელი დაუფარავი.  
ეს, ვიდრე მე იქ წავიღებ ბარათს!  
არიან ხალხი, არიან კიდევ  
ხალხი, ვის გვამშიც ახლა შხამია,  
დღეს იღვენება თვითონ სიწმინდე  
და მღევარია ლეშიჭამია.  
ეს, ვიდრე ხალხი არიან კიდევ!  
დღეს აფურთხებენ ძმობას, სიკეთეს,  
მეფობს ლალატი, მეფობს ბოზობა,  
დღეს სასაცილო იმიჯს იკეთებს  
ანგელოზების ანგელოზობა.  
ეს, აფურთხებენ ვიდრე სიკეთეს!  
ან სიმართლესთან რად გინდათ შებმა,  
რად გინდათ ბრმებო ბინძური ტახტი,  
მოდით, ვიბაზროთ, როგორც კაცებმა  
(ლექსთან ბოდში, აღარ მაქვს ტაქტი)  
– თუ სიმართლესთან მოგინდეთ შებმა!



არ ეშველება ნაღდად სამყაროს,  
თქვენისთანებით ვიღრე ივსება,  
სულღო, სიმყრალით ნაჩათლახარო,  
შველას მოითხოვს შენგან ღირსება,  
შველა მიეცეს რადგან სამყაროს!

თქვენთვის ცხოვრება სათქმელს მიბადებს:  
თვალებს დაგთხრიდით, ვითომ მეფუტრებს,  
დაგილეწავდით დამპალ სიფათებს  
და ძვლებს, განავლით აყროლებულებს!  
გესმით?! ცხოვრება ამ აზრს მიბადებს!

ეჰ, ამ ცხოვრების დედა ვატირე...  
ცოდვა გიმწარებთ ღამეებს, ტკბილებს,  
თუმცა, მე კალმით ვარ მონადირე,  
გამოდით! კალმით დაგიმტვრევთ კბილებს!  
ეჰ, ამ ცხოვრების დედა ვატირე!

## **ქუჩა, ფეხმძიმე ქალი**

11.06.2009.

ქუჩაში შემხვდა ქალი ამ დილით,  
ქალი? გოგონა. ის მეღვა გვერდით,  
დამშვენებული ფართო მანდილით  
და ორის ნაცვლად სუნთქავდა მკერდით.

თქვენ, მომავალო, ან უკვე იქნებ  
დედებო, ორჯერ ნაზებო მუცლით,  
თქვენ ანგელოზი გიფურცლავთ წიგნებს  
და სიკვდილს სიკვდილს სიცოცხლით უთვლით!

მათ გაუმარჯოთ ძმებო ამ ყანწით,  
მათ, ვინც სიცოცხლის ნაყოფს ატარებს,  
ვისშიც სიყვარულს ჩაუდევს განძი  
და ვინც სამშობლოს უზრდის პატარებს!

აღარ ვუყვარვარ სიცილს, სილაღეს,  
სულ დამივიწყა ჩემმა ხალისმა,  
შავმა ღღეებმა მე გამილახეს  
სიცოცხლე – ჩემი ტყუპისცალი ძმა;

მზის მოლოდინში დუმს დასავლეთი,  
ლამემ მოიკვა სიტკბო ლილესი,  
აჰა, ნათღება! – მღერის ჰამლეტი,  
გენიალური და უტკბილესი.

ვიგონებთ ჰამლეტს. ის იყო დიდი,  
კაცი – ბუღბუღის ტკბილი ნაზავით,  
მე მისი ხსოვნით სულს სხივებს ვგვრიდი  
და ვიზრდებოდი ღვთის რწმენასავით.

რომ გესაუბრო, მე მაქვს უფლება,  
ჰამლეტ... საიდან სიღრმე ამღენი?!  
სასუფეველი გეაღუბლებს,  
ხარ უდიდესი მადლის ჩამღენი!

უყვარხარ რუსთავს! შენ არ ხარ მკვდარი!  
ქართული ფოლკის წმინდა მმართველო,  
მიიღე ლოცვად ღვარად მომსკდარი  
შენი ხმა, ღმერთი და საქართველო!

**მნათე**

სადაც მძინავს და ასე მგონია,  
ჩემში ვალვიძებ მძინარე ფენიქსს,  
სადაც მუსიკის მარათონია,  
სადაც ჰანგები მკბენენ შოპენის,

ღღისით მთვარით ვარ და ღამით მზით ვარ,  
მიჭირს უშენოდ ღამის გათევა,  
იქ მუდამ მიწევს ჩემი ჯვრის ზიდვა,  
აქ – მარტოობის ჩუმი მნათე ვარ.

არიან ხალხი, რომლებიც თვლიან  
– ჯიბის სისქეა საზომი კაცთა,  
რომ ციფრებია მათი ნათლია,  
რომ მათი ძალა ღმერთისას გასცდა,  
რომ არ აქვს ბოლო მეფობის წამებს,  
დასტების ტრიალს, დროსთან საუბარს,  
ამქვეყნიური სუნთქვის სიამეს  
და სატანასაც მხარს რომ აუბამს.  
ვენდოთ ერთმანეთს ჩემო სურვილო,  
გავანდოთ ქალაქს აზრები ჩვენი  
და როგორც ბავშვმა უსიძულევილომ,  
ღვთის სიყვარულში ვეძებოთ ძღვენი.  
დაუვიწყარი სიტყვის ზოდებით  
მათ მივმართავდი კუბოს კარამდე:  
„მე თქვენ არ მძულხართ და მეცოდებით,  
დაე, ღვთის მაღლი მუღამ გფარავდეთ!“

**მუზის პარანოია**

21.09.2010.

ფიქრის ბურუსში ვუსმენ როიალს,  
ყოველდღე ტვინი სიკვდილს განიცდის...  
მე ველი მუზის პარანოიას  
და მუსიკა მფლობს სხვა პიანისტის.  
შველა არაა! მაწევს სიმძიმე,  
სულს მიჯიჯნიან უცხო ბგერები,  
ალარც იმედის შუჭი ციმციმებს,  
ველარც ჩემს სიკვდილს ვერ ვეძგერები,  
ჩემი ცხოვრება წყაროა გესლის,  
ახლა ლექსები მთვარეს ელიან,  
ვარ მიჯაჭვული ფსკერზე სარეცლის,  
ეს დღეც უფსკრულის სარეცელია!  
გარეთ ნათელი ჩანან ქუჩები,  
მე მნატრობს ბნელი... სხვა ვინ მინატრა?  
ახლა ბოლო ლექსს ვებლაუჭები  
და ხვალ მიხილავთ კუბოს ბინადრად!

## ტიმეასავით

16.11.2010.

საით წამიყვანს ჩემი არია,  
საით წამიყვანთ ჩემო გიდებო?  
ჩემი ცხოვრება საოცარია,  
როგორც ქორწილი უმაგიდებო.  
მაგრამ ვერ მეფობს ყოველთვის აზრი...  
ხანდახან მეფობს ეშმაკი... (ვწუხვარ)  
იყავით ჩემთან უაზროდ მკაცრი  
და დამაყარეთ ხარხარი უხვად!...  
საფლავის ქერზე მიწა მძიმეა,  
მსურს ამოხეთქვა კუბოს ფიცრისა,  
შენ ცივი იყავ, როგორც ტიმეა,  
ყინვამ კი გული მე გამისრისა!

## მონატრება

20.02.2010.

უძვირფასესო! შენზე მბობღებს,  
გსუნთქავ, გაღმერთებ, უშენოდ ვკვლები,  
სულ დაგიკოცნი ტბის კალაპოტებს  
და შემშლის შენი ნაზი ნაკვთები.  
მე თავდახრილი დავდივარ ახლა,  
(მე თავს ვხრი, რადგან მიმძიმს ლოდევით)  
მე უშენობის სიმძიმე მახლავს  
სულ სხვა ტკივილით, სხვა მოლოდინით.  
შენს გამოხედვას ველარ ვიშორებ,  
ვერ მლოის წყვდიადიც თავის კუპრებით,  
შენ, მონატრება, მე და სიშორე  
– ახლა სიყვარულს ვესაუბრებით!

## მიტოვებული

05.03.2010.

მე მიმატოვეს! გამიქრა ღიმი,  
დამრჩა ყინული, ლოდები, ღამე,  
სევდით სავსეა ჩემი ბარძიმი,  
მძიმე სიცოცხლის მე ვითვლი წამებს.

ვგრძნობ, მეკიდება სხეულზე ობი,  
ობი, სიკვდილის მწვანედ მმოსავი,  
ახლა ზომბივით მე ვარ უგრძნობი  
და ამაზრზენი გომბეშოსავით.  
წადი მსოფლიოვ! არ მინდა დილა  
ჩემთვის მლიმარი! მე მინდა მიწა!  
სუნთქვაც წყვდიადმა მიასიკვდილა  
და სიკვდილისგან არავინ მიცავს.  
რა არის ბოლო? მივდივარ საით?  
როგორც წყვდიადში გაზრდილი ძაღლი,  
შევთქვლეფ სიცოცხლეს, შევუღრენ აისს  
და საკუთარ შუბლს ტყვიას დავახლი!

## ეპიტაფია

17.01.2011.

როცა გიგონებ მძინარე სახით  
და წარმოგიდგენ სიზმრად მაშინვე,  
ჩემს შიშველ მკერდზე დახტის მათრახი  
და უშენობის არსი მაშინებს.  
ისევ მათრობენ შენი სხივები,  
ისევ ნათდები დაღლილო შუბლო!  
შენზე ოცნებებს მარად მივები,  
ვით დედამიწას ზეცა უღრუბლო.  
მე ვყვირი!... ეს ხმა უფრო ხაფია,  
ვიდრე წუხილი დაბმული ძაღლის,  
ჩემი საფლავის ეპიტაფიას  
შენს გულში ხსოვნა ვერასდროს დაღლის!

## შტორმი

05.02.2011.

ქარი აამღვრევს სამყაროს შტორმებს  
და ამიყალყებს დაჭიმულ ნერვებს,  
ვეთაყვანები ქალის მრგვალ ფორმებს,  
როგორც სასწაულს, უცნობს და მერვეს.  
გაჩენილი ვარ გლოვისთვის თითქოს  
და მარტოობის მეწოდა მკვიდრი,  
ტანჯვის უფსკრულის ღრმა ფსკერი მითხოვს,  
როგორც სიმდიდრეს საღარო მდიდრის.

ჩემი ჯვარია კლდეთა ტარება,  
ხერხემალს მიმტვრევს ზიდვა ლოდების...  
მთელი სამყარო მეპატარება  
და ისევ სიკვდილს დაველოდები,  
რომ მოსვენება იქ მაინც ვნახო,  
იქ მაინც ვპოვო სიმშვიდე ფიქრის...  
დღეს ჩემი ველი და ჩემი ახო  
ჩემი არყოფნის წიაღში მიქრის!

**ზმანება: გუმბათი, ტაძარი**

10.05.2010.

ლამაზმა წამართვა მანძილი  
ზეციდან ცოდვილთა მიწამდე,  
უფულოდ მომპარა მან ძილი  
და არ მსურს, ამ ძილს რომ ვიცავდე.

ზმანება: გუმბათი, ტაძარი,  
ზარების სიმღერა, გალობა,  
უფალო, ძილისკენ დაძარი  
დუმილი და მუსიკალობა.

ლამაზმა მანძილი წამართვა,  
მომტაცა სიმშვიდის ტალღები,  
არ მინდა გრძნობების წარმართვა,  
მე გრძნობებს უფსკრულში ჩავყვები!

**სატირული კონტრასტი**

24.07.2010.

ქარიშხალს ტირილი მოქონდა,  
მას გზები უდაოდ შორი აქვს,  
ტილოზე მლიმარი ჯოკონდა  
მჩუქნიდა აუხსნელ ფორიაქს.

ტილოზე ვიხილე სატირა  
– ერთია ღიმილი, ნაღველი,  
მან ერთი მნახველი ატირა,  
აცინა მეორე მნახველი.

ასეა ცხოვრების სამსალა:  
უღარდელ არსებად გამაჩენს,  
გრძნობების სივრცეში გამშალა  
და მისჯის ტკბილ-მწარე განაჩენს.

## სიკვდილის ვნება

18.02.2011.

მე მითხოვს პირლია სამარე:  
„ჩამოდი, ჩაწეჭი ჩემში,“  
მტრედები შეკრავენ კამარებს,  
წამოვა კლდეების თქეში.  
საფლავში დამიხრავს ჭია ტანს,  
სული ილივლივებს ცაში,  
წვიმისფერ მწვერვალებს მიატანს  
დაღლილი ფიქრების რაში.  
ზეცაში ავყვები ვაგონებს  
თეთრი და წითელი ბინდის...  
სიკვდილის მოთხოვნა მაგონებს  
სიკვდილთან ვნებიან ინტიმს.

## არყოფნის აღლო

08.04.2011.

რიჟრაჟზე მნათობი იალებს,  
ჩემს ირგვლივ – თეატრის დასი,  
მზე შესვამს უდაბნოს ფიალებს,  
ფანტანებს დაფანტავს ვაზი.  
იღარე, იღარე ამინდო,  
ებრძოლე უძირო ბალღამს,  
ვიდრე მარტო არ ვარ, დამინდო  
ხალხის გულგრილობის ტალღამ.  
უფლის მფარველობის ამარა  
დამტოვებს ეს ხალხი მარტოს...  
მე ამ დროს სიკვდილის კამარა  
და ფიქრი სიკვდილზე მართობს.  
ეჰ, ჩემი ადგილი ვიცი, რომ  
აღარსად არ არის ხალხო!  
მინდა, რომ ბავშვივით ვიტირო,  
არყოფნას ავულო აღლო!

## თეთრი მთები და რაჭა

19.01.2008.

(ზაზა ჩაჩანიძეს)

რაჭა ვნახე... ნიკორწმინდა და სხვათა:  
სამოთხისგან რაჭა რამ განასხვავა?  
სად შეხვდები ასე ლამაზ სხვა ველებს?  
გაუმარჯოს, გაუმარჯოს სხვაველებს!  
ასე რატომ მომეწონა რაჭა მე?  
– რაც თვალს აკლდა, აქ ვასვი და ვაჭამე!  
ვნახე ცაში თეთრი მთების თარეში!  
რა ედრება ამ მთებს სიანკარეში?  
არ მბეზრდება მე ოცნება სხვათაზე!  
აქ შეხვდები სხვა ცას, სხვა მზეს, სხვა ვაზებს!  
ჩამოასხით მასპინძლებო ზვანჭკარა!  
ნელა არა რაჭველებო, ჩქარ-ჩქარა!  
რა ცქრილა სასმელია, რა ძველი!  
ამ ელეჟსირს თუ შექმნიდა – რაჭველი!  
ისევ ცოცხლობს ჩემში მთები და რაჭა!  
მის სიკეთეს დავუდგები დარაჯად!  
თქვენს ჭურვებში ღვინოს რა დააძველებს?  
გაუმარჯოს, გაუმარჯოს რაჭველებს!

## სვანეთის მთებს

20.08.2009.

შხარა ვნახე... თეთრი სუნთქვა, სვანეთი,  
მთის ტყეები, შემოსილი მწვანეთი...  
სულ იქ ვიყო, მინდა, რადგან მე ახლა  
იმ კოშკების მონატრება მეახლა!  
ოჰ, სვანეთი! ლენტეხი და მესტია!  
იქ სიცოცხლე და სიკვდილის ნეშტია!  
სადაც უშბამ შემოსძახა არია!  
სადაც მარად სიყვარულის ქარია!  
სადაც გვატრობს მთის თამაში, სვანეთი,  
გავიცანით სადაც ჩვენ ერთმანეთი!  
სადაც ხატზე ფიცულობენ სვანები,  
სადაც ვნახეთ ძველ-ქართული ზმანებით



მთის სოფლები, მოამაყე შხარათი,  
სადაც უფლის რწმენა გვარწევს მარადი!  
სადაც სტუმარ-მასპინძლობა იციან,  
სადაც ყვავის ძველი მთის ტრადიცია!  
სადაც უშბამ შემოსძახა არია,  
სადაც მუდამ ღმერთის სუნთქვის ქარია!  
სადაც მარად მინდა ვიყო მე ახლა,  
რადგან სვანთა მონატრება მეახლა!

## მოლბერტები

20.12.2010.

ისევ აფრთხილდა მკვდარი გული,  
ველზე იშლებიან მოლბერტები,  
გოგოვ, შემიყვარე გარიყული,  
ვიდრე ტრფიალისთვის მოვბერდები.  
რბიან სტრიქონები საშინელი,  
ამ გულს უცხო სიზმრად არ ედები,  
წერილს ცრემლიანი მაშინ ელი,  
ცაში როცა ქრიან კარეტები.  
ტბაზე მომაკვდავი გედებია,  
ღმერთო, სიყვარული აბატონე!...  
ფიქრით დანისლული ედებიან  
ფიქრის კარეტები კაბადონებს...

## ფიქრის ველზე

03.05.2011.

ფიქრის ველზე იშლებიან მიმოზები,  
ჩემი სულის კედლებივით ყვითელი,  
ყინულების მოლოდინით ვიმოსები,  
მათ იციან, სველ ბარათებს ვით ველი.  
არ ჩანს დილა! მეჩხირება ღამე ყელში,  
მე მემსხვრევა ვარდისფერი სათვალე.  
სიკვდილამდე წამებს ითვლის ზამთრის ელჩი,  
მე – წამები ჩემს წამებად ჩავთვალე.  
აღარაფრის აღარ მჭერა! ველი ბარათს,  
ის წმინდაა, ვით ბიბლიის ღედანი,  
მოგეტეოს... შენს სიზმრებში ვიყო მარად  
აფრენილი ცაში თეთრი ქედანი!

მზის ამოსვლას ვუყურებ, მზის სხივებით ვთბები,  
თვალს ველარ ვწყვეტ ღრუბლებში ჩორთით მავალ პეგასს,  
იშლებიან ჩემს თვალწინ ზეციური ტბები,  
სიჩუმეში რიჭრაჟის ტკბილი ზარი რეკავს.

დამავიწყდა სიკვდილი, დამავიწყდა კვნესაც,  
ახლა მინდა, შევება ტკივილების კლდესაც.  
მხრებზე გაზაფხულების ვარსკვლავები მაწვიმს,  
მინდა, ცაში ავტყორცნო უღიმღამო მზერა,  
მინდა, შუბლზე ვაკოცო წინაპართა ბარძიმს,  
სიზმრებიდან განვდევნო შუალამის ძერა,  
დავივიწყო წყდიადი, გავიხსენო თოვლი,  
მზე ვაჩუქო სიყვარულს, დაუმჟღერარს და მოვლილს.  
მე ვივიწყებ იმ ხანას, თავს ვგლოვობდი როცა,  
მე ხომ მწუხრის სამოსი დიდი ხანი მეცვა...  
ზეციერო, გაბრლები, გაჭირვების დროსაც,  
შენი მაღიდებელი, ვით იობი, მეც ვარ!  
გაიღვიძე პოეტო, წამოდექი ჩქარა,  
ტკივილს, ცრემლს და სინანულს უპასუხე – „არა!“

**ნიაგების სიმღერა**

21.05.2011

ბოროტია ქვეყანა... საუკუნე – ავი,  
მე დროს ველი, როდესაც პირს დააღებს ორმო,  
ჩამოჯდება საფლავზე გიშრიანი ყვავი,  
შეიერთე ცრემლები მოგონების შტორმო!

ყვავი ჩემი გიდია, ის აბოლებს თრიაქს,  
წააქცევენ საფლავზე ძველ სასმისებს, დაღლილს,  
ნიაგების სიმღერა ახლა გრიგალს მიაქვს,  
მთვარეს უყფფს ქუჩაში უპატრონო ძაღლი...

დროო, ნუ დამვიწყებ, მივაბიჯებ თუ მე  
– ლაბირინთში, იქ, სადაც წყდიადია მარტო...  
ზვიად, შენი სიცოცხლე ზღაპარია თურმე,  
დაიბადე, რომ დილა შავ დაფებზე ხატო!..

დილის ბურუსს გაეხედავ, ვეგებები ზღვის ტალღებს,  
მაგონდება მხატვარი, უნერვო და უყურო,  
მომავალი მაშინებს, სულის სამოსს მითალხებს,  
მინდა, დაუსრულებლად მზის ამოსვლას ვუყურო,  
მაგრამ მზე არ ამოდის, სულ მთვარეა ცაში,  
მიაგელვებს ტატნობზე წყვდიადების რაში.

ვფიქრობ: „ზვიად, რა იყო შენი მოსვლის მისია,  
რისთვის გაჩნდი ამქვეყნად, სად მიდიხარ, პოეტო?  
შენ რომ ცხოვრობ ნეტავი, ის ქვეყანა ვისია,  
რატომ ცდილობ, უხილავ ბაღს რომ ემარტოეთო?“

მიატოვებ ყველაფერს, წავიკითხავ ლორკას,

ახლა ლურჯი მუსიკის ოქროს ჯაჭვი მბორკავს.

მე ვუყურებ ზღვის ტალღებს და უყურო კუნძულელს,  
მე მივყვები ქარების უსასრულო კარეტებს,  
თვალს ვადევნებ, ტაეპი თოვლზე როგორ ძუნძულებს,  
მზერას როგორ ალაღებს და არც საზღვრებს არ ეძებს...

ახლა თეთრი ფურცელი მოძღვარია ჩემი,

ხოლო შავი სტრიქონი – ჩემი განაჩენი.

## **ვარსკვლავების არმადა**

13.06.2011.

შუალამის წილში მიქრის ფიქრის ბალღამი,  
ვერ ვიშორებ აჩრდილებს, ვერ გავუბრბი ფიქრებს,  
თუ ამდამ გადავრჩი, შევიშლები ხვალ ღამით,  
რადგან გიშრის სიზმარი ჩემში ძალას იკრებს.

მინდა, ფიქრის ფრეგატი გავატანო ნიავებს,  
მაგრამ აღარ მშორდება და არ მტოვებს წამით,  
უსარეცლო წყვდიადი ვიდრე ცრემლებს მიავებს,  
აღარ მინდა, გავუშვა სიყვარულის შხამი.

ხტიან თავში აზრები, ბოროტი და აყვია,  
ველი მძიმე დასასრულს, თვითონ სიკვდილს ველი,  
მე მიყურებს უფსკრული, როგორც კუბო თავლია,  
ცნობადის ხეს ეხვევა მოლიმარი გველი.

წივის წვიმა დაწვებზე, დაუბერა ქარმა და...  
შემორეკა ღრუბლები გველის პირის ღრუში,  
სულს დააწვა წყვდიადი, ვარსკვლავების არმადა,  
შავი, როგორც ყორანი, ხარხარა და მრუში.

ირგვლივ ისევ ღრეობენ ალქაჯები ტანჩია,  
ყურში ისევ ჩამყვინის შერყეული მრევლი:  
„სიგიჟე და დაღუპვა უკვე ნოეს ნავშია,  
დედამიწის ჭაობო, მიყვარხარ და გწყველი!“

## ლანდი

09.06.2010.

ივნისის ზეცას მიაპობდა ღრუბლების ბინდი,  
ისევ წარსულის აჩრდილების დევნამ გამართო,  
უღარდებლობა დასცინოდა ამღვრეულს სინდისს  
და შუალამით დაგეძებდი უმისამართოდ.  
და მე გეძახდი: „ღვთაებრივო!“ შენ კი არ ჩანდი...  
დაღლილი ხილვა უმღეროდა ღამეულს სისხამს,  
სიზმარმორეულს უშენობის მანჯღრევედა ლანდი  
და გაუფრთხილი რეალობის მოთქმას საზიზღარს.  
დიდხანს ვტიროდი! – სევდიანი, როგორც მდინარე,  
ეშმაკის ფეხთქვეშ დიდხანს ვეგდე, როგორც ტალახი,  
მენტრებოდა სიყმაწვილე პირმოცინარე  
და ის გამქრალი სივრცეები გადასალახი.  
ძვირფასო, იქნებ შენ შთაბერო სიცოცხლე მკვდარ ხილს,  
იქნებ, ედემში გამაყოლო ფიქრების მარხილს.

## ყინულის ლოდი

31.01.2009.

მიყვარხარ... მაგრამ თურმე მიყვარს ყინულის ლოდი,  
ცივი და წმინდა, ტიმარისთვის როგორც ტიმეა,  
შენს ანარეკლთან უბოლოოდ ვაგრძელებ ლოდინს  
და ეს ლოდინი ყველა ლოდზე უფრო მძიმეა.  
მაგრამ მზის სხივებს ცის სიღრმეში არა აქვთ ძალა  
და როგორც სითბო უკარება, მაინც განძი ხარ,  
შენ ცისარტყლის შვიდმა ფერმა გაქცია ქალად,  
მაგრამ ჩემსავით მარტოობას დაუქანციხარ.

ლოდო, ავად ვარ, სადღაც მარცხნივ ალი მინთია,  
შენი გული კი ჩემთვის მწარე ლაბირინთია.

## სოფი-სონეტი

23.04.2009.

შენში გალობენ ანგელოსთა ძველი დასები.  
მკვლელი დუმილით ჩემს გულისთქმას ადებ მარწუხებს,  
ასეთი მზერით ჩემს ლურჯ ხილვებს ეანდაზები,  
რომ მარად იყო მათი მკვიდრი, სულს რომ აწუხებს.  
შენ აგიზგიზებ სიყვარულის გაუმქრალ კოცონს,  
შენ ხარ მისი ხმა და სურნელი; ნეტავ, სად არი  
ჩემი ღიმილი დაკარგული?! არ სურს, მაკოცოს,  
რომ აღარ ვიყო აკალუსის ბრმა ბინადარი?!  
ვარ უბინაო გრიგალივით; ამ სულს სწადია  
აღარაფერი! აღარ მტოვებს ძველი ეკალი!  
ვიყო იქ, სადაც საუკუნე წელიწადია,  
ოღონდ, ამ მწარე მარტოობას არ მოვეკალი!  
ელამუნები ჩემს ჩუმ სახეს ნიავად, სოფო  
და გინდა ასე, მუდმივად რომ ვიავადმოყოფო.

## მე ახლაც ვყვირი

04.04.2009.

უმისამართო მდინარეთა მწვანე ღინება  
ერთვოდა კაცთა გულისცემის შორეულ კუნჭულს,  
მე ახლაც ვყვირი, რეალურად – განვაგრძობ ჩურჩულს,  
ხორხს ის ხმა მხოლოდ ამ ჩურჩულით ეპოტინება.  
მიყვარდა მთვარე; განვიცადე მისი ღალატი.  
ძნელია მთვარის სიყვარული! გავანდე კალამს,  
ვიქნები მკვდარიც ბედნიერი და ავწევ ალამს,  
რამეს თუ ვტოვებ ჩემი ჩუმი თავის ქალათი.  
ვიყავი მუდამ უიმედო, ახლა კი ვიცი:  
ღმერთის განაჩენს როგორ ჩავწვდე? ანდა, ეგება  
კალამს ხმა მხოლოდ თოვლზე ცეკვით ამოედება,  
რადგან „კალმურით“ ამღეროს თეთრი აისი?  
სუნთქვა ღვარია დავიწყების; ვანდე შხამი ღვარს,  
ახლა არ მიყვარს ვინც მიყვარდა, ახლა სხვა მიყვარს.

მე თვალწინ მიდგას მისტიური გამოქვაბული,  
მოჩვენებებით, დაგესლილი გრძნობებით სავსე,  
(ჩემს ნატვრებს ტალღა გადაეველო ყრმობაში თავზე  
და შევიძინე უიღბლობის გამო სხვა გული)  
ხტოლდნენ, როკავდნენ ის ლანდები! მაშრობდა სპაზმა,  
მძაგძაგებდა ცივი ოფლი და მე იქ ვნახე,  
როგორ მიიღო მოჩვენებამ გოგონას სახე  
და იგრილა ქვის კედლების შავმა დარბაზმა!  
მაშინ მიწვევდნენ მახვილები, ბლაგვი, ულესი,  
დამხარხარებდა უხორცობის შიში უსახო,  
მე შემიძლია, მკვდარმა ცოცხლებს რომ დაეუძახო  
და მომხრე ვიყო იმ სცენების სიქალწულესი!  
შენი ფერია უფერობა, ჩემი ფერია  
თალხი, წარსული, მისტიციზმი და მისტერია.

**გალაკტიონი – თეთრი ფლამინგო**

03.10.2009.

ის ძველ ქუჩებში დადიოდა!... საიქიოდან  
ჩვენ ახლაც გვესმის თითქოს: „ნიჭი, ნიჭი ძამიკო!“  
თითქოს არ ჩანდა, ნაბიჯ-ნაბიჯ რომ ადიოდა  
ქართული ლექსის ლურჯ მწვერვალზე თეთრი ფლამინგო.  
რა შიშველია სტრიქონები, ანდა რა ბასრი!  
მან დაამტკიცა – შეუძლიათ პოეტებს ფრენა,  
დიდია ბრძენი, თუმცა ყოფნის მიწაზე კასრი.  
მისი ლექსებით პოეტურად ავიდგი ენა.  
რა სინათლეა! რაა მიწა?! განვედ, უკუნო,  
სულის მუსიკამ პოეზიით რომ იგუგუნოს!

**პოეტის სიკვდილი**

19.01.2010.

ლამე გვიანი. არ მაძინებს ფიქრი კუბოზე,  
იქ, სადაც გიჟი ასვენია ვინმე პოეტი.  
რა დამაძინებს, ჩემი ფიქრი ლექსებს ვუბოძე,  
ლექსებში ახლა ოცნებაა და მარტოეთი.

ქუჩაში მკვდარი ნახეს იგი. ზამთარი. ყინვა.  
ჩამქრალ კოცონთან გახვეული ძონძებში ნახეს,  
მოთქვამდა დილა – ლურჯ ტუჩებზე შემხმარი გმინვა,  
მკვდარს ჭეყნის წყველა უფარავდა ტყვიისფერ სახეს,  
ყრუ ცეცხლს ჭირხლები სტუმრებოდნენ იმ დილით, ჩანდა,  
ამბობდა მკვდარი: „მე მომბაძე ქაოსის მრევლო,  
მოკვდი გიჟივით, როგორც კვდება პოეტი“: ანდა  
„ცოლვილ მიწაზე ამიხსენით, რად უნდა მევლო?!  
შფოთი, სივიჟე, ანარქია – ხვედრია ჩვენი,  
აპა სასმისი, ჩამომისხით სიკვდილის წვენი!“

## უცნობის აღსარება

29.07.2010.

I

ვნახე იმდენი, არ უნახავს მოხუცს რამდენიც,  
მკვდარი ვარ თითქოს, საუკუნის ძილით მძინარე,  
ვარ აფრენილი ფიჭრის ცაში, ვით შევარდენი  
და სხვა მორევში ჩამავალი ცრემლის მდინარე.  
ვხედავ ყველაფერს, ვერ ხედავენ საერთოდ რასაც,  
ხტის და ძაგძაგებს ჩემში სისხლი, როგორც კალია,  
მივეკუთვნები არარსებულ აქამდე რასას,  
ჩემში სხვა ცნობა, სხვა თქეში და სხვა გრიგალია.  
ყვლგან ვარ, მახლავს უბედურთა დიდი ამალა,  
ლექსში სიგონჯის და სიკვდილის გავხდი მსახური,  
უნდა მეხილა, მაგრამ ბედმა თავი დამალა  
და შემიფარდა ღამე ბნელი და უსახური.

ველარ მხედავენ, მამჩნევს მხოლოდ უცხო თარეში,  
იგი თარეშობს ჩემს უსაზღვრო სიმწუხარეში.

II

მიკვირს, რომ ვცოცხლობ; მე მინახავს რამდენი ტყენა,  
რამდენი სისხლი, მწუხარება, ღალატი, შხამი,  
თუ თეთრ ქალაღზე ამ კალამმა აიდგა ენა,  
ეს ალბათ, ჩემში სინანულის მოვიდა ჟამი.  
გადავიტანე ჩანჩქერები ცივი ზამთრისა,  
ის მორალური სისასტიკე, თავის სინელით,  
გაავებულმა აგონიამ თითქოს გამსრისა  
და გახდა სული უცხვირპირო და საშინელი.

გადალილ სახეს მიკაწრავდნენ შავი შტრიხები,  
საკუთარ ქსელში ჩავიკეტე, როგორც ობობა,  
მე ვნატრობ წამებს, კუბოში რომ დავიგრიხები,  
განვდევნი ტკივილს და მომავნებს უბოროტობა.

ვილოცე, სადაც იმედები ბუუტავენ მცირე,  
„უფალო, შენთან წამიყვანე! – ბევრი ვიტირე  
– მიჭირს სიცოცხლე, ბედნიერი ვიქნები მკვდარი!“

ღმერთმა: „ილოცე სახლში, სადაც ჩემი მრევლია,  
მე ვერ გიშველი, თუკი თავიც დაგიწყველია,  
მხოლოდ უჩემოდ თუ იცოცხლებს შენში ავდარი.“

## **ვოდვეილი**

26.01.2008.

### *I*

გაღვიძება, დამე ლურჯი, ჩუმი, ტკბილი,  
მესმის რაღაც ტირილი და ხმები გრილი,  
მოგონება, ძილ-ღვიძილი, ბალი, გველი, ქალი, ხილი,  
დევნა, ენა დაგესლილი, შუალამე დაჩენილი,  
ჭიქა შხამი და მიმიკა – წარბი ზიზლით აპრეხილი,  
გვამი ცოცხლად, ბოღმა მყრალი და სიკვდილი დათესილი,  
საღდაც თავში ხტის ყვირილი და გიჟური შეძახილი,  
სინანული და კივილი, ჩემში სჩქედდა ვოდვეილი,  
ჯოჯოხეთში სამოთხე და ზომბი სქელი, გაბღენძილი,  
ბრძოლის ველი, სისხლი ცხელი და მახვილი გაღესილი,  
ჩანჩქერები აღრენილი და ცხედრები გასპეხილი.

### *II*

კადრი ცვლილი, სიღრმე დილის, გზა გვირილით დაფენილი,  
აღარ არის თვალზე თრთვილი, ისევ ლურჯი დგას აპრილი,  
მიმშვიდდება სული გრილი, საღდაც გაქრა ის ტკივილი,  
კვლავ ცოცხლდება მთვრე თლილი – ოცნებები გადალილი,  
ცოცხლის ფერით მეღებება ტუჩის ჭრილი... და ღიმილი.  
ჰო, ოცნების ვარ დევნილი.



შავი შურის შარიშურის აფეთქება აფექტური,  
ჩვენ ზეცამდე დაგვრჩა მხოლოდ ასი ოქროს საფეხური,  
კლდე, კვლა, ვიში, კვლავ კლავიში, შიში პარანორმალური,  
არ აქვთ ფერი ცისარტყლეებს, აქ ომია კოსმიური,  
ქრება ბალი, რჩება დალი, მხოლოდ ხილვა უბედური,  
აქეთ ვაი, იქით ვუი, ნაგებობა გოთიკური,  
ხმა დუმილში; თქარათქურობს ასი ცხენის თქარათქური,  
ტირის საზრდო მორალური,  
ჩონჩხი მყრალი, მასიური, პეიზაჟი აზიური,  
დრო იყო, რომ ვიყავ ერთი ოქროს თევზის მებადური,  
უმაღლური მებადური!  
ულაბნო ვარ უბედური, არ მაქვს საზრდო მორალური!  
ლალატი და სცენა ფლიდი, ოსტატური,  
შემიძლია, რომ მივიღო წარმოსახვის სამსახური?!  
კვამლი თეთრი, ქაოტური და ფოთლები ავლანური...  
ცხოვრებაა უცნაური, ხან ავი, ხან საამური,  
ამ ცხოვრების ცხაურის ვარ მოგ ზაური.

**იქ, სადაც უყვართ**

03.05.2010.

(ნინიკო და ნიკუშა ჩაჩანიძეებს)

იქ, სადაც უყვართ თავისუფლება, სადაც ლურჯობენ ფერები ღრუბლის,  
სადაც ათრობენ სულს ყვავილობა, ანგელოზები და რწმენა უფლის,  
სადაც მარადი დაქრის ოცნება და ცნობადის ხე სიყვარულს ისხამს,  
სადაც სისხამი გავს გაზაფხულის მარადიული ღიმილის სისხამს,  
სადაც არ კვდება აღარც სიცოცხლე, არც სილამაზე და არც სინაზე,  
სადაც სიკვდილი მკვდარია, რადგან გული უდრეკი არის რკინაზე,  
სადაც სიცოცხლე მინდა იმიტომ, რომ პოეზიის ქსელში გამეხას,  
სული მღეროდეს ქართული სიტყვის და ჰარმონიის გაუკვდავებას!

**მე დავბრუნდები**

27.04.2010.

მე დავბრუნდები! წვალობდა სული ამა ცხოვრების ჯვარის ტარებით,  
წავალ იქ, სადაც დავიტივრთები სხვა გალაქტიკის ტაძრის ზარებით,  
აჰა, ეს გული, მოგიტანთ ლანგრიტო! რაა ტკივილი?! – გული თქვენია!  
მტკივა წარსული, მტკივა სიცოცხლე, მაგრამ სიკვდილი ჯერ არ მტკენია!

მილოსელივით ხელებგადაჭრილს და უარყოფილს, როგორც ცოფიანს,  
მე ქვებს მიშენენ მზე, გაზაფხული და სიყვარულის ფილოსოფია!  
თვალს არ იტაცებს არც სილამაზე, ვეღარ აშინებს ვეღარც ურჩხული,  
ადარც ბიჭობა არ მჯერა ჩემი, ვარ გატეხილი და დაკრუნხული,  
ადარც ოცნება არ მგვრის ვარსკვლავებს, ჩაკვდა სიცილი პატარა ბიჭის,  
მიჭირს ვარდისფრად აღქმა სიზმრების, მიჭირს რიყრაყი, სიცოცხლე მიჭირს,  
ახლა მე მხოლოდ მემეგობრება ჩუმი დევნილის უცხო გენია,  
ახლა სხეულში შიშის სილაღეს ებრძვის ღიმილის შიზოფრენია,  
მივექანები ძილის წყლიადში და თან მომდევენ მტრედთა გუნდები...  
მომცემთ თუ არა წასვლის უფლებას? მე დავბრუნდები! მე დავბრუნდები!

## საყვარელ ქალს

01.12.2010.

მინდა, მოგმართო შენ – ანგელოზო, ქვეყნის გვირგვინო, ვნებების დედავ,  
ყველგან, ყოველთვის, ძილში, ღვიძილში, ჩემი სიზმრების დედოფლად გხედავ,  
მე მოგიძღვნიდი ყველაფერს, რაც კი ღმერთს შეუქმნია თავის არსებად,  
ყველაფერს, რაც კი კაენის სულში ვერცხლის ბეჭედით არ ითარსება,  
ჩემი თვალების დარდს და სიხარულს, შენთვის რომ ბევრი ცრემლი დაღვარეს,  
ვულკანს, მკერდში რომ დულს და კანკალებს, ჩემს ყველა სტრიქონს, შენთვის  
საყვარელს,  
სულს ათროლოებულს, თოვლის სიწმინდეს, წვიმების ფარფატს, მშვიდს და  
ვნებიანს,  
გრძელ საფეხურებს ლურჯ მწვერვალებზე, სადაც სიცოცხლის ხეივანებია,  
ანგელოზების რძისფერ გალობას, ღვთისმშობლის ლოცვას, უფლის ვენახებს,  
ისეთ სასთუმალს, სადაც ზეცისკენ ამართულ სასმისს რომ დავენახეთ,  
ქვეყნის სუნთქვას და სამყაროს კისკისს, ორთა გულების უგრცეს ტრამალებს,  
წყვილი ვარსკვლავის უნაზეს ნარნარს, სულს რომ მიძრავს და გულს რომ ამალებს,  
მთელ ჩემს ბიჭობას, მთელ ჩემს სიყვარულს, შენით ავადმყოფს, ძვირფასს და  
ვაჟურს,  
შენს თეთრ მუხლებთან დაცემულ ღამეს, მზის პეიზაჟებს, მთვარის აბაჟურს,  
ყველა სიკეთეს, რაც გამაჩნია და სიამაყის წყაროებს ერთთვის...  
მე ამ ყველაფერს შენ მოგიძღვნიდი და მოვკვდებოდი ძვირფასო შენთვის!

## საქართველო და მარადისობა

09.02.2011.

რა ეშველება ჩვენს საქართველოს, ქვეყანას, სადაც ყველას აწუხებს  
აზრი, რომ ვეღარ გაურბის ტანჯვის უსასრულობის უგრძეს მარწუხებს?

სადაც კავშირი დარღვეულია ისტორიას და მომავალს შორის,  
სადაც შემჯღარა კაცის კისერზე ვერცხლით ნაკვები მსუქანი ღორი,

სადაც სიცოცხლე გულს გვირევეს, როგორც ქალს და კაცს შორის მყოფი არსება,  
სადაც კაცი კაცს, სადაც ქალი – ქალს, ბავშვი ნამდვილ ბავშვს ვერ ემსგავსება,

სადაც ყმაწვილებს სახეზე ადევთ ნაოჭიანი ბებრის ნაკვთები,  
სადაც სიმდიდრეს ეკიდებიან ფარისევლობით, ღარიბს – აგდებით,

სადაც თარეშობს სული ჩაკლული, პური ძაღლური სადაც გვერგება,  
სადაც სატანის ხარხარი იჭყა კაცთა გულებში აისბერგებად,

სადაც არავის აღარ აღელვებს ჩვენი ზნეობის დაცემა დაბლა,  
სადაც სიკვდილი მოღის და გვანგრევს და არ ეტყობა წამებას დაღლა,

სადაც დაეცა გმირის სახელი, ზნედაცემული სადაც გმირია,  
სადაც ქვავდება ყოველი გრძნობა, სადაც ბავშვებიც ველარ ტირიან,

სადაც გვჭეროდეს ჩვენი მომავლის – ეს იგივეა, გვჭეროდეს ზღაპრის,  
სადაც ინთება წყვდიადი სანთლად, სადაც იშლება სახე წინაპრის,

სადაც სავსეა სული ნაღველით, ცარიელია სადაც სტომაქი,  
სადაც გამხდარა ქომაგი მტრად და მტერი გამხდარა სადაც ქომაგი,

სადაც უსხლტება ფეხი სიკეთეს, რომ ველარ შეძლოს მწვერვალზე ასვლა,  
სადაც კაცის ტვინს დაუფლებია წყველა-კრულვები ლოცვების ნაცვლად...

ეპ... „გვეშველება ნეტავ ოდესმე?!“ – გკითხულობთ, გვესმის: „სული ამოგხდეს,  
ვერ ეღირსება დამპალი ხორცი ნანატრ შველას და ნანატრ სამოთხეს!“

დროებითია მაგრამ ყოველი... გულში ეს ყოფა ეკლად ისობა;  
განუყოფელი იქნება მარად საქართველო და მარადისობა!

## **გველთა ჭაობი**

16.04.2011.

მე დავიღალე! არ მინდა ყოფნა, სადაც სიმართლეს დაბლა ათრევენ,  
სადაც სიცრუეს ამ ცხოვრებაში მწვერვალზე ქონდა ბინა აღრევე,

არ მსურს, ვცხოვრობდე, არ მსურს, ვსუნთქავდე თევზის მუცელში, როგორც იონა,  
ვხედავდე, სადაც ჩემს უღიმღამო თვალებს წყვდიადი ეალიონა,

შავი სისხლია ახლა სხეულში და ეხეთქება აღრენილ ძარღვებს,  
ახლა სიცოცხლე ეხვევა სიკვდილს, ახლა სიკვდილი სიცოცხლეს არღვევს,

რა საწყენია... ვგრძნობ და დავდივარ, ცეცხლი ვარ მხოლოდ, არც ჭვა, არც ხე ვარ,  
თავს ველარ დავხრი მიწაზე ახლა, ახლა მინდება ცაში არწყვას,

მე გავიზარდე... ვინ მომიყვება ახლა ძილის წინ ბავშვობის ზღაპრებს?  
ქაოსში ვხედავ სიმშვიდის მწვერვალს და სიმშვიდეში ვხედავ სიმძაფრეს,

ახლა უნდება ბაყაყ ხარობა, ახლა გასკდება ტყავი შაგრენის,  
ემორჩილება სიმშვიდე ეშმაკს, ცოფიანივით მუდამ აღრენილს,

ვამსხვრევ ვარდისფერს, ვხედავ ქვეყანას, როგორც მაიმუნს დამპალ პალმაზე,  
შავო, ჯოჯოხეთს მიექარიშხლე, თეთრო, ჩვენს სულელებს მიელამსე!

მინდა, გავშორდე გველთა ჭაობებს და შევეხიზნო მკვდართა ბანაკებს  
– წუთისოფელს ხომ ახლა სიცრუე, ჭიბის სისქე და სისხლი განაგებს,

მე მაგონდება: როცა ვხედავდი, თვალახვეული თურმე ვიყავი,  
სიკვდილი არის მარადი მხოლოდ, მხოლოდ ის არის გაურიყავი,

ვცოცხლობ და მინდა ლეჰვა სიკვდილის, კვდები და თურმე ხსოვნას ვუნდები,  
ვწევარ და დავჭრი, როგორც ნიავი, დავდივარ – მალევს რკინის ხუნდები,

ძველ ტილოებზე ტირის მადონა, ახლებზე – ძველი მეძაგები,  
კმარა ცხოვრება! ახლა სიცოცხლეს წვიმის წვეთებიც მედავებიან!

## **გოგონა თავშლით**

22.03.2010.

ღია ფანჯრიდან მოჩანს კაპელა ახალი სოფლის მწვანე ყვავილთა,  
ისმის გალობა ანგელოზების და შიშით გარბის სადღაც სიბერე.

სული ივსება ახალი ძალით, რა უსაზღვროა ძალა გალობის,  
რა უსაზღვროა გაქცევა ზამთრის და გაზაფხულის მოსვლა ნანატრი!

იქ ეზოები ახალი ტაძრის ეფერებოდნენ წვიმისფერ ნაწნავს  
(ტაძრის ეზოში იდგა გოგონა და შესცქეროდა ფოთლების ცეკვას)

გარბოდა მზერა სამყაროს იქით, სადაც არავის ელის არავინ,  
(რადგან უღრუბლო ზეცის დებიუტს ამ ცხოვრებაში ნათლავენ ზღაპრად)

ტაძრის ეზოში ისევ კაპელა, ისევ გალობა ყვავილთა მრევლის,  
იქ ისევ იდგა გოგონა თავშლით და შესცქეროდა ფოთლების ცეკვას...

## **ART - ბართლომეს ღამე**

22.08.2007.

(ამ ღღეს თბილისში დაბურეს მწერალთა სახლი)

მიწაზე, სადაც დაუბერტყავს უფალს თავისი მდიდარი კალთა,  
მე მეშინია... და მშლის ნგრევა “აღმშენებლობის”.  
ვაიმე, ხალხო, ქARTველებო, აქ იკეტება სახლი მწერალთა!  
ხელოვნებისთვის ნუთუ მოდის ღამე ბARTლომეს?  
ART-ლომებს არ აქვთ აღარც ჭერი, აღარც კედლები,  
რა მახინჯია ხელოვნება უხელოვნების!  
ვერ წაგვARTმევენ ARTერიას, ქARTველები ვART, ქARTველები ვART!  
სადღაა ნება, მოტანილი მტრედის ნისკARTით?  
სადღაა ნება იმ მშვიდობის, ჩვენ რომ გვებოძა ზეციდან ღმერთო?  
შენი შვილები დაგვიფარე და ნუ დაგვლუბავ!  
გადაგვაფარე შენი კვARTი, ღმერთო, უფალო... მე მეშინია!..

## **ის**

21.08.2007.

მე... მე იმდენადა მიყვარდა ის, ისე ვბოდავდი... ის იყო ყველგან,  
იქაც კი, სადაც არასოდეს არავინაა,  
ისე ვიწორი, ვოცნებობდი და ვიშლებოდი სიყვარულისგან,  
რომ ახლა უკვე აღარ ვიცი, მაღალი ღმერთი  
მომცემს თუ არა მე უფლებას, ზნეს, ნიჭს და უნარს, მიყვარდეს ვინმე,  
მას შემდეგ, რაც ის აღარაა აღარც იქ, სადაც  
აუცილებლად უნდა იყოს, მაგრამ ბობოქრობს სიცარიელე.

## **მარადი ხილვა**

11.12.2010.

ყველაზე ხშირი სტუმარია ჩემი ცხოვრების  
– შავი კალამი შავ ფურცელზე თამაშობს მუდამ,  
წერს ვიღაც უცხო გაკრული ხელით  
და თეთრით შავზე იწერება ბნელი სიმართლე,  
სიმართლე, რომელიც მკლავს ყოველდღე,  
რომ კვლავ თავიდან დავიბადო, რომ კვლავ ვებრძოლო იმავე კოშმარს  
და ეს გრძელდება დაუსრულებლად,  
**შავი ფრინველის როგორც სიტყვა უკანასკნელი.**

ჩემს ბავშვობაში, ეჰ, რამდენჯერ მიოცნებია:  
 (ბავშვი იყავი თავო ჩემო, ნუ გიკვირს, ბავშვი)  
 რა მოხდებოდა, რომ არ იყოს უღაბნოები,  
 მათ ადგილზე კი ყვოდეს ბალი.  
 მთელი მსოფლიო ბალი იყოს...  
 რა მოხდებოდა, რომ არ გავლეს ადამიანი ვინმე ობობას,  
 არ ჩადიოდეს იდიოტობას.  
 მაგრამ რას ვიზამთ თავო ჩემო, შავი და თეთრი  
 ხომ დაგვჭირდება კონტრასტებისთვის?  
 ფერების მრავალნაირობა ქმნის სილამაზეს,  
 მიყვარს პალიტრა.

**შავ-თეთრი ოთახი**

03.10.2008.

I

ახლა შევდივარ დერეფანში. გრძელია იგი,  
 ბნელი, შავი და უბოლოო. ბოლოში არ ჩანს თეთრი წერტილი.  
 მომბეზრებია თურმე, მე ვგრძნობ – ყოფნა უბრალო ადამიანად  
 და ახლა ჩემთვის ჩვეულებრივი არის და არის უჩვეულობა  
 და უჩვეულო არის და არის ჩემთვის ძალიან ჩვეულებრივი.  
 ბოლოში არ ჩანს თეთრი წერტილი, სამაგიეროდ  
 ხომ დგას მაგიდა გიშრისფერი გადასაკრავით?!

მე არ ვიცი და არ მსურს ვიცოდე,  
 მაგრამ ხომ მოდის საიდანღაც შიში შიშველი უსასრულობის.  
 თუმცა არ ვიცი, რა ფერისაა შუქი იგი.  
 ვხედავ მხოლოდ შავს – თეთრი დავკარგე.

პატარა დარბაზს ავსებს ხალიჩა უცნაური თორმეტი გვამის.  
 შავოსან გვამებს არ აქვთ თვალები  
 და უთვალეზოდ მიყურებენ ისინი ახლა.  
 მათ ფოსლებში ვხედავ ნამგლებს ტარით მიწისკენ.  
 ეს ნიშანია ინტერესის, კითხვაა იგი.

მაგიდაზე დევს წიგნი გაშლილი. არ ღამინახავს, მაგრამ ვიცი  
 – ყორნისფერია.  
 მაგიდას უჯდა ერთი გვამი თორმეტთავანი.  
 იგი წამოდგა ჩემს შესვლაზე, წიგნი დახურა.  
 (მხოლოდ ვინმესთვის არაფერიც არა წერია)  
 გვამმა სათვალე ჩამოიხსნა, მიმზერს მალლიდან, უფრო მალლიდან,  
 ვიდრე ძალუძს ნებისმიერ ასტრონავტთავანს.  
 შეძევგ? ნამდვილად, გვერდზე გადგა ცხედარი იგი.

მივუახლოვდი წიგნს გადაშლილს (არა, ახლა დახურულია)  
ხელი დავადე და ვჩურჩულებდი,  
ვჩურჩულებდი და ვჩურჩულებდი, ვისთვის გასაგებ,  
ვისთვის მეტიც – ძვირფას, ახლობელ, მაგრამ ვისთვის გაუგებარ, მხეცის ენაზე  
და შევამჩნიე – ყინულები როგორ დნებოდნენ მათ სახეებზე!  
მე ხომ ღიმილი დავინახე სიუცხოვეში  
– ეს იყო ფიცი, ხოლო ღიმილი – აღიარება ამ ფიცისა; ეს კურთხევაა!  
(კედლებს ამშვენებთ ორასწლოვანი სიმბოლოები)  
შემოვტრიალდი და წამოვედი.

## II

მივბიძგებ და ქრება სიშავე. ვიწრო და გრძელი დერეფნებით  
გავდივარ მარტო თეთრი ოთახის მოხრიალე კედლების ცენტრში.  
აღარ არსებობს არაფერი, გარდა თვითონ არარსებული არსებობისა!  
მისი კვიცილი ერწყმის შეშლილ უნაპირობას.

გამიშვით! არ მსურს აქ არაფერი! ვყვირი, ისე რომ  
ჩემი ხმა ესმის მხოლოდ ჩემს სულს, მტირალს, მარტოაქვს...  
მინდა მე ახლა ეს ყველაფერი?

ირგვლივ კვამლია და თითქოს ვუსმენ არარსებული აფთრების ლავლავს.  
მე მელანდება თეთრი ოთახი, თეთრი სივრცე და კედლები თეთრი.

კეთრი მჭამს გონჯი, უცხვირპირო,  
ჩემი ცხვირპირი ეთჟიფება სცენას, საშინელს და უსასრულოს.  
ჩამწყრივებულან საწოლები მეომრებივით.

ხალხი, მზესავით აღვზნებული და უცნაურად მობორიალე.  
ხალათი თეთრი, კაცი ოთხთვალა, გამადიდებელმომარჯვებული!  
ახლა მე იგი შემეხება ქუთუთოებზე, შიგნით ჩამხედავს!  
ხომ არ აღმოვჩნდი გარიყული სიუცხოვეში, სადაც არავინ არ იშურებს  
მზერას ზემოდან? ვაი, რამდენი ხალხია და მხრავს მარტოეთი!

არა, არ მინდა რალაც აბები, მე ხომ ისინი მიკარგავენ  
თუნდაც მახინჯი რელობის აღქმის სიბილწეს.

მე და ბურუსი! ჩვენ ხომ ერთმანეთს ვაერთმანეთებთ  
და ვიჟლინთებით ერთმანეთის ცხელ-ცხელი სუნთქვით!  
გაყინულ თვალებს მისისხლიანებს საწყვიდადეთის მეწამული გაკაშკაშება!

## III

ჩემი საუბრე შედგება მზისგან, სამხარი მთვარის,  
ვახშამი კი ვარსკვლავებისგან.

ჩემი ჩანჭრით იჟლინთება ყველა ღრუბელი,  
ჩემს ლაწვებზე კი დულდებიან აისბერგები.

მე ვგრძნობ რალაცას: ეს ძაგძაგია შიგნეულისა!  
თითქოს ათასი წლის შემდეგ, მაგრამ  
მაინც მალვიძებს ჩემი თავის ვერცხლისწყლობა.

არა, არ ვწევარ მზის სხივებით დაწნულ ჰამაკში

– დაგრაგნილია სარეცელი მორიელივით.

არ ვიცი ახლა, მიწაში ვარ, თუ იქ დავფრინავ, მაღლა სულ მაღლა, ზურმუხტოვანი მეცხრე ზეცის ლურჯ მწვერველებზე!

მე ის არა ვარ, ვისაც ხედავთ. ეს მარტივია ძალზე უბრალოდ:

– მე სხვა ვარ.

## ველი წითელი

27.04.2009.

(დაცემულ გმირებს)

იყო ის, რაც კი არ გვეტოვებდა ამ ეპოქამდეც.

ჩვენ თბილ, პატარა, სიყვარულით გამთბარ ბუდეში  
ოთხხელა კაცმა შემოისროლა ასობით რკინის ობობების  
გაუმადლარი გუნდის ნარწყვი.

ველი წითელი, გაქვინთილი ქართული სულით,  
სისხლიანი და უთანასწორო.

მამის დაღუპვის მოლოდინში დედის წიადში

ჭყაოდნენ ჩვილნი დაუბადებლად.

ცაში კი, ცაში, წამიერად... ჰა! იხრწნებოდნენ თვითმფრინავები,

რადგანაც იყვნენ არაქართული წარმოშობის ისინი მაშინ.

შარვალში ისვრის ვიღაც მფრინავი, აყროლებს ჩვენი ზაფხულის სურნელს.

ციდან სიკვდილი მოდიოდა, რომ მოვეკალით,

ჩვენ კი ვხვდებოდით, სიკვდილის შემდეგ რომ გვეცოცხლა საქართველოსთვის.

იყო სიკვდილის წვიმა და თოვა,

(მას ვერ ვივიწყებ ვერასოდეს მე)

სულმა, რომელმაც ხორცი დატოვა,

უფრო იცოცხლებს, ვიდრე ოდესმე!

ახლა კი, ტყეში სეირნობისას

მე ხშირად ვხვდები წითელ ნერგებს,

წითელ ბალახებს.

## ღია კარი

23.05.2009.

ჩემი სიცოცხლე უკეთ იცნობდა

სიკვდილს, იცნობდა თავის თავს ვიდრე.

დღეს პოეზიის საღამოა.

„წავიდე?“

წავალ,

წავედი!“



– მე ვარ!

წავალ, მოვუსმენ სხვა პოეტებს, წაიკითხავენ ისინი ლექსებს,  
მე კი ვიჭდები და არაფერსაც არ წავიკითხავ.  
არ მიყვარს ცენტრი ყურადღების, ვეკვრები კედლებს სიმარტოვის,  
ის არის ჩემი მეგობარი განუყოფელი.  
იგი სანდოა, არ გაამხელს, რასაც გაუმხელ.  
გაცნობა გინდათ ჩემი? მაშინ იკითხეთ ჩემი ლექსი უჩემოდ.  
ეს რვეულები დღიურები არიან ჩემნი.  
მე მათში ჩავდე სული ჩემი და მისი კარი ღიაა თქვენთვის.

## კიბე

20.01.2009.

კიბე სად არის  
ან როცა არის და ზედ ავდივარ  
რატომ იმსხვრევა საფეხურები  
რომ დავიბადე მაშინ დავიწყე სვლა მაღლა  
ცისკენ  
მე კი არა  
რომ დაიბადნენ ყველამ დაიწყო  
ყველას თავისი კიბე აქვს ყველას  
კიბეა მხოლოდ მიწის ზემოთ  
ცოცხლისთვის არის განკუთვნილი  
ღმერთმა აშენა თავის ხელებით  
არასდროს მარტო რომ არ ვიყოთ ჩვენ თქვენ და ღმერთი  
როდესაც წავა ადამიანი  
ელვის სისწრაფით აღმოჩნდება ან კიბის წვერზე  
მაღლა სულ მაღლა  
შეეზილება უფორმო ღრუბლებს  
ან წავა დაბლა იქ არ არის კიბე არ არის  
იგი ეშმაკმა დაამსხვრია  
თუ ეუბნება სიცოცხლეში ადამიანი სულის ზეობას უარს მკაფიოს  
და ამის შემდეგ როცა ტოვებს იგი ცხოვრებას მიწისმიერს  
მას არ ჭირდება კიბე არცერთი  
ცისიერი კი მითუმეტეს  
ხოლო როდესაც გვამს მიწაში ჩაასვენებენ  
იგი ვერ ნახავს ვერც იმ კიბეს  
ეშმაკმა უკვე რომ დაამსხვრია  
ან უსულო ხორცს კიბე აბა რაში ჭირდება  
ის ვერსად ავა  
სადაც ჩავიდა  
მხოლოდ იქ არის სამუდამო მისი საუფლო

უხორცო სულს კი უნდა კიბე  
სწორედ ის კიბე ღმერთი რომ ქმნის თავის ხელებით  
სულის ფრთებია კიბე იგი  
ყველას თავისი კიბე აქვს ყველას  
მაგრამ აი მათ  
ვინც აღარ შედის არც ყველაში  
არც არავისში  
ანდა საერთოდ არც ვინმეში და არც რამეში  
სიკვდილის შემდეგ მათ არ აქვთ კიბე  
რადგან წაართვეს და დაუმსხვრიეს  
აი ამიტომ არიან მიწის სიღრმის სიღრმეში  
რამდენიც უნდა დაილეწოს საფეხურები  
როცა ავდივარ  
მჯერა მოვა დრო  
მოვექცევი მე კიბის წვერზე  
მალლა  
სულ მალლა  
შევეზილები უფორმო ღრუბლებს  
ყველას თავისი კიბე აქვს ყველას

## დიღხანს ვფიქრობდი

24.02.2009.

მე კაცი ვნახე  
თავი ცისკენ აეპყრო ხტოდა  
ცას უყვიროდა შესჩიოდა თავის საწუხარს  
და ქვებს ესროდა და უმდიდრეს წყველას უთვლიდა  
კაცს უწოდებდნენ ჭკვიანს მინახავს  
როცა ის იყო მშვიდი როგორც ზამთრის ღამეა ძილის სიღრმეში  
თვითონ სიკვდილი ვნახე შემდეგ იმავე კაცის  
ასე ამბობდნენ მას შემდეგაც  
ჭკვიანი იყო  
იყო მშვიდი და გემრიელი კაცი პატარა  
ხოლოდ ხანდახან ურევდაო  
მერე რა მოხდა  
დიღხანს ვფიქრობდი და ვფიქრობდი მსურდა გამეგო  
თუ რას ნიშნავდა ეს ყველაფერი  
ვიყავ პატარა მაშინ კაცის სიცოცხლესავით  
მერე კი მერე გავიზრდე და მივხვდი როგორ  
გავდა იმ კაცის ცხოვრება ჩემსას

ის როცა წავა ამა ქვეყნიდან სადაც ვერავინ  
დაუშლის ყური რომ დაუგდოს სიბნელის წკრიალს  
და თქვენ კი აწევთ მის სასახლეს  
იქნება მაშინ ბუმბულივით მსუბუქი როგორც  
იყო ყოველთვის  
შემდეგ ჩაუშვებთ დალილ სხეულს დედამიწაში  
დაუბრუნდებით გრძელ მაგიდებს და იქეიფებთ  
ქართველებო უფრო ქართულად  
რომ ასწევთ ჭიქას ასაწევი ვისაც გაქვთ იგი  
შემდეგ მთვრალეები შინ წაუხვალთ ამ რეალობას  
თქვენს მეუღლეებს და თქვენს შვილებს რომ მოეფეროთ  
ანუ ეს ნიშნავს  
რომ გაგრძელდება ეს ცხოვრება ჩვეულებრივად  
ილაპარაკეთ გუშინდელი დღის გმირზე ავი  
ილაპარაკეთ დაივიწყეთ გამოთქმა მკვდრებზე  
არ საუბრობენ აუგს არასდროს  
იგი თქვენ გაძლევთ ამის უფლებას  
ილაპარაკეთ ოღონდ კი მის სულს შებრალებას ნუ გაუბედავთ  
დასცინეთ იგი ველარასდროს ვერ გაგცემთ პასუხს  
თქვით ვერ იყოო სრულ ჭკუაზე  
მუდამ მსუბუქი იყო თავის ბუმბულებივით  
ან მოიგონეთ  
იყო ასკეტი  
აქ კი ვიპოვით სიმართლის მარცვალს  
რომ სიმართლოვე მიდრეკილი იყოს მის მიმართ  
და მეფე ლირის უყვარდა გვირგვინს  
ზოგმა ისიც თქვით  
ხალხმრავლობას რომ ვერ იტანდა  
აეტანაო რადგან იგი წერას საკუთარს  
ილაპარაკეთ მასზე ავი და დაივიწყეთ  
თურმე მკვდრებზე რომ არ ამბობენ აუგს არასდროს  
ილაპარაკეთ პატრონებო უძელო ენების  
თქვენ მოგეხსნებათ ჯაჭვი მძიმე  
მას ესმის თქვენი  
ერთი პირობით იმ ქვეყნიდან გითვლით რომელსაც  
ნუ გაუბედავთ მას შებრალებას  
შემდეგ ის კაცი მოვა თქვენთან ძილის წუთებში  
და გეტყვით მე ვარ დამხატავი ამ სტრიქონების  
რომელსაც ახლა თქვენ უყურებთ რძისფერ სივრცეში  
მე ვარ ის ვინც თქვენ მართლა იცით  
დღეს მე ეს მე ვარ

და გკითხავთ შემდეგ  
თუ არსებობს რამე მიზეზი იმის ურღვევი დამხატავი  
როცა ვცოცხლობდი მართლა ვცოცხლობდი  
ან თუ აღარ ვარ მართლა აღარ ვარ  
ან ის მიზანი თუ არსებობს რისთვისაც მიღირს  
ამ სტრიქონების ტანჯვით დამწერს  
რომ ჩავისუნთქო ეკლიანი ჩემი ჰაერი  
გადაწვით ჩემი რვეულები  
არ წაიკითხოთ  
მუნჯი წყველა საკუთარი გრძნობების იგი  
მე მოვალ სტუმრად თქვენი ძილის ფრთიან წუთებში  
და გეტყვით მე ვარ  
მე ვარ თქვენს თოვლზე თეთრი ფრთების თამაში თვითონ

## სურათი

22.09.2009.

მე მოსვენებას აღარ მაძლევს ეს ჩემი თავი,  
სადაც ათასი უცნაური აზრი ტრიალებს.  
მე გთხოვთ, ჩამიქრეთ ეს ვარსკვლავი,  
რომ ეწოდება დღეს რატომღაც მზე და მნათობი.  
იგი ყალბია, მე არ მიყვარს სიყალბე, არა!  
მე გთხოვთ, ჩამიქრეთ ჩემი შუქი, ყალბი ვარსკვლავი,  
მე მას გავცვლიდი ამ სურათზე სიამოვნებით:  
თბილად აშუქებს შეურყენელი შუქი მსუბუქი  
ბუნების წიაღს ჯადოსნური ზაფხულის ღამით,  
კლდიდან ჩანჩქერი მოგრილებს ცივი – ასეთი  
სულია ჩემი, მაგრამ ჩანჩქერი წმინდაც ხომ არის  
იმ ჰაერით, მთელი ცხოვრება რომ ვნატრობდი ჩემი ცხედრისთვის?  
ჩანჩქერს გოგონა ეცეკვება (არა, არ ვიტყვი ახლა მის ასაკს)  
მომავალი ქალია იგი,  
არა უბრალოდ – ქალთა შორის ქალია იგი,  
ბავშვია, მაგრამ მას აცვია კაბა რძისფერი,  
ნაზი, ბავშვური, გამჭვირვალე, როგორც თოვლია  
ცივი ზამთარის თოვლისფერი რიჟრაჟის ფონზე.  
მე ის მინახავს, არ მინახავს, მაგრამ მინახავს!  
მე მოსვენებას აღარ მაძლევს ეს ჩემი თავი,  
სადაც ათასი უხილავი ხილვა ტრიალებს.

## ერთია მიწა

07.07.2009.

დღეს იგივეა, ვიყო მშრალი და ვიყო ტევრი,  
– ბევრია დიდი კაცი პაწია.  
უფესკრულში ალბათ, მეტისმეტად ვიყურე ბევრი,  
რადგან მან ჩემში შემოაღწია.  
ვიხედებოდი მუდამ უკან, რადგან სურნელი  
მე წინ მენახა, თუ რის მელოდა.  
მდელი ერთი მაჭვს ერთს და უცხოს, რადგან მსურველი  
მე ვერ ვიქნები უცხო მდელითა.  
სიტყვები მოკლე, მაგრამ გრძელი, აქ – ამ მკერდშია,  
– გამხდარის ქონში მეტი ქონია.  
უცხო წალკოტებს საქართველო მუდამ მერჩია,  
როგორც სიცოცხლის ჰეგემონია.  
ერთია მიწა, მაგრამ ორი: – მიწავ, მიწამე!

## ბატონი ჯაზი

15.07.2009.

ბატონი ჯაზი დარბაზშია, უკრავს და მღერის,  
იმ ჩანჩქერივით, სულს რომ აღვიძებს.  
ბიოლოგია, ანდა სისხლი, არის შუაში?  
– ის ჩემი ძმაა და მეგობარი.  
თეთრი კანი მაჭვს, მას კი შავი და ტალღოვანი,  
შავი თმები, მე – წაბლისფერი,  
მაგრამ იგი ხომა ძმა ჩემი და მეგობარი.  
გათენებამდე მე და ბატონი ჯაზი ერთმანეთს  
ვსვამდით, ვუკრავდით და ვუმღეროდით.  
რომ ვყოფილიყავ ცხოვრებაში მე ბედნიერი,  
მას გაუფიცვლიდი აუცილებლად ჩემს საყვარელ ხალხს უბედობაში.  
სიკვდილის შემდეგ მეშინია მხოლოდ და მხოლოდ  
უმუსიკობის ჩუმი ღრიალის.  
მაგრამ რა დროს ეს? დარბაზშია ბატონი ჯაზი!

## XXI საუკუნე

26.02.2010.

ოცდამეერთე საუკუნე! შენ გეძახიან  
განვითარებას, ახალ სუნთქვას, ახალ ეპოქას,  
შენში ირგებენ ბატონის ქურქებს ადამის ძენი,  
გახვრეტილ ჯიბეს შენ ამრავლებ სოკოებივით.  
ყითელ ფურცლებში შენ შეგაქებს მემატრიანე,

ეს შენ გწყველიან ავადმყოფნი, მიუსაფარნი,  
შენში ეძებენ სოლომონის სიბრძნის გასაღებს,  
იმოსებიან შენი ყფით მშიერ-ტიტვლები.  
შენში იზრდება უდაბნოთა გრძელი რიგები,  
ტანჯვა-წამების ასწლიანი ხარ დიდოსტატი,  
რომელიც არ ჩანს, ის თოკი ხარ, ყელში რომ უჭერ  
ადამის მოდგმას, შენ რომელიც გემორჩილება.  
ველარ იყოფენ შენს მიწა-წყალს ჭრელი ტურები,  
შენ ხარ მკერდიდან ამომსკდარი ხმაც და დუმილიც,  
შენ იხლიჩები – ჯებისქელნი შენ დაგიცავენ  
და მდინარეებს გადარევენ გვამთა გროვები.  
რომ მაგონდება, შენში ვცხოვრობ, გული მერევა  
და მენატრება ბრბო ყაჩაღთა, სადაც არ არის  
არც შეზღუდვები, იკრძალება სადაც აკრძალვა  
და უცინიან თავის ჩუმ და მშიერ სტომაქებს.

## შენ და მე

25.12.2009.

(ჩემი სიყვარულის ისტორია)

იდგა ლამაზი შემოდგომა, ნაზი და ჩუმი.  
თითქოს სექტემბრის ორკესტრები ეხეთქებოდნენ  
ჩვენი სულების უჩინარ ფსკერებს, უკრავდნენ ლალად  
და ეფრქვეოდნენ რძისფერი სივრცის კედლებს დუმილით.  
და გაგიცანი!... მე შენ გისმენდი, ჩუმად, გარინდვით  
და ვრწმუნდებოდი უცხო სამყაროს არსებობაში...  
იყავი თითქმის ოცდახუთის, სულ სამი წლით უმცროსი ჩემზე.  
ჩვენ შეგვიყვარდა ერთმანეთი  
შიშველ კლდე-ღრეზე მოხეტიალე ქარის სიჩქარით.  
ბედნიერები ვქანაობდით ახალ მთვარეზე,  
(არ გვეშინოდა მაშინ მისი გადმობრუნების)  
მაგრამ ყოველი მოტანილი აღმოჩნდა ქარის!  
და შენ წახვდი... რომ შეგეღება ყოველი ღამე თოვლის ფუნჯებით.  
კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მივხვდი:  
შეეძლო სხეულს არსებობა თურმე უშენოდ, მაგრამ სიცოცხლე?...  
მე მივხვდი, რომ არ მქონდა სხვა გზა და ვაიძულე ჩემი თავი,  
მარტოობაში აეთქვიფა სული ობოლი.  
მე ვცადე, შენი უხილავი სულის სამყარო  
გამომესახა პოეზიის უცნობ დაფაზე.  
მე ბევრი ლექსი მოგიძღვენი...  
მე შენ „შავ-თეთრი“ მთვარე გიწოდე,  
რადგან სიზმრებში არ მშორდებოდა შენი სახის ორფეროვნება!

წარმოსახვაში ერთი ბალი გამოვიგონე, შენი სახელი რომ დამერქვა და ჩვენ ერთმანეთს შევხვედროდით მაკგარდენის მწვანე სიღრმეში, ჩვენ იქ ვსუნთქავდით მზეს, ერთმანეთს და მონატრებას.

ჩვენი ცხოვრება როგორ გავდა სამოთხეს მაშინ!

იყავი ევა, მე – ადამი და არსად ჩანდა ჯერჯერობით ქვეწარმავალი.

მაგრამ ხანდახან მეღვიძებოდა ოთქუთხა სივრცის ეულ პატიმარს და ასკდებოდა წყვილ წრეს შიგნიდან

შავ გისოსებად გარდასახული მწარე ნაღველის აურზაური!

ხან კი იმედის ნაპერწკალი ღვიოდა ჩემში.

წარმომედგინე მაშინ ასე:

გრძელ, შავ გვირაბში უბოლოოდ მივაბიჯებდი,  
უდასასრულო ბილიკებზე ფეთქავდნენ ბნელი სივრცის ტალღები,  
თეთრი წერტილი მიღიმოდა, ის იზრდებოდა,  
ის ნათლებოდა და იღებდა ბოლოს შენს სახეს!  
ის ხომ ისეთი ლამაზი იყო, მარად შემორჩა ჩემს მოგონებებს.

რეალურად კი არსებობ სადღაც...

აღბათ, ისეთი ბედნიერი ხარ ახლა ძვირფასო!...

ბედნიერი და ამოუცნობი, როგორც შენ, დრო და მარადისობა.

ჩაივლის წლები, სახეზე ლურჯად გაგეტოტება

ძველი ძარღვების ასწლოვანი მდინარეები,

ძველი ფიჭვები აგვისებენ უმწვიდეს სახეს,

სევდანარევი გაგიტაცებს ცაში ოცნება,

ჩემში კი მარად იარსებებთ: შენ, შენი კლემა და სიალმასე

და უიმედოდ ვიმეორებ: „ჩემო ძვირფასო,

იყავი მარად ბედნიერი, იყავ მშვიდობით“.

## ბურუსი

18.05.2008.

მუდამ იმდენი ჯაჭვი მოდის ციდან რამდენის  
მეოთხედიც ვართ ჩვენ ქვეყანაზე  
ყველა კიდურზე ადამიანს აბია იგი  
და ღმერთი გემართავს ადამიანებს  
მაგრამ დღეს თურმე ზოგიერთი ჯაჭვის სადავე  
მოდის მიწიდან უჭირავს ეშმაკს  
ისე დავმუნჯდი ალეღვებისგან  
რომ დავემსგავსე ოლიგოფრენიკს  
ჩემს თავს ვაუწყე როცა ამბავი  
უკვე გავლილი სტრიქონებისა  
უკიდევანო დედამიწის წინაშე მარტოს  
ვერ მიბედავდა ვერც ტირილი სახის ამღვრევას  
მარტოობაში რატომ მართავს მარტი მარათონს

როცა უარყოფ ყველა ტანტრევანს  
მე შიშველი ვერ როგორც ის ჩვილი  
დედის წიაღს რომ ტოვებს და ტირის  
ის ტირის რადგან ის ვერ იტანს წიაღს მოწყვეტას  
მე კი ვერ ვტირი  
აი ამით განმასხვებენ ჩვილებისაგან  
როცა მომივა წუთები ბინდის  
და დამმარხავენ როგორც წესია  
არ დავიტოვებ მე აღარც სინდისს  
თუ წამართმევენ ჩემს პოეზიას  
გინდ ასის ვიყო მე ის ბავშვი ვარ  
ბავშვობაში რომ იღუპებიან  
ვინც ვერ მოასწრო სიცოცხლეშივე რომ გაემართა  
გრძელი დუელი  
სიცოცხლის წლებთან  
იგი მიიღე მაგრამ მის დუმილს  
ახლა ნუ ელი  
მაგრამ სანამ ვარ  
მხოლოდ ვიქნები დანარჩენი ცხოვრებამ იცის  
მათ ვისაც ახლა კალმის ქნევა ჩემი სწყინთ  
ვეტყვი  
ნუ გწყინთ სიმართლე i`m sorry  
მათ ვისაც სუნთქვა დავიწყებიათ მე შევახსენებ  
მე თქვენი სუნთქვის ვარ ღირიჟორი  
დღეს კანონის ბრკალს მტრობს კანონის შავი ბურუსი  
ეს სამყოფელი მიმართა უცხოპლანეტად  
რადგან ჩემია  
მაგრამ მე ვიცი მოედება მთელ დედამიწას ეპიდემია  
სხვანაირობის აუხსნელი ეპიდემია  
და მე არ ვიცი ეს კარგია თუ არის ცუდი  
რომ მყარებოდა მზეში ყოფნა მე ვიქნებოდი  
უჩრდილობა სიცოცხლეშივე  
ბევრი წლის შემდეგ დავემსგავსები მე ალბათ ფენიქსს  
მაგრამ დღეს ვგავარ ოლიგოფრენიკს  
ისე დავმუნჯდი ალელვებისგან  
მე მინდა ფრენა ღამით მზისაკენ  
დღისით გამირბის თვალი მთვარისკენ  
მე გადავწყვიტე რომ არ დამესვა  
აღარც წერტილი და აღარც მძიმე  
რისთვის წერტილი ან რისთვის მძიმე  
უწერტილობა ავაციმციმე  
ვარ უწერტილო და უმძიმობა  
მძიმე გავხდები როცა მოვკვდები



არ მახსენებენ თუკი გარდაცვლილს  
როცა ვარ მკვდარი მე ვარ ცოცხალი  
და როცა ვცოცხლობ მაშინ მკვდარი ვარ  
გაქვავებული როცა ვარ ვცოცხლობ  
და თვალებიდან გადმომსკდარი ვარ  
იმ ჩანჩქერებად და იმ წარღვნებად  
რომ გლოვობენ და განიცდიან ცხოვრების ლოდებს  
უჭაერობას

დღეს მე დავხაზე ყველა მდინარე  
ყველა ატლასი ყველა რუკები  
ვინ თქვა რომ სითბო უნდა ათბობდეს  
მე ყინულებში დავიხრუკები  
ჩემში დავხატე ის რიკულები  
რომელშიც მოთქვამს ჩემი კელია  
მე დავიღალე დაუღლელობით  
ეს დაღლილობა ჩემი მკვლეელია  
როცა ვხრიალებ არ ჩანს გარედან  
მეუბნებიან დუმხარ და ისმი  
შენთანაც მოვალ ჩემო სიკვდილო  
გეამბორები თუ მეტყვი kiss me  
მუდამ იმდენი ჭაჭვი მოდის ციდან რამდენის  
მეოთხედიც ვართ ჩვენ ქვეყანაზე  
მუდამ იმდენი

## ზე შთაგონება

12.2008.

I

როცა მოვედი, არ ვიცოდი, მე რომ მოვედი,  
მე რომ ვიყავი ის შობილი, რომელიც იშვა იმისათვის, რომ შობილიყო.  
ეს მაშინ, როცა იყო უამი ჩემი გაჩენის.

მაგრამ მოვედი. ვიზრდებოდი მანამდე ვიდრე,  
შეიძლებოდა გაზრდა ჩემი, მანამდე, ვიდრე,  
ერთ მშვენიერ დღეს არ ვიხილე, რასაც არასდროს  
მე არც ჩემს თვალებს ვუსურვებდი და არც არავის.

ხმება მელანი, ვიდრე დაწერს ამ სიმახინჯეს  
– უცნაურია აბა რაა, გაკრიალებულ ზეცის ნაპირზე ბურუსების იდუმალება  
– ერთია გარეთ, შიგნით სხვაა, ამოუცნობი.

II

მე ვნახე მიწა, შემოსილი ცოდვის ნაყოფით, ვნახე ღრუბლები,  
მომიკვიანი, შავი ღრუბლები, გატყვისფრება სილამაზის,  
დღეს სიმახინჯედ რომ იწოდება და სიმახინჯე,  
სილამაზედ რომ მოუნათლავთ სატანის ტუჩებს.

შენც გატყუებენ ნეტარებავ, შენ სამსალა ხარ გრილი სხეულის,  
ხოლო წამება და სიმშვიდე მორჩილი სულის,  
სახარხარებლად რომ გაუხდია ყვითლად წაბილწულ ამაოებას,  
გამჭარალა სადღაც, როგორც ბურუსი,  
მზე რომ შეუტევს შუადღის ცაზე.

### III

მე დავიბადე იმ ქალაქში, რომ იზრდებოდა, როგორც ბალახი,  
ულაბნოს კი გავს არეზარე იმავე მიწის,  
ბალახები კი ყვითლდებიან მოსვლისთანავე,  
ჰოდა, იმ ქვიშის ბარხანებში,  
დღესაც შეცდომით შენობებად რომ იწოდება,  
ავიდგი ფეხი და ვიზრდებოდი ქალაქთან ერთად.  
მე განვიცადე მისი სიჭრელე,  
მოზაიკა იგი უკვე ჩემთვის ნაცნობი,  
მაგრამ უცნობი რომ დარჩება ჩემს სიკვდილამდე.

ჩემი ცხოვრება ქამელეონს არ გავს არაფრით  
და საყვედურით მიმზერს მისი ერთფეროვნება,  
მას არა ყოფნის ზღვის ტალღები მონოტონური,  
მას უნდა შმაგი ოკეანე, ისეთი, რომ ვერ დაიტოოს ათასწლეულმა.  
ჩემი – პეპლის დღე წერილია გაურკვევლობის  
და უბედური შემთხვევა თუ შემომეხვევა,  
არამქვეყნიურ ხმებს გამოსცემს,  
ყმუის გონგვიით, გამარჯვების რომ მოყავს წამი.

ადამიანო, მე მოგმართავ შენ და ქვეყანას,  
რომელიც ასე, შენი მსგავსი სულელებითაა სავსე და ტირის,  
ზოგი ჩვენგანი რომ იღუპება; გამოფხიზლდი ან გამომაფხიზლე!  
თუ ვცდები იტყვი, თუ ჩაგართყა თავში ჰაერი?

აჰა, იომე, ბედნიერებას თუ მოგიტანს ნთხევა ნალველის!

ადამიანო, როდის უნდა მივხვდეთ მე და შენ,  
რომ უფრო წმინდა ორთაბრძოლა სიყვარულია?!

### IV

ერთხელ მეძინა და ვიხილე ჩემი თვალებით,  
საკუთარი და დახუჭული ჩემი თვალებით,  
ის, რაზეც მხოლოდ წარმოდგენა აქვთ ჩემს მსგავს არსებას,  
ადამიანად რომ იწოდება.

ღმერთმა ეს მიწა როცა შექმნა და აუხილა თვალები მნათობს,  
მან მოისურვა კაცის შექმნაც, რომ ცარიელი ეს ქვეყანა არ ყოფილიყო.

როდესაც ღმერთმა დედამიწაზე არსებულეებს სული ჩაუდგა,  
(ოღონდ, მათ, ვისაც ჩასადგმელი ჭონდათ სულეები)

მხედველობიდან გამოურჩა ზეციერს ქალი.  
კაცმა, რომელიც მარტო იყო, შენიშნა ეს და  
შესჩვილა უფალს მარტოობის ჩუმი გნიასის საშინელება.  
(მე დამიჯერეთ, მე შემეძლო ასეთი ხილვის ხილვა თვალხილულს)  
მაშინ შეუქმნა მეგობარი უფალმა ადამს,  
რომ მისცემოდა ამ უაზრო ცხოვრებას აზრი,  
რომ ეღალატათ ქალებს ჩვენთვის, ან ეერთგულათ,  
რომ გაგველაღა, ან გვენატრა არარსებობა,  
რომ შექმნილიყო ხელოვნების ბევრი შედეგრი,  
რომ გაემარჯვა ავს კეთილზე, ოღონდ დროებით.

## V

და მე, პატრონი მოკლული გულის,  
ვინც სიღამაზის მსხვერპლია მუდამ,  
თაყვანისცემა არ მბეზრდება მშვენიერების.  
ჩემმა ცრემლებმა, მე დახრჩობას რომ მიპირებდნენ,  
გამომაფხიზლეს და მესტუმრნენ იმ თეთრ წუთებად,  
მოგონებები რომ ჩაქსოვილან, როგორც გიზგიზი ჩემი წარსულის.  
ვიდრე სიკვდილი ყინულის ფრთებს შეისხამს ჩემში,  
მოვასწრებ, რომ ვთქვა სათქმელი ჩემი, ცოცხალმაც, მკვდარმაც.  
აუცილებლად რომ მოვასწრებ, ზვიად, გაპირლები.  
მე არ ვაპირებ, სიკვდილს არასდროს,  
შესაქმნელი მაქვს ბევრი ჯერ კიდევ  
– აი, რის მიყვარს გაფიქრება, რადგან არასდროს მდომებია,  
ვიყო მოვალე ზვალინდელი დღის,  
ცხოვრება უნდა დავამტკიცო, რომ ღირდა ჩემი,  
არ მსურს სიკვდილი, სულით, სიტყვით, ხორცი ჯანდაბას.  
დაბადებიდან ვცდილობდი, რომ შევგუებოდი სიკვდილს სხეულის,  
რადგანაც ვიცი, არის იგი გარდაუვალი,  
როგორც სახადი მოსახდელი, როგორც ვალია გადასახადი  
და მოკვდავებამ დამაფიქრა და მაიძულა,  
ვყოფილიყავი უფრო დიდი, მოკვდავება ვიდრე უბრალოდ.  
ვიცი, რომ ბევრი, მათ შორის კი ისინიც, ვინც კი  
არასდროს სულით არ გამხდარან ამის ღირსები,  
იამაყებენ, რომ სუნთქავდნენ ისინი ჩვენთან  
და ჩვენთან ერთად რომ სუნთქავდნენ ცხოვრების ჭიბოს.  
ხანდახან უღირსს თვლიან ვაჟკაცად,  
(ჭირში, კარგად ჩანს, ვინ რა კაცია)  
ხანდახან ბნელი არის კაშკაშა,  
თეთრი – წყვდიადის იმიტაცია.  
მე ასახსნელი დამრჩა რამე კი? არა მგონია, როგორც თქვენ, ისე.

არ მინდა, არა, უკვდავებასთან მწყრალად ვიყო, ვარ და იმიტომ!  
მე კი მარტო ვარ, თან არ ვარ მარტო. ჩემი დუმილი ახსნის ყველაფერს  
– პოეზია და ხელოვნებაა მეუღლე ჩემი, გარს მახვევიან  
ხოლო როცა მილიარდები, ჩემში გაჰკვივის სიცარიელე.

და მარტოობის ფრთებით ნაცემი ვაგდივარ კლდეზე,  
სადაც ფიქრითაც ვერავინ ბედავს წამის გაფრენას.

ერთხელ, როდესაც ცაში აფერინდი, მეგონა, მოკვდი,  
მაგრამ მოვიდა ხილვა ხილვაში და მესაუბრა  
ისეთი სიტყვით, რომ არ ეტყვიან ალბათ, არავის.

მითხრა: „ცოცხალი უფრო ამის გამო დარჩიო,  
შენში სიცოცხლე სიკვდილისგან რომ გაარჩიო“

და დაეუფრე, არ დამიტოვა მე რადგან სხვა გზა ხილვამ ხილვაში.

დაბადებულმა იმისათვის, რომ მყვარებოდა უსასრულოა,  
მე მოვიგონე ჩემი ენა და ჩემს ენაზე ვუთხარი მიწას:

„შენ გამაჩინე იმისათვის, რომ შემესუნთქე სიცოცხლესავით,  
მაგრამ ეს მხოლოდ ამ სიცოცხლეში, დღეს ხორციელად რომ იწოდება

და როცა წავა ჩემი სული ამ სხეულიდან

და თეთრ კოსმოსში აიტყორცნება,

დაგრჩება ხორცი – მტკიცებულება წუთისოფელის,

მაგრამ არ მინდა, ჩემს სულს რაიმე კავშირი ქონდეს შენისთანასთან,  
რადგან არასდროს მატერია მე არ მიყვარდა!“

მე ზეცის, წვიმის და უსაზღვრო ქარის შვილი ვარ,

მხოლოდ, სხვადასხვა დროს და ადგილას.

ჩემი წითელი ზღვა არ არის არც ზღვისფერი და

არც წყლისაგან შედგება იგი.

ლურჯი დღეს მხოლოდ მელანია, სხვები კი – თეთრი,

წითელი, შავი ან უფერული,

სხვა ფერები კი არ არსებობს ჩემთვის, რადგანაც

უფერულია ეს სამყარო ამ ფერებივით.

თავის უკუნეთს დავიწყების ჰორიზონტი თქვლევს

ჩემში და იწვის, ვით სანთელი სამგლოვიარო.

## VI

აეეეე, ეს მე ვარ, მე ვარ! ის ვარ, ყველგან რომ დახეტილობს,  
როგორც ნიავი თავისუფალი,

ბორკილის ქღრიალს რომ დასცინის აქაც და იქაც!

ხან ძველ ქართლში ვარ, ხან ტაიბზე, ხან ეგვიპტეში,

სამოაზე, ან ჯუნგლებში ამაზონიის

– წარმოსახვისთვის ეს მანძილი წამია მხოლოდ.

შენ კი ლაყაფო ულაყაფო, დამიგდე ყური,

მე ვერ მაჯობებ, ჩუმი ვარ თუმცა.

მე რასაც მინდა, იმას ვაკეთებ, ერთი უბრალო კაცი ვარ, მაგრამ

ვერავინ მიშლის, გავაკეთო საკეთებელი,  
დაბადებიდან ჩემი წილი მეკუთვნის ციდან!

მერე რაა, რომ ჩემი კედლები უმცირეს სივრცეს მოიცავს მხოლოდ  
– დედამიწა ჩემი სამშობლო!

არ მეშინია მე სიკვდილის და ეს არ ნიშნავს

– არ მხიბლავდეს სიტყვა სიცოცხლის.

ვიცი, დრო მოვა: თავისი ხელით აგებული ნაგებობების  
შეეშინდება ადამიანს, ბუნება მასზე დიდია რადგან,  
როგორც შვილებზე მისი მშობელი. უმართავია მისი სტიქია!  
მაგრამ ჯანდაბას;

ლექსივით იყავ სიყვარულო მარადიული!

## VII

მოგონებებო, ვინ გაძალბებთ, რომ ჩააფრინდეთ წარსულის ნაყოფს?  
მეც იმდენი მაქვს სათქმელი, მაგრამ ჩუმად ვარ, როგორც ბებერი კლდე;  
ყველა საქმეებს გადავაბარებ ხელს, ფრთებს და კალამს.

აალებული წალკოტების ფონზე ტირილდა  
ადამიანთა უარყოფის საგალობელი.

საგალობელო, რატომ მოპარე  
მზეს სიმფონია, ანგელოზებს – რეპერტუარი?

კლდეს ეხეთქება პოეტური ზღვა, რისხვა და სიღრმე ჩემი სულისა.

მე აყფებთა მამაცაგებს თეთრი ჩრდილების!

ან იქნებ, ებრძვის ჩემს ცხოვრებას თეთრი ხმაური  
და მოლანდება შავი თალისა?

ეს ტვინი ქშენდა და ამთქნარებდა, როგორც ფენიქსი,  
ალიონზე რომ დაურღვიეს მყუდროება ათასწლოვანი  
და აიძულეს სიზმარმორეულ თვალთა გახელა.

ადამიანო მარტოსულო, მარტო რატომ ხარ,  
ან სად წავიდა შენი კუთვნილი ერთ-ერთი ძვალი?!

ნაწყვეტ-ნაწყვეტად ქცეული დრო დაქროდა თავში,  
ოლონდ, არ ვიცი, თუ რა იყო ნაწყვეტებს შორის...

აღბათ ისაა! ისევ მეყრება მთვარის ციება,  
რომ დავიღვარო ემოციებად! წყვდიადისფერო ღამეებო,  
იქნებ თქვენ მაინც მიპასუხოთ, სადაა მთვარე?!

ხილვა ლანდების ნირვანაში. ვკვირ ვიამენს“;  
ვკვირ, ისე რომ ლამის მკერდი გადავისერო,  
საით წაიყვანს ეს წუთები ზღვისფერ ლაინერს,  
რომ სისხლის ჩანჩქერს გადაურჩე ქვეყნის კისერო?!

## VIII

ჰო, მე კი არა, ძაღლსაც ძაღლური წილი ერგება,  
რომ გაიხარონ სათუთ ნერგებად სულში მფრინავმა ბოლილებმა,  
რომ გვიკაწრავენ ხორხს და ხმის ტონებს,  
ადრე გაჩენილს იმისთვის, რომ არ დაიღუპონ  
და ისაუბრონ, ისაუბრონ და ისაუბრონ.

მე იქ ვიდექი, სადაც ენები დაინგრა აღის  
– გრაალის კოშკის ჩუმი ბგერები!  
დამაცადეთ და ვეძგერები ცის ლურჯ მწვერვალებს!  
გალაქტიონის ის პერგამენტი, თვით ანგელოზს რომ ეპყრა ხელებში  
– მე იქ ვიდექი და საკუთარი თვალებით ვნახე ეს ყოველივე.

ჩემი ცხოვრება წააგავს კიბეს, დამპალს, მორყულს:  
გაჩენა, ფეხის ადგმა, ტიტინი, ფრენა, ირაო, კმარა ცაში,  
დაბლა დაცემა, წამოდგომა, სადუმილეითი,  
ელდა, ვულკანი მოგონების, მე, სინანული და გაცოცხლება.

მათ გაუმარჯოთ, ვინც ჩვენ სუნთქვას ჯერაც არ გვიშლის!

## ოცნების მიუჯალობა – თეატრი

04.2009.

### I

თუ არსებობდა, არ მეგონა არარსებობა არსებობისა.  
ეს იყო მაშინ, როცა მეგონა ჩემი თავი თვითონ იმედი.  
ვნახე ის, რისი დანახვაც კი უნდა არავის. ვინატრე მაშინ:  
მე გავფრინდები ლურჯ ზეცაში ოდესმე ალბათ,  
მე ხომ ცხოვრება მაოცნებებს ასეთ წამებზე!

უჯრედებიდან ვერ ვიშორებ ზღვა ხალხს, რომელიც  
დიდ სტადიონზე ხმით ფარავდნენ ხმას უღმერთობის.  
მაშინ მეგონა, რომ მეც უნდა ვყოფილიყავი დიდ სტადიონზე.  
გავიდა დრო და ახლა ასე აღარ მგონია.

მაგრამ რას ვბოდავ? მე არ მესმის, იქნებ, ადრეა ფიქრი ამაზე?  
წინ მელოდება სივრცეები უდასასრულო.

### II

აჰა, დავაწმუნდი იმაში, რომ რწმენის არქონა  
საწინდარია უბედურების. ერთხელ ვინატრე: საჭიროება  
ლაპარაკის იქნებ, არ იყოს! მე მოვიქანცე ლაპარაკით.  
ყველაზე ხშირად ვდიალოგობ რძისფერ ფურცლებთან.

ტკივილის ტკივილს რა ვუყო – ჩემს თავს?  
უნდა დავდექო, აქ მომე ტყვია, ჩემი ლექსები რას მეტყვიან,

მხოლოდ მე ვიცი. დაუღლებლობით დავიღალე,  
რაღაც ახალი მინდა მე ახლა. მეახლა იქნებ თვითონ სიძველე?  
იქნებ, ჭაობში ვიძირები, ყინვა რომ ჭვია? მაგრამ არ მჭერა:  
სხივიც ხომ ვარ ჩემი ყინულის.

### III

ვფიქრობ და ველარ გავარკვიე: მოხუცი ვარ, თუ ახალგაზრდა?  
მე აღარ ვიცი! იქნებ, მამბერებს დაბერება თვითონ ბავშვობის.  
ძეგლი მგონია ჩემი თავი, რაღაცისთვის რომ ქანდაკდება!  
აღარ დამტოვო ინტერესო, წამოდი ჩემთან,  
სმენა და მზერა წამოიყვანე, რომ შეგაფრქვიეს დასაბამიდან.  
იქნებ, ვერ ვყვები მე არაკებს, მალაპარაკებს  
რადგან ჩემი მოწყენილობა, მალაპარაკებს იქნებ ანდა თვლუმა სიფხიზლის.  
ბატის ფრთა არის ჩემი ელჩი და ჩემი კავშირი ამ სამყაროსთან.  
ყვლაფერს ვხედავ: ვარდისფერი სათვალეები ველარ მოვირგე!  
მე ყბებში ვყავარ მომწყდელი ამოებას, მღეჭავს და მღეჭავს,  
ის არად აგდებს ჩემს მუჭარას, ვემუჭრები და მემუჭრება,  
მუშტს ვუღერებ და მხვდება მუშტი, როცა მჭირდება მე გამხნელება.  
თვით ირონია ყვავის სხელში, არა მგონია ჩემი რომელიც, მაგრამ ჩემია.  
მე ვერ გავურბი უსხეულობას, ცოცხალი მჭვია ვიდრე ჭერ კიდევ.  
მე სად წავიდე? იქნებ, ვჭირდები მე იმ წიგნებს,  
მომავალში რომ მტვრის გარეშე გაფითლდებიან?  
არ ვიცი, მაგრამ თუ ასეა, იქ წავალ მაშინ.  
მტრედების ფრენა ახმოვანებს ამ ყოველივეს.

### IV

თვალწინ მიყრია სურათები: დაბადება და ბავშვობა ჩემი,  
შემდეგ კი მწვანე ტანსაცმელი ორი ზამთრის და ორი ზაფხულის,  
შემდეგ ლექსები. რამდენი იყო სიყვარულიც, ტკივილიც მათში...  
თეთრი კვამლია ეს ცხოვრება და ემტერება ჩემს ფილტვებს იგი.  
მძიმეა ჭვარი, გადაწყვიტა რომელმაც ახლა,  
ამკიდებოდა ზურგზე წერად, ვიტანდი რადგან.  
არაფერი არ ჩანს და არ ჩანს, მარჯანს არ უნდა გაფანტვა ნისლის!  
როგორ მაგონებს თეთრი ნისლი იმ პეიზაჟებს,  
როცა გაფანტვა არ უნდა ბურუსს თავისი თავის!  
თუმცა, ხანდახან არის წუთი, რომ იფანტება მღვრიე ბურუსიც  
– მაშინ კი მოჩანს კაქტუსთა ჭარი.  
ახლა ლამეა და მშვიდად ვარ, მშვიდად ვარ, რადგან  
მე აღარ მინდა, რომ გამაღვიძოს შუალამისას ჩემმა ყვირილმა,  
შემზარავმა და განწირულმა მარტოობისთვის.

## V

დილით მე წავალ იმ უდაბნოში, ციხესიმაგრე რომ დგას ურყევი.  
მულამ ვფიქრობდი: „რა საჭიროა ეს სიმაგრე ქვიშის ქალაქში?“  
და მენატრება მწვანე სავანე, ურჩი და ლურჯი ქარიშხლები,  
როცა დავდივარ ვერტიკალურად და ჰორიზონტში, ვისვენებ როცა.

წვიმის ჩანჩქერი ენატრებათ ჩემს გამშრალ თვალებს;  
უდაბნო მხოლოდ მაშინ კვდება წალკოტებისთვის,  
როცა თვალები სველდებიან, მაგრამ რა უშავს  
– სადღაც უდაბნო ბედნიერი ხომ არის წვიმით?

და ჩემს მიერვე აგებული ციხესიმაგრის  
ახლა დანგრევას ვუყურო მინდა. ის სარკოფაგი უნდა გახდეს ჩემი და ჩემი  
(ერთი არ ვარ, ორი ვიყავი მთელი ცხოვრება)  
როგორ მინდოდა, გაქცეოდი უსხეულობას...

კი მაგრამ, რისთვის? – ხორცი ხომ ლპება სიკვდილის შემდეგ!  
ვის აქვს უფლება, არ დაარღვიოს დისპარმონია ჩემი სუნთქვისა?

## VI

ადამიანო, გაიღვიძე! ახლა დროა შურისძიების,  
იმ კერებებზე შურისძიების, თაყვანს რომ სცემდი, გიბრუნდებიან ისინი ახლა.

საფლავებში კი ძველი ძვლების მოისმის გლოვა,  
თაყვანისცემა სიცოცხლეში რომ სჭირდებოდათ და ვერ მიიღეს.  
მოეთხოვება ყველაფერი ცოცხალს, ანდა მკვდარს.  
დღეს არა? ზვალ, ზეგ, ან მომავალში. ახლოა ის დღე.

მე მეშინია: დედამიწას უახლოვდება მყრალი არმია ცოცხლებისა, რეალობაში  
მკვდრებად რომ უნდა ითვლებოდნენ, ცოცხლობენ მაგრამ.  
მათი სიმყრალის მეშინია და მიხარია,  
რადგან მოდიან დიდი წამები წმინდა ომების.

ადამის ძენი იყოფიან დღეისთვის ორად:  
ერთნი არიან საპნის ბუშტები, მეორენი კი კოშკები რკინის.  
მე მეშინია: რომ ცოტაა კოშკები რკინის!...

ჰაერის ბურთში ჩავჯდები და ვიმოგზაურებ  
ვერტიკალურად მიწის ირგვლივ, მაგრამ ვერ ვნახავ  
თუნდაც ერთი კოშკის სიმაღლეს  
– მეცხრე ზეცაში შემალულა კოშკის მწვერვალი.

საპნის ბუშტებზე კი ჯობია, ვთქვა: „არაფერი“.  
ყავილზე ნაზი და ფოლადზე უმაგრესია გული არსების,  
ვისაც ქვია ადამიანი. ყინვა რკინაზე, სინაზე და ის აგრესია  
– ჩატეულა ერთ არსებაში თურმე ხანდახან. რამდენი სივრცე,  
რამდენი ბრძოლა! და ავად არის ადამიანი – სპაზმები ტანჯავს.

საპნის ბუშტებზე კი, ჯობია, ვთქვა: „არაფერი“.  
გულის ფეთქვაზე მაგონდება: რამდენ რამეებს იტევს იგი!  
მთელ დედამიწას! რალაციით გული გავს კიდევ მიწას,



წამოსულია ვინაიდან ხორცი მიწიდან. ხორცი ნაყოფი არის ცოდვისა,  
მიწიერები ეცემიან დედამიწაზე,

აი, სული კი უწონოა, დაფრინავს ცაში, არ გააჩნია როდესაც ბინა.

იმიტომ ვიკლავ წყურვილს სიჩქარის,

მძაფრი გრძნობისგან რომ დაიცალოს სხეული წუთით.

რაზე ვოცნებობ? კლდის და ყინულის შეფაკლება ვიხილო ისე,  
სულში რომ დამრჩეს სამარადისოდ, ან რომ ვიხილო ტყუთა სიმკაცრე,  
მიუვალობა რომ ვიხილო ჩემი ოცნების,

ან ეკლიანი რომ ვიხილო მე სინამდვილე,

უხეში, როგორც კატორღა თვითონ.

ან რომ შევესწრო ხორცშესხმული მშვენიერების ხორცშესხმის პროცესს,

გასაზიზღრება რომ ვიხილო იმ საზიზღრობის,

სილამაზედ რომ მეჩვენებოდა, გალამაზება რომ ვიხილო იმ სილამაზის,

რომ მაგონებდა სიმახინჯის დაკრეჭილ კბილებს. ან რომ ვიხილო

რეალობის უხილაობა და ვაარსებო სიძულვილის არარსებობა.

ჩემი ოცნება რეალობაა, რეალობა კი არ ყოფილა თურმე არასდროს.

## VII

ფიქრებს ვწერ. „ვინმე შენს ფიქრებს გამოიცნობს, ან მოგიგონებს  
ვინმე ფიქრისთვის?“ მკითხა კალამმა და ვუბასუხე:

„მოგონებები ისევ დნებიან,

სადღაც, თვლებში რბიან ტიტრები,

შენ სიჭრელეში ვერ გედრებიან

ვერც ცისარტყლა, ვერც პალიტრები“:

როგორ არ ვიყო მადლიერი კალმისა, როცა

მელნის ყოველ წვეთს შეუძლია დახატვა ჩემი?

ერთ კალამში კი დაეტევა კაცობრიობაც.

აღბათ, იმიტომ წერენ ფიქრებს, რომ მათ პატრონებს

უნდათ, დატოვონ ქალაქებზე სარკე სულისა.

რა არის ფიქრი, მათი სიწმინდე არ გაანდე თუკი ქალაქებს?

რატომ ვწერ ფიქრებს? ვიცი, მე ვიცი:

ცის სისპეტაკეს ეღრებიან ახლა ისინი თავისი ფერით!

მაგრამ, ყვითლდება ყოველივე! იმ შემოდგომის ფოთლებივით,

თბილი ზაფხულის დასასრულს რომ მოასწავებენ!

დღეს ცისარტყლაც კიბე არის წითისოფელის,

ადამიანის აღზევებაც, დაბლა დაცემაც!

დღისა და ღამის ნაწილებიც კიბეებია იმ პაწაწინა წუთისოფელის,

დღე და საღამო ქვია რომელსაც.

არ მოგაგონებს დილა ბავშვობას? ანდა შუადღე – სიყმაწვილეს,

ღამე – სიბერეს, ძილი კი – სიკვდილს?

მაგრამ ხანდახან ეს ასეა, ახლა კი, ახლა;

მოდით ვუსმინოთ, დღეს დუმილმა ილაპარაკოს!

## VIII

ახ, რა ჭრელია ეს ქვეყანა! ახლა იმდენი თვალი მაქვს შუბლზე,  
აღამიანებს ყველას ერთად რომ არ ქონიათ!

სამყაროს ვხედავ ამ თვალებით! სამყაროს, ძლიერს,  
დაბეჩავებულს, ტკივილიანს, უგრძობს ზომბივით,  
თოვლისა და ყარნის ფერებში! ორივე სახეს ვხედავ თეატრის,  
დღეს თეატრია მთელი სამყარო!

ღირსეულ ძეგლებს ვხედავ, ანდა მკვდრებს, რომ დადიან და  
ნიჟარის ხმით ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ, ნუთუ არ გესმით?!  
ტვინი ფეთქდება იმ ქალაში, სადაც კი დღემდე სკები ეყარა,  
ფუტკრების ჯარი ქარიშხლიანი!

დამყროყინებენ, დამბლავიან თავზე ღრუბლები, შავი ღრუბლები!  
როგორ მინდოდა, ამ აჯანყების მოწმეები რომ ყოფილიყვნენ  
ისინი ახლა! მე მინდა, ვიყო ისე ძველი, როგორც მზე არის  
– გადავხრუკავდი, ვისაც კანონით არ ემუქრებათ დაწვა ცეცხლისგან!  
იმ კანონით, სიძულვილს რომ უდგამენ ძეგლებს!

ჩემი ძარღვების მესმის ყფა! ყფა? თუ იქნებ, ღრენენ კლდეები?

ახლა კი დღეა, მაგრამ რატომ გადაუფარავთ შავ ჩრდილებს მიწა?

მესაბეჭტაკლება ყველაფერი: თეატრალური მაგონდება ორი ნიღაბი,  
– დღემეჭილი და პირმოციწარე.

მაყურებელი ერთი ვყავარ მე ამ თეატრს და ყველა სკამზე მე ვზივარ ახლა.

„მო, გაუმარჯოს გამარჯვებას!“ – ვიყვირებ მანამ,

ჩემს ხმას ჩაახშობს ვიდრე ჩემი ხელების ტაში.

მო, გაუმარჯოს გამარჯვებას!

უკმაყოფილო ვარ მე ახლა ამ კაბადონის:

ჩემი ცრემლები მიითვისა წვიმიანმა ცამ!

რა ცუდი დროა: ყველა ნახატი გაქრა გერბზე და სმენას აფრთხობს  
მკვდრეთით აღმდგარი გველეშაპის ისტერიული ხორხოცის ექო!

მაგრამ დამშვიდდი სულო ჩემო:

დღეს ნოემბრის ცას შადრევენები ველარ მორწყავენ!

## IX

ვცხოვრობთ უგონო ორატორთა საუკუნეში:

პლსტუხიანი ბაყაყების გვესტუმრა ხანა! არ ვიცი, უფრო გული მტკივა,  
თუ საქართველო... სადღაც ტალახში თუ გდია ბავშვი, მე ვარ ის ბავშვი,  
მე ვარ, თუ ხელებს სხვისკენ იშვერს სადმე მოხუცი,  
მისი ტკივილი მტკივა მე რადგან.

ის პატიმარიც, ვისოსებში რომ ჩაუცხრილავთ, მე ვარ, მე ვარ, მე!

ან უსამართლოდ რომელიც კი გამოუკეტავთ ვისოსებს მიღმა!

თვითონ სისხლი ვარ, თვითონ ცრემლი,

თვითონ ტკივილი და ტკივილი ამ ტკივილისა.

მიტოვებული ჩვილი ვარ კიდევ, სადღაც კალათში რომ წევს ახლა,

მისი ბინა კი თხრილში გდია ამვლეელ-ჩამვლეელთა გასაოცებლად.

მე საქართველოს თვალები ვარ ახლა დაღლილი,  
იმ უსასრულო ბილიკებს რომ ბრმად ეფერება,  
მისი შვილები რომ ტკეპნიან გუშინ, დღეს და ხვალ,  
სხვა ქვეყანაში საარსებოდ გაქცეულები.

ის განწირული კივილი ვარ, საღდაც, ვიღაცის ხორხში გაჩხერილს,  
ჰაერი რომ არ ყოფნის, წვალობს მიწის სურნელის შესასუნთქად,  
მაგრამ დღეს თურმე მისი ხვედრია იმ ავადმყოფი  
სამინელების უპორიზონტო ნაპირების ნატვრა ამაო.

როგორ არ მინდა, საქართველოს ტკივილი იყოს  
ჩემში, მერჩივნა – მე მის გულში ვიყო ტკივილად.

ის დიაღია და ამიტანს, მაგრამ მე რა ვქნა?

მე რა ვქნა, თუკი ცრემლებია ტრაპეზი ჩემი?!

მე ერთადერთი დამრჩენია გულში სურვილი:

„დროსავით იყავ საქართველოვ მარადიული!“

## მუნჯი დაღადი

20.06. – 04.07.2010.

ჩვილი, რომელიც დედის წიადს ტოვებს და ტირის,  
უკვირს, სად მოხვდა და ცრემლის ღვრით მოსდის იღვია,  
მისწვდეს სავსე მკერდს დედამისის – ასეა გმირი,  
ის ბრძოლით ეძებს ადგილს, სადაც ზღვა სიმშვიდეა.

დრო გადის. მას ზრდის დედის ლოცვა და სითხე თეთრი,  
ის იწყებს ტიტინს და ეძლევა ადამის ფორმა,  
მასში იღვიძებს კაცთა მოდგმის ცინიზმის კეთრი  
– მას გულში ბოლმა გაულვივა გველების ჭორმა.

მასზე ამბობენ: „მახინჯია!“ უთმობენ ბილიკს,  
სველს, ეკლიანს და საცალფეხოს, ჭარაფებიანს  
და ბავშვი, ჯერაც უცოდველი, აყფებს ქილიკს,  
სადაც თვალს მიღმა დაკეტილი დარაბებია!

იგი ძუძუს წოვს. მასში ევას ძველი ოფლია,  
ღვთითმოვლენილი ამ ცხოვრების დაღალა დაღმა,  
მას ეჩვენება, რომ დასციინის მთელი მსოფლიო,  
რომ ცა – წყველაა, აღზევება – წინსვლა თავდაღმა.

ეკ... აღარ არის სილამაზე სულის საგანი...

იგი ფეხს იდგამს და უცინის ეშმაკთა ხროვებს  
და როგორც ყველა მარტოსული აფთართავანი,  
მას უკრეკს კბილებს, ვინც მას ცოდნის ძუძუს აწოვებს.

და იგი, ვიდრე ჩვილი იყო, ის იყო მეფე,  
ზრდასრულს კი მუდამ ეჩვენება სარკე ჭაობად,  
მასში ერთმანეთს ხვდებიან და ერთმანეთს თქვლევდნენ  
სიკვდილის ფრენა და სიცოცხლის უმოძრაობა.

მას არ აქვს გრძნობა, ის სიცოცხლეს ძარღვებს უთიშავს,  
თითქოს მოყვება მარტოობა დედის მუცლიდან  
და ბავშვი, ასე მიგდებულნი, როგორც უჯიშო,  
საკუთარ სუნთქვას უსაზიზღრეს წყევლას უთვლიდა!

სიზმრებს უმსხვრევდა უსახური ცრემლების გროვა,  
სულის კივილი ხვედრი იყო მისი ადრევე,  
მას გაუბრბოდნენ, როგორც მყრალს და როგორც კეთროვანს  
და მის ტკივილებს, როგორც სასჯელს, დღემდე ათრევენ.

ჩვენ ვიბადებით, რომ ვიცოცხლოთ, დავტოვოთ შვილი,  
რომელიც შეგვცვლის და რომელსაც სხვები შეცვლიან,  
ლოცვის ნაცვლად კი ციდან გვესმის ყვავის ჩხავილი,  
რომ ჩვენი სულის მბრძანებელი თურმე ვერცხლია!

სიცოცხლე, როცა იბადება, თითქოს ფრთები აქვს,  
ბავის ბადაგებს გვიჩადაგებს ბაღე ცხოვრების,  
მაგრამ ცხოვრების დამბალ ფსკერზე იღეჭებიან  
მიუსაფრები, მახინჯები და მათხოვრები.

ჩვენ ვეძებთ, რაც კი იკრძალება ედემში უფლის,  
ჩვენ ვტირით, რადგან უარეყვით ღრუბლები ბალის,  
ჩვენი მზერიდან ჩვენ განვდევნეთ ფერი ალუბლის  
და ტკივილების ჩვენმიერი დაგვესვა დალი.

აღარ იბრძვიან სულისათვის... დამთავრდა ბრძოლა,  
ახლა პარპაშებს მატერიის ავი გართობა,  
თითქოს სატანამ ქვესკნელიდან ამოისროლა  
ცოდვის სიბრმავე და ცხოვრების უკუღმართობა.

მეფობდა ბაღში სიტყვა გველთა და სხვა მცოცავთა  
და ძველს, დაკარგულს, როგორც გვირგვინს, ეშმაკი ეძებს,  
– თავის ქალაში დაღუმებულს სწრაფად ხოცავდა  
მთვრალ და ძალღივით დამონებულ ტვინის უჯრედებს.

ნულთა სიმრავლე დღეს განაგებს ცხოვრების დონეს,  
თვალებს ერევა ქაღალდების ავი მაგია,  
ჩვილი ხელიდან უვარდებათ სანტის მადონებს,  
რომ კაცს ეახლონ, ვინც სიმდიდრის სარკოფაგია.

ვერ ისვენებდა ქონი ტყავში – თვალი ხარბია,  
არ დათმობს ალბათ პურს და სეირს – ასე ერთობა  
და დღეს ედემის ბინადრები იქით გარბიან,  
სადაც დახვდებით სხვა მირაჟი და უღმერთობა.

ვეძებდით ეკლებს სხვის სხეულში, ვკოცნიდით ქაოსს,  
ვსწავლობდით ტახტის მართვის ჩვევებს, ასე ბინძურებს,  
შედევად მძიმე თავთავები ხდიდნენ უდაოს  
ჰაეროვანი თავთავების სიმედიდურეს.

ჩვენ ვედებოდით უნაპირო ქვეყნის ნაპირებს  
და ვერსად ვნახეთ, რწმენას დაბლა ედოს მუხლები,  
რომ სულის კვილს, ჩვენს მოცელვას რომ დააპირებს,  
დავხვდეთ უდრეკი, მკაცრი, მშვიდი და ხელუხლები.

მუხლები დაბლა კაცის ძეო! თავი დახარე!  
და ღვთის რწმენაში დაიკავე კაცის სადავე!  
თოვლში ჩაახშე სული გონჯი და მოხარხარე,  
სადაც ქაჩები წალკოტების მირაჟს ხატავენ!

მეფისტოფელო! რატომ მეფობს შენი ზმანება  
და თავზე ზეცადამხობილი რატომ იცინი?  
ლამეს კოშმარმა რატომ თავი არ მიანება,  
გალობად რატომ გვეჩვენება გველის სისინი?

ველოდებოდით ღმერთის სიტყვას, როგორც გალობას  
და არც ზამთარში არ გვტოვებდა სითბო ლილეისი,  
მაგრამ დავხუჭეთ ჩვენ თვალები და გვეწყალობა  
ზაფხულის ყინვა და სიცოცხლე უსიკვდილეისი.

და რას ველოდით? რად გვეგონა, რომ დღის მნათობი  
ხვალ ვარსკვლავიან შუალამის ცაზე ამოვა?  
რატომ ვფიქრობდით კაცთა სულის უნიათობით,  
ან დილის ნისლში რად ვიხილეთ უღიმღამობა?

არ იღრუბლება ზეცა მხოლოდ, მუბლიც არამედ,  
ზღვის ქაფებივით ამღვრეულებს მარტი გვანჯღრევდა,  
სივრცე, რომელიც ფანჯრის მიღმა გავაწყვარამეთ,  
მარტად ტირილა ჩვენს ლაწვებზე და ჩვენს ფანჯრებთან.

ქკუდიდან გვშლიდა ფობიის ზღვა, ყრუ და ხროტინა,  
პარანოიის მძაფრ შეტევებს ვებრძოდით ერთობ,  
გველანდებოდა ბასრი ცოდვის გილიოტინა  
და მაინც მხოლოდ ჭირში გვახსოვს ეს სიტყვა: – „ღმერთო!“

განცდილი გვქონდა უჯრედებში სატანის ყოლა  
და სულს ღაფავდა სიხარულის ჩვენში იოტიც,  
ჩვენ ფეხისგულეებს გვილოკავდა ყინულის ლოლო,  
ჩვენ ვეცემოდით, ჩვენ ვდგებოდით და მივდიოდით.

საით მივდივართ? რაა ბოლო? უფსკრული? ზეცა?  
ბოლო არ არის ახლოს აზრთან... დავთმობთ იმედებს,  
დავლექავთ გვირგვინს, წასვლის წინ რომ მირაჟად გვექცა,  
გადავყრით ფარ-ხმალს, მარცხისათვის თუ გაგვიმეტებს.

უცხო ნაპირებს გვახეთქებდა მდინარე ყველას,  
უცხო აზრები საუცხოოს არ ეცლებიან...  
ველებით ტერფებდაკონილო, არ არის შველა,  
ამოგხდეს სული, სადაც ტანჯვის სარეცლებია!

ცაში ღრეობდა ქარიშხლების აღლუმი შავი,  
იქ ჩემი ხსოვნა, ვიდრე ძეგლის ასაკს მიატანს,  
ელოდა ტრიუმფს, როგორც სული – მწვერვალის ყვავილს  
და მე – იონა, ჩავუსახლდი სხვა ლევიათანს.

ადამო, სული გააშიშვლე! იყავ, რაცა ხარ!  
ნუთუ ცინიზმის არ მოგბეზრდა მწარე თარეში?!  
ხომ ხედავ, შიშმა მყრალი სული აგიცახცახა  
და შენი ეგო მალე ჩაგთხრის შავ სამარეში?!

მე მზარავს, როგორ იჯიჯგნება ადამის მოდგმა  
და ბაღში ადგილდაკარგულნი წყევლას უთვლიან  
ამ დედამიწას – მათ იციან, ხვალ მათი მოთქმა  
თვალეებზე წიგნებს ააფარებს ყითელფურცლიანს!

გვინდა, მზის სხივებს გავუღიმოთ, ნაზს და უბრალოესს,  
მაგრამ ჩვენს გულეებს ავიწყდებათ არც თუ პაწია;  
მუნჯი ღაღადი! ის ყრუ ძარღვებს სისხლს აუჩქროლებს  
– ჩუმი სიტყვების შავით თეთრზე კომბინაცია:

ამბობდა: „მწყველეთ, უარმყავით, მიწა დიღია,  
დე, ვიყო თქვენი სიყვარულის ჩუმი მზვერავი,  
თუმცა, მე თქვენზე ბატონობა ფეხზე მკიდია,  
ვერ ღამაჩოქებთ ბატონებო მაგრამ ვერავინ!

ერთია ჩემზე დიდი – ღმერთი! გესმით? და იგი  
გზებს გაუყვალავს მორჩილების უხმო ქარავანს,  
ცხოვრება რაღაც ჭადრაკია, მე კი – პაიკი,  
დაე, გამწირეთ, მონის მონა მაინც არა ვარ!

მაგრამ არ არის არაფერი... რატომ ვედები  
უცხო ბაღების უცხო საზღვრებს, როგორც ოცნება?  
რატომ მაწუხებს უტოპიის ცრუ იმედები,  
ზღაპრის ხილვები და ხილვების გაჯადოსნება?

რა ვუპასუხო სიზმრის ჯოგებს? თავში ღმუიან!  
და ედებიან მწვანე სოფლებს, მტვირიან ქალაქებს,  
ვლენაზე ბორკილებს, როგორც გიჟი! აღილულია!  
ოჰ, ღმერთო, თავში აზრებს ლოცვაც ველარ ალაგებს!

ღღე ახლოვდება, გადაკარგავს ცხოვრებას აზრი,  
ღღე მოდის, ცხედარს იპოვიან ქუჩის გუბეში,  
მინდა, ახლავე განვიცადო ტკივილი ბასრი,  
მინდა, წავართვა საკუთარ თავს ბოლო ნუგეში.

კარგი... თვალეები აიტანენ მაშინ ამასაც:  
– მინდა ლეთაში ბანაობა, მინდა სკლეროზი,  
მე სიცივემ და მარტოობამ შემომთავაზა  
ჩემი ბალიდან ამოგლეჯა ცნობის ღეროსი!

მე გამიმეტა თქვენი ზიზღის უღვთო მარაგმა,  
ჩემი მკვლელია მარტოობის ცელი უღესი  
და ოთხ კედელში რომ იცოცხლებს ქარის ქარაგმა,  
ისე იცოცხლებს მკვლარი გული ამ საგულეში.

გეჩვენებოდეთ ბინდი დილაღ და დილა ბინდად  
და სისხლს ძარღვებში გიყინავდეთ: მე ვიყო ლეში,  
ან შემიწყალებთ, ვიდრე ვცოცხლობ და თქვენთან მინდა,  
ანდა მიპოვით საკუთარი სისხლის ღელეში!“

ასე ციცქნები ვადარებდით თავს ძალუმ ტიტანს  
და ღრუბლებიდან ჩანდა, როგორ ვრჩებით ციცქნები,  
ბოლოს ვხვდებოდით, რომ პატარებს ცხოვრება გვიტანს,  
რომ ტიტანები მხოლოდ ჩრდილის ჩრდილში ვიქნებით.

ადამიანი!... ის თავის სულს ან ვნებს, ან არგებს,  
ეკლესიას, ან დეპრესიას ირჩევს ფათურით  
და ის სხივები, გააჩნია რაც რწმენის სარკეს,  
როგორ მოხვდება ბრმა ბაღეში ბრმა მებაღურის?!..

ცხვირსახოცი მომაწოდეთ, მაგრამ იცოდეთ – მე მტირალა არ ვარ! – ისევ ტუჩები დამისველდა; იმ დღეს ქუჩაში მივდიოდი, თავის მოკვლა მინდოდა და ბოძს მივმართე დასახმარებლად, იქ კი ეწერა: „უფასო ფსიქოლოგიური დახმარება“ და ტელეფონის ნომერი. გონება გამინათდა და დავრეკე, მაგრამ ტელეფონთან მიქვლგაბრიელი იჯდა. არ ვიცი, მიპასუხა, თუ არა, ან თუ მიპასუხა – რა, მაგრამ ვიცი, იქ მიქვლგაბრიელი იჯდა, მე ის ყურმილში დავინახე. ამას მნიშვნელობა ააქვს, მიპასუხა თუ არა, ან თუ მიპასუხა რააა? – ზუსტად ვიცი, ახლა ჯოჯოხეთში ვარ. ჰო, იქ დამაწვინეს. ზუსტად ასეთი წარმომედგინა ჯოჯოხეთი: შავი გისოსები, შავი სიზმრები, თეთრი კედლები და თეთრხალათიანი ადამიანები ხელში აბებითა და ნემსებით. და კიდევ ბევრი სველტუჩებიანი ელემენტი, რომელთაც, სიმართლე გითხრათ, ვერაფერი გავუგე, ალბათ, გიჟები არიან.

ცხვირსახოცი მომაწოდეთ, მერე რა, რომ დღეს უკვე მეექვსედ მაწოდებთ, ადექით და მაინც მომაწოდეთ ცხვირსახოცი.



# სარჩევი

მუსიკალური პოეზია .....	3
მეოცნებე ვარ .....	3
აგონია .....	4
<b>Kiss</b> .....	5
ტაძარში .....	5
ცეცხლოფობია .....	6
საფლავი ტყეში .....	7
ფანტაზია .....	7
თბილ ქვეყნებში .....	8
მე ვხედავდი .....	8
მეც ბალიდან წავედი .....	9
ირაო .....	9
ძაძები .....	9
ნინი .....	10
უტოპია .....	10
უტოპია .....	10
ვედრება .....	11
შუალამის გალობა .....	12
პლანეტების აღლუმი .....	13
ორნამენტები .....	13
თქეში სამოთხეში .....	14
<b>Bravo</b> .....	15
წვიმა იყო კლდეების .....	15
იღვა საათი .....	16
ზარი .....	16
ბალის თაღების დაღი .....	17
ეკალი, სახე ძეგლის .....	17
ია-ია .....	18
ფიცი .....	19
ანდერძი .....	19
ქროდა ქორწილი ქართა .....	20
ულილოოდ .....	20
სუფრის ბალადა .....	21
ვხედავ .....	21
ფრენა, სიშიშვლე სულის .....	22
ფერისცვალება .....	22
ორკესტრები .....	23

წითელი მდინარე .....	24
ლოდის მოლოდინი .....	24
მკვდარი სურვილი .....	25
მე-ლოდია .....	25
სუფრა კაიფური .....	26
მაესტრო .....	26
სამი რვიანი .....	27
ამაყი ერი .....	28
ჭაობი .....	28
აკალუსი .....	29
აკალუსის ხურმა .....	30
ნინო .....	30
საიდუმლო .....	31
მომავლის მდინარე .....	32
ნირვანაში .....	32
ლოცვის დრო .....	33
მეთევზე და მე .....	34
ქალისთვის .....	34
უიმედობა .....	35
ხელებში თასი მომაწოდეთ .....	35
ძველ გმირებს .....	36
მე უნდა გავხდე უფრო ძლიერი .....	36
ორკესტრების შადრევანი .....	37
თვითმკვლელის ბალადა .....	37
ოვაცია .....	38
ყველა დროში ვარ .....	38
თოლია .....	39
სადღაც ღრუბლებში .....	39
მე-ცეცხლი .....	40
სიზმარი .....	41
გადარჩენის იმედგაცრუება .....	42
უდაბნო .....	43
პრელუდია .....	43
ტირის ფლეიტა .....	44
გულგრილობა .....	44
ფიალები .....	45
უკუღმართობა .....	46
ლანდების იმპერია .....	47
მეშვიდე დღე .....	47
ფილო-თამაში .....	48

გასამართლება .....	49
მსხვერველა სარკეთა .....	49
ჟამი ქაოსის .....	50
ჯოჯობის პეიზაჟი .....	50
დებოში .....	51
სხვა .....	52
ჭრელი .....	53
ჩემი სამოსი .....	54
გუჯა .....	55
ღვინის კოცნა .....	55
სიკვდილი და სიცოცხლე .....	56
ბრძელები .....	56
ქუჩა, ფეხმძიმე ქალი .....	57
ჰამლეტის ხსოვნას .....	58
მნათე .....	58
საცოდავები .....	59
მუზის პარანოია .....	59
ტიმეასავით .....	60
მონატრება .....	60
მიტოვებული .....	60
ეპიტაფია .....	61
შტორმი .....	61
ზმანება: გუმბათი, ტაძარი .....	62
სატირული კონტრასტი .....	62
სიკვდილის ვნება .....	63
არყოფნის ალლო .....	63
თეთრი მთები და რაჭა .....	64
სვანეთის მთებს .....	64
მოღბერტები .....	65
ფიქრის ველზე .....	65
რიჟრასის ტკბილი ზარი .....	66
ნიავების სიმღერა .....	66
მოძღვარი .....	67
ვარსკვლავების არმადა .....	67
ლანდი .....	68
ყინულის ლოდი .....	68
სოფი-სონეტი .....	69
მე ახლაც ვყვირი .....	69
მისტერია .....	70
გალაქტიონი – თეთრი ფლამინგო .....	70

პოეტის სიკვდილი .....	70
უცნობის აღსარება .....	71
ვოდვეილი .....	72
პური და პარანოია .....	73
იქ, სადაც უყვართ .....	73
მე დაგებრუნდები .....	73
საყვარელ ქალს .....	74
საქართველო და მარადისობა .....	74
გველთა ჭაობი .....	75
გოგონა თავშლით .....	76
Art-ბართლომეს ღამე .....	77
ის .....	77
მარადი ხილვა .....	77
პალიტრა .....	78
შავ-თეთრი ოთახი .....	78
ველი წითელი .....	80
ღია კარი .....	80
კიბე .....	81
დიდხანს ვფიქრობდი .....	82
ის როცა წავა .....	83
სურათი .....	84
ერთია მიწა .....	85
ბატონი ჯაზი .....	85
XXI საუკუნე .....	85
შენ და მე .....	86
ბურუსი .....	87
ზეშთავონება .....	89
ოცნების მიუვალობა – თეატრი .....	94
მუნჯი ღალადი .....	99
შეშლილის წერილი .....	104